პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

სსრ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კაპოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგის 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებები მიიღება საწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

დ ღ ი უ რ ი

კანტონის მთავრობა შეუდგა რეფორმების გატარებას.
— ბრაზილია გავიდა ერთა ლიგიდან
— ამერიკაში იმართება საპროტესტო მიტინგები რევოლუციონერების გასამართლების წინააღმდეგ.
— გერმანიის მემარჯვენე პარტიები ცდილობენ პლებისციტის ჩაშლას.
— ლილში (საფრანგეთი) ტრამვაის მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა.
— გადადგა საფრანგეთის მინისტრი პერე.
— სახალხო არმიამ უკანასკნელ ბრძოლაში დაამარცხა უ-პეი-ფუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, 16 ივნისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 135 (1590)

მენშევიკური ბანდები პასუხს აგებენ

დღევანდელი ცნობები პარიზიდან ქართული ემიგრაციის შესახებ საბოლოოთ ხდიან ფარდას იმ ამბებს, რომელნიც ამ დღეებში იქ დატრიალდა. ახალი ამ ცნობებში არსებითად არაფერია. ისინი საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც სავსებით ადასტურებენ ჩვენ მიერ ამ ამბების გამო პირველადვე გამოთქმულ აზრს.

ვინ მოკლა გრიგოლ ვეშაპელი, რამ წარუკვეცა იმდენად კარლო ჩხეიძეს იმედი, რომ მან დანა გაიყარა კისერში? ეს ორი კითხვა დღევანდელ ცნობების შემდეგ მაინც აღარავისში იჭვებს არ სტოვებს.

დეპეშები გვაცნობებენ, რომ „მენშევიკებმა მიიღეს დადგენილება სისტემატიურ ტერორზე გადასვლის შესახებ. ტერორზე გადასვლის საკითხი დიდი ხნის განმავლობაში ირჩეოდა მენშევიკურ ცენტრში. კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ იგი არ დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას“.

ამნაირად, „პამპულაი იკაზმება თოფითა და ჯინჯილითა“. იმპერიალისტურ ინტერვენციიდან შინაურ აჯანყებისაკენ და, დასასრულ, „სისტემატიური ტერორი“,—აი მენშევიზმის ბრძოლის გზა საქართველოს მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. პირველსა და მეორე შემთხვევაში მათ კისერი მოიტეხეს, დღეს ჯერი მიდგა მესამე საშუალებაზე. ეს გახლავთ თურმე არა შემთხვევითი, არამედ „სისტემატიური ტერორი“.

ეს სიტყვა ბოლშევიზმის ლექსიკონისათვის, რასაკვირველია, უცხო არაა. კომუნისტურ პარტიას, რომელმაც სამოქალაქო ომის სახით, მასიურ ტერორის ქარცეცხლი გაიარა, სასაცილოდაც არ ეყოფა პარიზის პრეფექტურის ზურგის უკან ამოფარებულ მენშევიკურ პამპულების უძლური მუქარა. ამ გადაკარწახებულ სამეურნეო და კულტურულ მუშაობის დროს ის იმდენად მაინც მოიცლის, რომ ცხვირში ამოანთხევინოს მშრომელი ხალხის გონებადაკარგულ მტრებს მათი უკანასკნელი ცეცხლთან თამაშის ცდა.

რამდენიც არ უნდა აფარონ რამიშვილებმა თავიანთი სისხლიანი ხელები კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობას, ამ არაბუნებრივ სიკვდილის აზრი ჩვენთვის მაინც ნათელია. რით უნდა ახსნან პარიზის გმირებმა მენშევიზმის ერთ-ერთ მამამთავართაგანის მათთვის ასეთი გამბახებელი საქციელი? ეს ხომ ჩვეულებრივი, რომანტიულ ნიადაგზე აღმოცენებული პირადი ტრაღედია არაა?!

კარლო ჩხეიძე შემთხვევითი კაცი არ ყოფილა თავის პარტიაში. მისი სახელი ქართული მენშევიზმის სიმბოლო იყო და ასეთად დარჩება მომავალშიაც. ვინ, თუ არა კარლო ჩხეიძემ, იცოდა ქართული სოციალ-დემოკრატიის ავან-ჩავანი. ის განუყრელი თანამგზავრი და ხელმძღვანელი იყო ამ პარტიის. და მან სხვა გამოსავალი ვერ ნახა მენშევიკურ პარტიის დღევანდელ მდგომარეობიდან, გარდა გალესილი დანისა.

ჩხეიძის თვითმკვლელობა საბედისწერო ნიშანია ისედაც სულთმობრძავ ქართულ მენშევიზმისათვის. ჩვენ არ ვიცით ჯერ იმ წერილის შინაარსი, რომელიც დასტოვა ჩხეიძემ გარდაცვალების წინ, მაგრამ ერთი რამ აქედანვე უდავოა: იქ მენშევიკების სასიკეთო არაფერი სწერია. ეს ყველასათვის მაშინ გახდება ცხადი, როცა ვიხილავთ ჩხეიძის წერილის ფაქსიმილეს.

თავის სიკვდილით კარლო ჩხეიძემ საქვეყნოთ განაცხადა, რომ მენშევიკური პარტია გაიხრწნა და დაეცა საბოლოოთ, რომ მისი დღევანდელი მესვეურები დასტატებულ ბანდიტების ჯგუფს წარმოადგენენ. იმ შმორისაგან, რომელიც დღეს ამ პარტიის მძორს ასდის, იზხამება არე-მარე. მართალია ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევათ ჩხეიძემ ყველაზე უფრო უვარგისი გზა გამონახა, მაგრამ მისი უკანასკნელი სასოწარკვეთილებით ნაკარნახევი დასასრული ამით თავის მნიშვნელობას ოდნავათაც არ კარგავს.

„სისტემატიური ტერორი“ უკანასკნელი ხავსია, რომელსაც სასიკვდილო სარეცელიდან ებოტინებიან მენშევიკების ბელადები.

მათი უკანასკნელი, ქურდული თავდასხმის მსხვერპლი გახდა გრიგოლ ვეშაპელი. სჩანს რამიშვილის კომპანია უკვე შეუდგა დასახულ მიზნის პრაქტიკულად განხორციელებას. ისინი დღეს ზეიმობენ პირველ გამარჯვებას. მაგრამ, როგორც ყოველთვის, მათი სიხარული ნაადრევია.

რამიშვილ - ჟორდანიების უკბილო სავარცხალივით ღრეჭას ამოედება რკინის ლაგამი, რომელიც საბოლოოთ დაუკარგავს საქართველოდან გადაფრენილ შავ ყორნებს ღიმილის ხალისს.

◆

ინგლისის მთავრობის ნოტა და საბჭოთა კავშირი

(„პრავდა“-ს მოწინავე)

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ინგლისის მთავრობის ნოტას, რომელიც გამოგზავნილია საბჭოთა მთავრობის სახელზე. ამ ნოტას ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენი ქვეყნის მუშებმა და გლეხებმა, ყურადღება უნდა მიაქციოს მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ.

ორიოდე სიტყვა ნოტის შინაარსზე. რაში „სდებს ბრალს“ ინგლისის მთავრობა ჩვენს სახელმწიფო ხელისუფლებას? იმაში, რომ მან ნება დართო ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის პროფესიონალურ ორგანიზაციებს ფული გაეგზავნათ ინგლისის მებრძოლ პროლეტარებისათვის. „შუბლმაგარ“ კონსერვატორების პრესა უსირცხვილოდ ამტკიცებდა, თითქოს ფული გაღებული იყო არა პროფკავშირების, არამედ ჩვენი მთავრობის მიერ. ამის განმეორებას ნოტა ვერ ბედავს. ის განსაზღვრავს თავის ბრალდებებს მით, რომ მთავრობამ ფულის გაგზავნის ნება დართო. რაშია აქ საქმე? ჩვენ გვაქვს მკაცრი წესები ვალიუტის საზღვარ-გარეთ გატანის შესახებ. ეს წესები ჩვენ გვესაჭიროება ჩვენი ჩვენი მეურნეობის ინტერესების დასაცავად. მაშინ, როცა ვალიუტის გატანა არ ეწინააღმდეგება ჩვენი მეურნეობის ინტერესებს, ეს ნებადართულია. ეს იყო ჩვენი ღონისძიებათა კრიტერიუმი ამ დარგში, ჩვენი მთავრობა ფიქრობდა, რომ ინგლისელ მუშების დახმარების ინტერესები სრულებითაც არ ეწინააღმდეგება ჩვენი მეურნეობის ინტერესებს. ჩვენი მთავრობა თავისი ქვეყნის პროფკავშირების მიმართ ვერ დაადგებოდა იმ მთავრობების თვალსაზრისს, რომელნიც ტრედიუნიონების წინააღმდეგ მობილიზაციით იწვევენ პოლიციას, არმიას, ფლოტს, შტრეიკბრეხერებს და „კონსტიტუციური“ რეჟიმის დანარჩენ დამამშვენებლებს. ამიტომ მართლაც სასაცილოა ინგლისის მთავრობის პრეტენზია, რომელიც საბჭოთა კავშირის მთავრობას ავალებს ისევე მოექცეს თავისი ქვეყნის მუშათა ორგანიზაციებს, როგორც ექცევიან „მაგარი“ ვაჟბატონები ინგლისის ტრედიუნიონებს.

რაღა იქნებოდა მუშათა დემოკრატია, თუ პროლეტარიატის მთავრობა უდიდეს პროლეტარულ ორგანიზაციას ფულის გაგზავნასაც კი აუკრძალავდა იქ, სადაც ის მოისურვებდა. ინგლისის მთავრობის მოთხოვნილება მხოლოდ აღაშფოთებს, როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე ინგლისის პროლეტარიატს.

ამასთანავე თვით ნოტის გამოგზავნის ფაქტი და მისი მნიშვნელობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სათანადოთ არ იქნეს შეფასებული. ნოტა ძალიან თავდაჭერილ ფორმებში არის დაწერილი. მაგრამ ინგლისის დიპლომატიის მთელი პრაქტიკიდან ჩვენ ვიცით რა რეალური მნიშვნელობაც აქვს ამ „თავაზიანობას“. ნოტა წარმოადგენს პირველ ნაბიჯს შემდგომი ზეგავლენის მოხდენის მიზნით. ეს არის პირველი სასინჯი ნაბიჯი. მას მოჰყვება კიდევ სხვა გამოსვლები, რომელიც უკვე მომზადებულია და რომელსაც აუცილებლად დავინახავთ. ინგლისელ კონსერვატორების, ე. ი. მთელი მთავრობის პრესა სავსეა ცილისწამებით, გამოლაშქრებით და თავხედურ განცხადებებით მშრომელთა რესპუბლიკების მიმართ. „შუბლმაგარი“ კონსერვატორები ყოველივე ძალღონეს ხმარობენ, რომ გააუარესონ ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის, რომ ჩაშალონ ინგლის-რუსეთის ხელშეკრულება და მობილიზაცია უყონ ძალებს საბჭოთა კავშირზე ახალი თავდასხმისათვის. ამ პოლიტიკის კლასიური ბუნება ისე მკაფიოა და გასაგები, როგორც არასოდეს.

როცა ფრანგი რანტიეე, თავის გაჯახირებულ ფრანკებს გზავნის ინგლისის პოლიციის დახმარების ფონდში, პატივი და დიდება მას. ხოლო როცა რუსი მუშა ფულს უგზავნის თავის ინგლისელ თანამოძმეს, დაჰკათ მაგას, დაჰკათ მის მთავრობას, დაჰკათ მის ქვეყანას.

ამ მარტივ ოინს ეხლა ყოველი რუსი და ყოველი ინგლისელი პროლეტარი მიხვდება. წავიდა ის დრო, როცა ინგლისის მთავრობა „ზეკლასიურად“ ასაღებდა თავის თავს და ატარებდა „საერთო ნაციონალურ“ ნიღაბს. ის ეხლა არა მარტო თავის ქვეყნის შიგნით გამოდის, როგორც მუშათა ორგანიზაციების აშკარა მტერი. ის თავის ქვეყნის ფარგლებს იქითაც გამოდის, როგორც მუშების ელემენტარულ უფლებების შეურიგებელი მოწინააღმდეგე.

ჩვენი ქვეყნის პროლეტარებს და გლეხებს არ შეუძლიათ არ გამოეხმაურონ ჩვენს შინაურ საქმეებში უხეშად ჩარევის, ჩვენში ინგლისის „ოხრანკის“ ადათების გადმონერგვის და ჩვენი პროფკავშირების ინგლისის მთავრობის კონტროლს ქვეშ დაყენების ცდებს.

ჩვენში არ არის არც ერთი მუშა და არც ერთი გლეხი, რომელიც სასტიკი პროტესტით არ უპასუხებს ინგლისის კაპიტალის ნოტას.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

მოსკოვი, 15 იანვარი.

კუკის განცხადება გენერალური საბჭოს მოღალატეობის შესახებ

— „მე ხშირად ტერორით მემუქრებოდნენ ქვანახშირის ოლქის მთავრობის ორგანოები, მე ბევრი გამიცდია სხვადასხვა მოლაპარაკების დროს მთავრობის თავმჯდომარესთან 1920 და 1921 წელს. მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ არც მთავრობას და არც მწარმოებლებს ისეთი დამაშინებელი ზომებისათვის არ მიუმართავთ ჩემს წინააღმდეგ, როგორც ეს მოიმოქმედეს ამ შემთხვევაში ზოგიერთმა „მუშათა ბელადებმა“.

— „მაკდონალდმა და ტომასმა ისეთი სიტყვები წარმოსთქვეს, რომ მუშათა კლასს მომავალში სირცხვილის სიწითლე მოერევა მათ წაკითხვაზე“.

ლონდონი. მემაღაროების კავშირის მდივანმა კუკმა სამხრეთ უელსში წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც მუშათა პარტიის ორგანომ „დეილი ჰერალდმა“ არ გამოაქვეყნა.

კუკმა სთქვა: „მემაღაროები დღეს პურისთვის იბრძვიან. მაგრამ ჩქარა ისინი იძულებული გახდებიან ამ ქვეყნის კონსტიტუციის შესაცვლელად იბრძოლონ. კონსერვატორები სცდილობენ მუშათა რაზმებში არევ-დარევა შეიტანონ. ისინი ჩასჩურჩულებენ მუშებს, რომ კუკი დიდძალ ფულს ღებულობს და დიდკაცურად სცხოვრობს. მაგრამ ისინი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ მთელს ჩემს ჯამაგირს მემაღაროების ფონდს ვაძლევ; ასევე იქცევა ჩვენი კავშირის თავმჯდომარე სმიტი და ჩვენი მოლარე რიჩარდსონი.

იმ ამბების გამო, რომელნიც საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტამდე მოხდნენ, კუკმა სთქვა, რომ როცა ეს ფაქტები გამოქვეყნდებიან, ყველასათვის ცხადი გახდება, რა საზიზღარი, გულის ამრევი მოღალატეობა ეკისრა ზოგიერთ ცნობილ პიროვნებას.

მემაღაროებს სამწუხაროდ თავისი წარმომადგენელი არ ჰყოლიათ გენერალურ საბჭოში. ტომ რიჩარდსი ავად იყო, რობერტ სმილსმა ისეთი რამ ჩაიდინა, რაც, კუკის აზრით, დიდათ გასაკვირველია, თვით კუკი დარწმუნებული იყო, რომ მისი კოლეგები საქმის მოაგვარებდნენ და წაჯიქ-უკუჯიქობას არ დაიწყებდნენ: ამიტომ ის გულდამშვიდებით წავიდა შოტლანდიაში, რათა თავის ხალხთან ახლო ყოფილიყო. მან დაჟინებით მოსთხოვა გენერალურ საბჭოს ორი მემაღაროე მიეღო კოოპტაციის წესით. მაგრამ საბჭომ ეს წინადადება უარჰყო.

ჩვენ იძულებული ვიყავით ბრძოლა გვეწარმოებინა არა მარტო მთავრობისა და მწარმოებლებისა, არამედ მუშათა ხელმძღვანელების წინააღმდეგაც, რომელნიც ახირებულ პოზიციას იცავდნენ. მთავრობისა და მწარმოებლების შესახებ ის მაინც შეიძლება ითქვას, რომ ისინი თავიანთ ინტერესებისთვის იბრძვიან; მაგრამ. წარმოიდგინეთ როგორი უნდა ყოფილიყო ჩვენი მდგომარეობა, როცა იმ პროფკავშირების წარმომადგენლებმა, სადაც მუშები 50-100% მეტს ღებულობენ ვიდრე მემაღაროები, იმდენი თავხედობა გამოიჩინეს, რომ მემაღაროების მეთაურებს თავს დაესხენ და ხელფასის შემცირების მიღება მოსთხოვეს.

1921 წელში ტომასმა მითხრა: „პასუხისმგებლობა დამარცხებისთვის თქვენ გეკისრებათ, მიტომ რომ თქვენ არ ისურვეთ ჩვენთან მოლაპარაკების დაწყება, სანამ ბრძოლა გაჩაღებოდა“. მე ეს გაკვეთილი დავიმახსოვრე და გადავსწყვიტე ასეთი თავის გამართლების საბუთი აღარ მიმეცა 1926 წელს. გენერალურ საბჭოს სურდა მემაღაროებთან მოლაპარაკება ეწარმოებია. შედგენილ იქნა სათანადო კომიტეტი და ამის შესახებ მე დღეს შემიძლია შემდეგი განვაცხადო: **მე ხშირად ტერორით მემუქრებოდნენ ქვანახშირის ოლქის მთავრობის სახელით; მე ბევრი გამიცდია სხვადასხვა მოლაპარაკების დროს მთავრობის თავმჯდომარესთან 1920 და 1921 წელს. მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ არც მთავრობასა და არც მწარმოებლებს ისეთი შემავიწროვებელი და დამაშინებელი ზომებისთვის არ მიუმართავთ ჩემს წინააღმდეგ, როგორც ეს მოიმოქმედეს ამ შემთხვევაში ზოგიერთმა „მუშათა „ბელადმა“.** (ხმა მაყურებლებიდან: სირცხვილია!). ეს მთავრობამაც იცის და მაღაროების პატრონებმაც იციან.

ერთმა კაცმა მტრის ბანაკიდან, მწარმოებელთა წარმომადგენელმა გულახდილათ მითხრა: „ეს საყოველთაო გაფიცვა დიდს სამსახურს გაგვიწევს“. **მინისტრ-პრეზიდენტმაც გენერალურ საბჭოს რამდენჯერმე საჯაროთ მადლობა გადაუხადა.**

გენერალურმა საბჭომ, გაფიცვის დროს, თავისი პოლიტიკა ისე აწარმოვა, რომ ჩვენთვის არაფერი უკითხავს.

კვირას, სანამ გაფიცვა დაიწყებოდა, მე გავიგე, რომ გენერალურ საბჭოს მინისტრ-პრეზიდენტთან მოლაპარაკების დაწყება უნდა ჩვენი საქმის გამო. ჩვენ არც კი მიგვიწვევს. მე ამის შესახებ ჩემი აზრი მოვახსენე გენერალურ საბჭოს. როცა ამ მოძრაობის ისტორია დაიწერება, ზოგიერთი მკითხველი სირცხვილით დაიწვის წინადადების წაკითხვის დროს, რომელიც გენერალურმა საბჭომ მემაღაროების მისცა, დაუყოვნებლივ ხელფასის შემცირებისა და მუშაობის განახლების შესახებ. მათ არა თუ შეიმუშავეს ეს წინადადება, კიდეც დაარწმუნეს მინისტრ-პრეზიდენტი, რომ მემაღაროები მას მიიღებენო. გენერალური საბჭო რამდენიმე საათის განმავლობაში დაჟინებით მთხოვდა ეს წინადადება მიმეღო. მაგრამ მე ის უარვყავი.

მე ტელეგრაფით ლონდონში გამოვიწვიე მემაღაროების აღმასრულებელი კომიტეტი. როცა ამ კომიტეტის წევრები მთავრობის შენობაში შევიდნენ, მათ შემოხვიენ გენერალური საბჭოს წევრები და მოითხოვეს იმ ისტორიული წინადადების მიღება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ გენერალური საბჭო მზად არის საყოველთაო გაფიცვა შესწყვიტოს და 14 დღის განმავლობაში მუშაობის დაწყების დღიდან ქვა-ნახშირის წარმოების კონფლიქტი მოაგვაროს „სემუელის კომისიის მოხსენების საფუძველზე“: როგორც ცნობილია, ეს მოხსენება ხელფასის შემცირებას გულისხმობს.

მემაღაროების აღმასრულებელმა კომიტეტმა უარი განაცხადა იმ დავალების თანახმად, რომელიც თავის წევრებისაგან მიიღო. ამის შემდეგ მინისტრ-პრეზიდენტმა მოლაპარაკება შესწყვიტა. ზოგიერთმა ჩვენმა „მეგობრებმა“, რომელნიც ამიერიდან ჩვენ მტრებათ უნდა ვიგულოთ, სთქვეს, რომ „კონფლიქტი უნდა მოვაგვაროთ. პრემიერ-მინისტრი უნდა ვინახულოთ და ხელ-ახლა მოლაპარაკება დავიწყოთ“. მაგრამ ბალდუინი **უკვე ლოგინში იწვა, მთხოვნელები არ მიიღო, მხოლოდ მსახური გამოვიდა და სთქვა: „ბატონებო, დროა, რომ შინ წაბრძანდეთ. არავის ნახვა არ შეიძლება: ყველას უკვე სძინავსო“.**

მუშათა პარტიამ თემთა პალატაში უკანასკნელი თხოვნა წარადგინა. **მაკდონალდმა და ტომასმა ისეთი სიტყვები წარმოსთქვეს, რომ მუშათა კლასს მომავალში სირცხვილის სიწითლე მოერევა მათ წაკითხვაზე.** სმიტი და მე დავესწარით ამ კამათს. სმიტი აღელვებული იყო; მე კი, ჩვეულებისამებრ ყოველივე შეუშფოთებლად მოვისმინე, სანამ ორივემ არ დავსტოვეთ სასახლე. ჩვენ ყველა ოინები დავინახეთ; ჩვენ დავინახეთ როგორ გავიდნენ გარეთ მოსალაპარაკებლად ჩერჩილი და მაკდონალდი; მთავრობა ათამაშებდა ამ ადამიანებს. საყოველთაო გაფიცვა მათი სურვილის წინააღმდეგ დაიწყო და გენერალური საბჭოს წევრები, ორიოდე ადამიანის გამოკლებით, შიშის ძრწოლამ მოიცვა. ტომასს უკვე **სისხლის ნიაღვარი ელანდებოდა ქუჩებში, ბრომლეი იმუქრებოდა, რომ რკინისგზელებს ბრძოლის ველიდან უკან გავიწვევთ, თუ მემაღაროები არ მიიღებენ გენერალური საბჭოს წინადადებასო.** გენერალური საბჭო მემაღაროებს დაჟინებით სთხოვდა მიეღო სამუელის წინადადება, რომელსაც მიზნად ჰქონდა გაფიცვის შეწყვეტა. მე რკინისგზელებს ვუთხარი, რომ მათი ხელმძღვანელების უდიდესი დანაშაული მდგომარეობდა არა მარტო იმაში, რომ მემაღაროებს უღალატეს, არამედ იმაშიც, რომ მათ თვით რკინისგზელების ინტერესები გაჰყიდეს. ისინი მზად იყვნენ გაფიცვა ისე შეეწყვიტათ, რომ არავითარი გარანტია არ მიეღოთ. ეს ყველაზე შავი ფურცელი იყო გაფიცვის ისტორიაში. ჩვენ ვუთხარით გენერალურ საბჭოს, რომ გაფიცვის შეწყვეტა არ შეიძლება, სანამ ყველა დარგის მუშები ერთდროულად არ დაიწყებენ მუშაობას. ამის საპასუხოთ ტომასმა დაცინვით განაცხადა: „ეს თქვენ არ გეხებათო“. ჩვენ გვითხრეს—გენერალურ საბჭოს გარანტია აქვს, რომ მთავრობა სამუელის წინადადებას მიიღებსო. ჩვენ არ გვეგონა, რომ გენერალური საბჭო გაფიცვას შესწყვეტდა და მემაღაროებს მოატყუებდა. მაგრამ მათ სასტიკად მოგვატყუეს.

კონსერვატორების ახალი ოინები

კონსერვატორები ცდილობენ ინგლის საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტას

ნახშირის მრეწველობის კრიზისის გამო დაიხურა მთელი რიგი ფაბრიკებისა

მუშები განაგრძობენ გაფიცულთათვის დახმარების გაწევას

„ტანი“-ს წერილი

პარიზი, 14 ივნისი. საფრანგეთის ოფიციოზი „ტანი“, იხილავს რა ინგლისის მთავრობის ნოტას საბჭოთა მთავრობის მიმართ, აცხადებს, რომ ყოველგვარი ცდა—კონსტიტუციონურ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირის შორის ნორმალურ ურთიერთობის დამყარებისა, მარცხით დამთავრდება, ვინაიდან საბჭოთა მთავრობა „თავის მოქმედებაში კომინტერნს ემორჩილება“.

ის სიძნელენი, რომლებიც ინგლისს ხვდება, გაზეთის აზრით, აღძრავენ შიშს, რომ იგივე არ შეხვდეს სხვა სახელმწიფოებსაც, რომლებიც ურთიერთობას ანახლებენ საბჭოთა კავშირთან, „ბოლშევიკურ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ზომების მიუღებლად“.

ბოლოს გაზეთი სწერს:

„გაკვეთილს შეუძლია მიგვიყვანოს შედეგებამდე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა, მტკიცედ იმოქმედოს“.

როგორ „უბრუნდებიან“ მუშაობას

ლონდონი, 14 ივნისი. ბურჟუაზიული გაზეთები თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავენ ცნობას იმის შესახებ, რომ თითქოს ცენტრალურ რაიონის სამთამადნო მუშები უბრუნდებიან სამუშაოს. შემოწმებათა დროს ირკვევა, რომ უმეტეს შემთხვევაში ლაპარაკი არის იმ სამთამადნო მუშებზე, რომლებიც ხელს უწყობენ მაღაროებს ადგილობრივ ორგანიზაციების ნებართვით. ერთად-ერთი გამონაკლისს ჰქონდა ადგილი იორკშირში, სადაც, ხმების მიხედვით, 600 სამთამადნო მუშა დაუბრუნდა სამუშაოს—ხელფასის და სამუშაო დროის ძველ პირობებში.

ბურჟუაზიული გაზეთების მიერ სინამდვილის დამახინჯების გამო სამთამადნო ორგანიზაციების ძირითად ორგანიზაციებს მრავალ ადგილას გამოაქვთ რეზოლიუციები, რომლებშიაც **წინადადებას აძლევენ სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომს, რომ მოხსნას ის ხალხი, რომლებიც მაღაროების დაცვას ადევნებენ თვალყურს.**

მუშების დეკლარაცია

ლონდონი, 14 ივნისი. **გამოქვეყნებულია სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომის დეკლარაცია.**

მიმართავს რა ყველა ქვეყნის პროფკავშირებს, **აღმასკომი სთხოვს განაგრძონ ინგლისის სამთამადნო მუშებისადმი დახმარების აღმოჩენა;** ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირებს კი წინადადებას აძლევს სავსებით შეაჩერონ ინგლისში ნახშირის შეზიდვა.

უკუგდებს რა დასკვნას მაღაროს მეპატრონეთა მოთხოვნილებებს და მთავრობის წინადადებებს, აღმასკომი აცხადებს, რომ შეთანხმება შეიძლება იქნას მიღწეული მხოლოდ შემდეგ პირობებში: სანახშირო მრეწველობის რეორგანიზაცია დაუყოვნებლივ, სამუშაო ხელფასის დამტკიცება საერთო ინგლისის მასშტაბით, სამუშაო ხელფასის ძველი ნორმების და შვიდი საათის სამუშაო დღის დაცვა.

აღნიშნავს რა იმ გარემოებას, რომ მაღაროს მეპატრონეებმა და მიწის იმ რაიონების მესაკუთრეებმა, სადაც ნახშირის რაიონია, მიიღეს უკანასკნელ 12 წლის განმავლობაში 280 მილ. გირ. სტერლინგი, აღმასკომი შემდეგ წინადადებას აყენებს სანახშირო მრეწველობის რეორგანიზაციის საკითხის შესახებ: სანახშირო და მასთან დაკავშირებულ მრეწველობის დარგების რეორგანიზაციის მოხდენა მეცნიერულ საფუძველზე საერთო-ინგლისის მასშტაბით, ზარალის მომცემ მაღაროების დახურვა, უზრუნველყოფა იმ ხალხისა, რომლებიც ამის გამო უმუშევრებათ დარჩენ, შუამავლების აცილება ნახშირის გაყიდვის საქმეში, ნახშირის საშინაო ბაზარზე მუნიციპალიტეტების საშუალებით განაწილება და საზღვარ-გარეთ ნახშირის გამსაღებელ ამხანაგობების შექმნა, სანახშირო მრეწველობის განთავისუფლება ფულად გადასახადისაგან იმ მიწის მეპატრონეთაგან, რომელთა რაიონებში ნახშირის ფენები იმყოფება.

ლენსბერის განცხადება

ლონდონი, 14 ივნისი. ლენსბერიმ ერთ-ერთ კრებაზე განაცხადა, რომ ომამდე ის იცავდა „რუსეთის თავისუფლების ხალხთა საზოგადოებას“, რომელიც ფულებს უგზავნიდა რუს რევოლიუციონერებს. ამასთანავე ლენსბერიმ აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობა, მიუხედავათ რუსეთის ძველი მთავრობის პროტესტისა, ყოველთვის უარს ამბობდა ამ საქმეში ჩარევაზე.

ინგლისის პრესის აზრი

ლონდონი, 14 ივნისი. დილის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ინგლისის მთავრობის ნოტა საბჭოთა კავშირის მთავრობისადმი არ ატარებს სენსაციურ ხასიათს. პრესა უკმაყოფილოა ნოტის გაგზავნით.

„მანჩესტერ გარდიენ“ აცხადებს, რომ **ინგლისის მთავრობას არასოდეს არ გამოუცხადებია პროტესტი ამერიკის მთავრობისათვის, როცა ამერიკიდან ფულებს გზავნიდენ ირლანდიაში ირლანდიის რესპუბლიკანელების დასახმარებლათ.**

ინგლის-რუსეთის ინციდენტი—აცხადებს გაზეთი—კვდება დამშვიდებული, ბუნებრივი სიკვდილით. ეს, გაზეთის აზრით, აუცილებელია, რადგან არ შეიძლება არავითარი დიპლომატიური მოსაზრებების წამოყენება იმის წინააღმდეგ, რომ საზღვარ გარეთიდან გადმოგზავნილ იქნა ფული ლეგალურ სამრეწველო კონფლიქტის ერთ-ერთი მონაწილის დასახმარებლათ.

კონსერვატორების ცდა

ლონდონი, 14 ივნისი. მუშათა პარტიის თავმჯდომარემ **რობერტ ვილიამსმა პრესაში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ კონსერვატორების მემარჯვენე ფრთა ცდილობს შეწყვეტილ იქნეს ურთი-ერთობა საბჭოთა კავშირთან, რაც განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს ინგლისის ვაჭრობისათვის.**

ვილიამსი აცხადებს, რომ საბჭოთა პროფკავშირების შემოწირულება, წმინდა ჰუმანიური ხასიათისაა და სავსებით ეთანხმება პროფკავშირთა საერთაშორისო ტრადიციებს.

მუშების დახმარება

ლონდონი, 14 ივნისი. ხის დამმუშავებელთა კავშირის აღმასკომმა 1.000 გირ. სტერლინგი გაუგზავნა სამთამადნო მუშების აღმასკომს და წინადადება მისცა თავის წევრებს, რომ სამთამადნო მუშების სასარგებლოთ ერთდროული გადასახადი მოახდინონ—4 შილინგი თითოსაგან, რაიც შეადგენს 20.000 გირვ. სტერლინგს. ამ საკითხის შესახებ ხდება რეფერენდუმი.

ფაბრიკების დახურვა

ლონდონი, 14 ივნისი. მდინარე ტისსას სათავეში, ნახშირის ნაკლებობის გამო, დაიხურა ყველა გემთსაშენი, ერთის გამოკლებით.

ოლხემში დაიხურა 20 საფეიქრო ფაბრიკა. მუშაობა განახლდება მხოლოდ სამთამადნო მუშების გაფიცვის დამთავრების შემდეგ.

საგარეო ვაჭრობის ბალანსი

ლონდონი, 14 ივნისი. ინგლისის საგარეო ვაჭრობის ბალანსი **48 მილ. გირ. სტერლინგით ნაკლებია 1925 წ. შედარებით. შემოტანა შემცირდა 28 მილ. გირ. სტერლინგით, გატანა კი—25 მილ. გირ. სტერლინგით.**

ბრძოლა ნადავლისათვის

(მაროკოს გარშემო)

ამ რამოდენიმე დღის წინათ პარიზში „მაროკოს გმირს“, გენერალ სტიგს ბანკეტი გაუმართეს. სადღესასწაულო სიტყვებითა და შამპანიურით შეზარხოშებულმა სარდალმა ჭიქა აიღო და წარმოსთქვა: „გალიის მამალმა უდაბნოს ქვიშა მოსჩიჩქნა და მდიდარი მოსავალი მოიმკო. ახლა, როცა საფრანგეთის პრესტიჟი აღდგენილია, ჩვენ მთელი ენერგიით მშვიდობიანობის საქმე უნდა გავაკეთოთ“. ამასთანავე გენერალმა განაცხადა, რომ „ჰუმანიურ და დედობრივი მგრძნობიარობით გამსჭვალულ საფრანგეთს სურს თავისი შვილების და თავის მტრების სისხლი დაზოგოს“.

ევროპიული ცივილიზაციის ქვეყანა მართლაც ლმობიერად მოეპყრო დატყვევებულ აბდ-ელ-ქერიმს. ამ ადამიანს გალიაში არ ჩასვამენ გარეულ მხეცივით და საჯაროთ არ გამოაფენენ, არც ნადირებს დააგლეჯიებენ, როგორც მისი წინამორბედი, როგი ბუმარე დააგლეჯინეს, რომელიც 1902 წლიდან 1909 წლამდე განუწყვეტლივ აღელვებდა შერიფების სამეფოს. აბდ-ელ-ქერიმს მადაგასკარის კუნძულზე მოათავსებენ და დიდის პატივით მოეპყრობიან. მაგრამ ეს პატივი და ყურადღება იმდენად საფრანგეთის და ესპანეთის კულტუროსნობით არ არის გამოწვეული, რამდენათაც ამ ქვეყნების კოლონიური პოლიტიკის მომავალი გეგმით.

საფრანგეთის და ესპანეთის იმპერიალისტებმა კარგად იციან, რომ აბდ-ელ-ქერიმის ხელში ჩაგდება სრულიადაც ზავის დამყარებას არ ნიშნავს მაროკოში. დღევანდელი მდგომარეობა გაურკვეველი და მერყევია. ცხადია, რომ აბდ-ელ-ქერიმთან ერთად არ მოდრეკილა ის იდეა, რომელსაც ის წარმოადგენდა. ის წარმოადგენდა ჩაგრული კოლონიური ხალხების აჯანყების იდეას პატარა ტერიტორიაზე. რიფების დატყვევებული სარდლის უდიერს მოპყრობას ადვილად შეეძლო ხელახალი ბრძოლა გაეღვივებია. მტრის სისხლის დაზოგვაზე ლაპარაკი ისეთივე ტყუილია, როგორც საკუთარ შვილების დანდობაზე ლაპარაკი. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ორივე ქვეყნის მმართველებმა ექვსჯერ მოუწყვეს თავიანთ კოლონიებს სისხლის აბანო, ათასობით და ათი ათასობით დახოცეს ადგილობრივი მცხოვრებლები და ამ საქმეს მარტო უკანასკნელი წლის განმავლობაში 20.000 „საკუთარი“ შვილი შესწირეს.

ასეთივე სიმართლეს შეიცავს ფრაზა ზავის დამყარების შესახებ.

მაროკოს ომი არ იყო უმნიშვნელო შემთხვევა, არამედ იმ საუკუნოებრივი ქიშპობის გამოხატულებას წარმოადგენდა, რომელიც ხმელთაშუაზღვის ბასეინში გაბატონებისთვის სწარმოებს.

ჯერ კიდევ დიდ ომამდე მწვავე ბრძოლა გაჩაღდა დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის ტანჟერის ნავთსადგურის ხელში ჩასაგდებად, რომელიც ხმელთაშუაზღვის გასაღებს წარმოადგენს. ინგლისს, რომელსაც იტალია და ესპანეთი უჭერდენ მხარს, ტანჟერის ნავთსადგურის ინტერნაციონალიზაცია უნდოდა: ამრიგად ის სცდილობდა საფრანგეთი მოეშორებია გიბრალტარისაგან. მაგრამ 1923 წელს ინგლისი იძულებული გახდა საფრანგეთისთვის დაეთმო, რამაც ინგლისის ბატონობა შეარყია ხმელთაშუაზღვის დასავლეთ ნაწილში.

რაკი საფრანგეთმა თავისი უძლიერესი მოქიშპე თავიდან მოიშორა, მან ესპანეთის „დაურვება“ დაისახა მიზნად. ცნობილია, რომ საფრანგეთის იმპერიალისტები ერთხანს მხარს უჭერდენ აბდ-ელ-ქერიმს ესპანელების წინააღმდეგ. ესპანეთის გამანადგურებელი დამარცხების შემდეგ საფრანგეთი შეეცადა ხმელთაშუაზღვის საკითხი ესპანეთის საზარალოდ გადაეჭრა. მხოლოდ რიფების უჯიათმა წინააღმდეგობამ აიძულა ორივე ქვეყანა საერთო სამხედრო მოქმედება დაეწყოთ. მაგრამ დღეს, როცა ომი მაროკოში უკვე დამთავრებულია, ძველი წინააღმდეგობანი ხელახლა თავს იჩენენ და ბრძოლა იწყება ნადავლის გასაყოფათ.

საფრანგეთ-ესპანეთის მოლაპარაკება, რომელიც გუშინ დაიწყო პარიზში, იმპერიალისტურ წინააღმდეგობებს კი არ მოსპობს, პირიქით—კიდევ უფრო გაამწვავებს; თვით საფრანგეთისა და ესპანეთის დროებით შეთანხმება არ გადასწყვეტს მაროკოს პრობლემას. როცა წარსული წლის აპრილში ფრანგებსა და რიფებს შორის პირველი შეტაკებები დაიწყო, მუსოლინიმ პენლევეს კაბინეტს აგრძნობინა, რომ იტალია დაინტერესებულია მაროკოს ტერიტორიული ურთიერთობის შეცვლაში და მას სურს, რომ მონაწილეობა მიიღოს ამ საკითხის გადაჭრაში. ამ სურვილს დღეს ისევე ნაკლებ გაუწიეს ანგარიში, როგორც 1923 წელს ტანჟერის პრობლემის გადაწყვეტის დროს და შარშან მადრიდის კონფერენციაზე. მაგრამ მუსოლინიმ განაცხადა, რომ ის არ სცნობს იმ ხელშეკრულებებს, რომელიც იტალიის მონაწილეობის გარეშე დაიდება. ამასთანავე ამ ხმელთაშუა ზღვას „რომაული ზღვა“ უწოდა.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ტანჟერი საფრანგეთის ხელში გიბრალტარის უშუალო მუქარას წარმოადგენს, რომ იტალია და ინგლისი ამ საკითხში ერთ პოლიტიკურ ხაზს იცავენ, ნათელი გახდება, რომ მაროკოს საკითხი ჩქარა მწვავე ხასიათს მიიღებს.

რიფების დამარცხება და პარიზის დღევანდელი მოლაპარაკება ზავს კი არ მოასწავებენ, არამედ ახალი ომის სამზადისს: ეს ომი ალბათ უფრო დიდი მასშტაბით იწარმოებს. აბდ-ელ-ქერიმის დამორჩილების შემდეგ ნამდვილი იმპერიალისტური ომი იწყება მაროკოს გულისთვის.

გეზა გოლდ.

◆

რა ხდება ქართულ ემიგრაციაში

კ. ჩხეიძის თვითმკვლელობა

პარიზი, 14 ივნისი. 8 ივნისს თვითმკვლელობის მიზნით კარლო ჩხეიძემ დანით ყელი გამოიჭრა. მდგომარეობა მძიმეა. თვითმკვლელობის განზრახვის მიზეზს იკვლევენ.

გ. ვეშაპელის მოკვლა

პარიზი, 15 ივნისი. 9 ივნისს საღამოთი სასამართლოს იმ სხდომის შემდეგ, რომელზედაც ირჩეოდა 9 აგვისტოს საქმე, სასამართლოს შენობასთან რევოლვერის სამი ტყვიით მოჰკლეს გრიგოლ ვეშაპელი. მკვლელი—მენშევიკი ავთანდილ მერაბიშვილი დააპატიმრეს. საქმეს იკვლევენ.

ტ ე რ ო რ ი

პარიზი, 15 ივნისი. ვეშაპელის მკვლელობა იმის შედეგია, რომ მენშევიკებმა მიიღეს დადგენილება სისტემატიურ ტერორზე გადასვლის შესახებ. ტერორზე გადასვლის საკითხი დიდი ხნის განმავლობაში ირჩეოდა მენშევიკურ ცენტრში. კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ იგი არ დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას. ტერორისტულ ზომების სულის ჩამდგმელია ნოე რამიშვილი.

კ. ჩხეიძის წერილი

პარიზი, 15 ივნისი. 11 ივნისს, საღამოს 8 საათზე, გარდაიცვალა კარლო ჩხეიძე. იმ პირობებს, რომლებშიც მოხდა ჩხეიძის თვითმკვლელობა, მენშევიკები დაჟინებით მალავენ. ესერების გაზეთი „დნი“ 9 ივნისს ცუდ გუნებაზე გამოვიდა, და მხოლოდ 12 ივნ. მოათავსა ცნობა კ. ჩხეიძის თვითმკვლელობისა და სიკვდილის შესახებ. ჩხეიძემ დასტოვა წერილი.

ჩხეიძის თვითმკვლელობა

პარიზი, 14 ივნისი. როგორც ეხლა გამოირკვა, ჩხეიძემ ყელი გამოიჭრა 8 ივნისს.

მენშევიკებმა და სხვა ემიგრანტებმა მიიღეს ზომები, რომ ცნობა ამის შესახებ პრესაში არ ყოფილიყო. გაზეთ „დნი“-ს 10 ივნისის ნომერში, ვეშაპელის მოკვლის წინა დღით, წაშლილი იყო შენიშვნა ჩხეიძის მიერ თვითმკვლელობის განზრახვის შესახებ.

უპირისპირებს რა ვეშაპელის მკვლელობას და ჩხეიძის თვითმკვლელობას, რომლებიც წინააღმდეგი იყო ბრძოლის ზოგიერთ ფორმებისა, კომუნისტური „იუმანიტე“ სვამს კითხვას: „რატომ სდუმდენ ჩხეიძის თვითმკვლელობის განზრახვის შესახებ“.

„პრავდა“ ჩხეიძის შესახებ

მოსკოვი, 15 ივნისი. „პრავდა“ ჩხეიძის შესახებ სწერს:

„ჩხეიძემ დაამთავრა თავის სიცოცხლე—განმარტოებულმა, იმედგაცრუებულმა, მივიწყებულმა, რევოლიუციის საქმისადმი მტრულად განწყობილმა; ის ვერ მიხვდა იმ დიდი ისტორიული ამბების მნიშვნელობას, რომელიც მისი და ყველა მისი თანამოაზრეების სურვილებისა და მისწრაფებების წინააღმდეგ მოხდა.

მაგრამ ჩხეიძე მენშევიკთა მენშევიკი იყო: კლასიურ ბრძოლის მიერ გადაჭრით დაყენებულ საკითხებზე, იგი მენშევიკ-ლიდერებს შორის ყველაზე უფრო მიკიბულ-მოკიბულად, „ელასტიურად“, უპრინციპოდ უპასუხებდა. სწორედ ამიტომ უწოდა მას ლენინმა „ლიკვიდატორობასთან“ ბრძოლის პერიოდში, „პარტიის მახლობელი სოციალ-დემოკრატი“.

ჩხეიძეს ომის დროსაც შემთანხმებლების პოზიცია ეჭირა. გასაკვირველი არაა, რომ თებერვლის გადატრიალების შემდეგ მენშევიკებმა და ესერებმა პეტერბურგის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ სწორედ ჩხეიძე წამოაყენეს, რომელიც სოციალ-შემთანხმებლებისა და წვრილ-ბურჟუაზიულ „ლიბერდანოვშინის“ განსახიერებას წარმოადგენდა.

თებერვლიდან ოქტომბრამდე ჩხეიძე მიდიოდა მენშევიკურ გამცემლობისა და კონტრრევოლიუციის გზით. ოქტომბრის გადატრიალებამდე იგი გაემგზავრა საქართველოში მენშევიკურ კონტრრევოლიუციონურ ავანტიურაში მონაწილეობის მისაღებად.

იგი აქ გამოვიდა ამიერ-კავკასიის სეიმის თავმჯდომარის როლში და შემდეგ ქართული მენშევიზმის სხვა ბელადებთან ერთად განიცადა საზღვარ-გარეთ განდევნის სიმწარე შეიარაღებულ კონტრრევოლიუციურ ინტერვენციის შესამზადებელ „მუშაობის“ როლში.

არავისათვის საჭიროდ, ისტორიის მიერ მიფურთხებულმა დამსხვრეულ ილიუზიების წინაშე, კონტრრევოლიუციონერმა ემიგრანტმა თვითონ შესწყვიტა საკუთარი ხელით თავისი სიცოცხლე.

საფრანგეთის მთავრობის კრიზისი

პერეს გადადგომა

პარიზი, 15 ივნისი. პერე გადადგა.

დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 15 ივნისი. კომუნისტი დეპუტატი დღეს მოითხოვს დეპუტატთა პალატაში ფრანკის კრიზისის შესახებ შეკითხვების განხილვას.

დეპუტატთა პალატაში განიხილეს კანონ-პროექტი მარცვლეულის, ფქვილის და პურის მომარაგების შესახებ. მცირე დებატების შემდეგ კანონ-პროექტი ერთხმად იქნა მიღებული.

◆

პილსუდსკი დიქტატურისათვის ემზადება

სეიმში

ვარშავა, 14 ივნისი. 22 ივნისისათვის დანიშნულია სეიმის სესიის გახსნა, რომელზედაც მთავრობა წარმოადგენს დროებით ბიუჯეტს და კონსტიტუციის შეცვლის პროექტს.

კონსტიტუციის შეცვლის პროექტი

ვარშავა, 14 ივნისი. ეროვნულ სახალხო კავშირის წარმომადგენლებთან თათბირის დროს რატაიმ განაცხადა, რომ მთავრობის მიერ გამომუშავებული კონსტიტუციის შეცვლის პროექტი შემდეგში მდგომარეობს:

მთავრობას ეძლევა უფლება დაითხოვოს სეიმი იმ პირობით, თუ ეს გადაწყვეტილება ერთხმად იქნება მიღებული, მთავრობას შემდგომი სანქციით იმ შემთხვევაში, თუ სეიმმა წინასწარ უნდობლობა არ გამოუცხადა მთავრობას; სეიმის მიერ ბიუჯეტის მიღების ვადა 4 თვით განისაზღვრება; პრეზიდენტს ეძლევა უფლება აკრძალოს სეიმის დადგენილებანი, რომლებიც მაინც შედიან შედიან ძალაში, თუ ისინი მეორედ იქნებიან მიღებულნი სეიმის მიერ აბსოლუტური ხმის უმრავლესობით.

დასასრულ რატაიმ განაცხადა, რომ მთავრობას არა აქვს განზრახვა შესწორება შეიტანოს საარჩევნო კანონში.

მემარცხენეთა ბანაკში

ვარშავა, 14 ივნისი. **პრესა ხაზს უსვამს, რომ მემარცხენეთა ბანაკში რღვევა ძლიერდება.** შრომის კლუბი, პატარა ჯგუფი, რომელიც „ვიზვოლენიეს“ გამოეყო, ეხლა ერთად-ერთი მემარცხენე პარტიაა, რომელიც მთავრობას უჭერს მხარს. დანარჩენი მემარცხენე პარტიები, — ვიზვოლენიე, პეპესოველთა გლეხთა კავშირი, თანდათანობით დღითი-დღე შორდება პილსუდსკის და მთავრობისადმი ოპოზიციაში გადადის. შრომის კლუბის ლიდერი ტუგუტი არ ეთანხმება კლუბის პოზიციას პილსუდსკის მიმართ და შესაძლებელია, რომ კლუბის შემადგენლობიდან გამოვიდეს.

◆

პლებისციტის წინ

ბერლინი, 14 ივნისი. თუ რა საშუალებებით სწარმოებს აგიტაცია მომავალ პლებისციტის წინააღმდეგ, სჩანს გერმანიის მსხვილ მწარმოებელთა გაერთიანების თავმჯდომარის ბორზიგას ცირკულიარული წერილიდან გერმანიის მრეწველობის მიმართ. წერილი გამოქვეყნებულ იქნა „ფორვერტს“-ში.

„აუნაზღაურებელი კონფისკაცია, აღნიშნავს ბორზიგი, ეხება არა მარტო მეფის ყოფილ გვარეულობათა ინტერესებს, რადგან ყოფილ მეფეების შემდეგ შეიძლება მოვიდეს ბანკის და ბირჟის მეფეების რიგი“.

ბორზიგ მოითხოვს, რათა **მრეწველებმა გაიღონ პლებისციტის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის საჭირო თანხები.**

მინიმუმათ ბორზიგი სთვლის 20 პფენიგს ამა თუ იმ წარმოების თვითეულ მუშაზე. ეს თანხები იგზავნება განსაკუთრებულ კომიტეტში, რომლის სათავეში სდგას იუსტიციის ყოფილი მინისტრი, სახალხო პარტიის წევრი, გეინცი. ეს კომიტეტი დაარსებულ იქნა ყოფილ კრონპრინცის პირადი ადიუტანტის ინიციატივით.

გერმანიის რეაქციონერები არ კმაყოფილდებიან ლეგალური აგიტაციით და ხშირად ტერორს მიმართავენ. ნაციონალისტების ორგანიზაციამ მიმართა თავის თანამდებობის პირებს წინადადებით ყოველმხრივ ხელი შეუშალონ მოსახლეობას ხმის მიცემაში და ჩაიწერონ იმათი სახელები, ვინც ხმას მისცემს.

ბერლინი, 15 ივნისი. ბერლინში დიდი დემონსტრაცია. შესდგა, რომელიც სოციალ-დემოკრატებმა მოაწყვეს ყოფილ საგვარეულო ქონებათა ექსპროპრიაციის სასარგებლოდ.

პარიზი, 15 ივნ. ბერლინში, ლუსტგარტენში სოციალისტ-სინდიკალისტების მანიფესტაციები მოხდა პლებისციტის სასარგებლოდ. მონაწილეობდა 60.000-მდე კაცი. ინციდენტებს ადგილი არ ჰქონია.

◆

ბრაზილია გავიდა ერთა ლიგიდან

ბერლინი, 15 ივნისი. ესპანეთმა უარჰყო წინადადება ერთა ლიგის საბჭოში არამუდმივი ადგილის დაჭერის შესახებ. გარეშე საქმეთა მინისტრის რჩევით, ესპანეთის კაბინეტმა დაადგინა ისევ მოხსნას ესპანეთის კანდიდატურა.

პარიზი, 15 ივნისი. „ომ ლიბრი“ სწერს, რომ არგენტინის მეოხებით სამხრეთ ამერიკა კვლავაა წარდგენილი ერთა ლიგაში, რომელმაც უნდა მისცეს მას ბრაზილიის მიერ განთავისუფლებული ადგილი.

ბრაზილიის ლიგიდან გამოსვლა ფრიად მნიშვნელოვანი ამბავია, ვინაიდან იგი ასრულებს ლიგის მოწინააღმდეგეთა ბლოკის შექმნას. თუ ჟენევისა და ვაშინგტონის მეტოქეობა არ გართულდა, ლიგის ამერიკელ წევრებს უნებლიეთ მოუხდებათ არჩევანი მოახდინონ ამ ცენტრებს შორის. ამგვარად, მთელი ამერიკა ილტვის ლიგისაგან.

ბერლინი, 14 ივნისი. ერთა ლიგის გენერალურმა მდივანმა ბრაზილიის მთავრობისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც მთავრობა აცხადებს, რომ **ბრაზილია გამოდის ერთა ლიგიდან.**

პასუხი ინგლისის ნოტაზე

მოსკოვი, 15 ივნისი. ს. ს. რ. კ—ის მთავრობამ ინგლისის მთავრობას ნოტის საპასუხოდ აცნობა:

„გაეცნო რა ბრიტანეთის მთავრობის მემორანდუმს, რომელიც გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო 12 ივნისს, საბჭოთა მთავრობა აუცილებლად სთვლის მიუთითოს ბრიტანეთის მთავრობას, რომ საბჭოთა კავშირში მთავრობის მიერ არაა საერთოდ აკრძალული ვალიუტის საზღვარ-გარეთ გატანა. ის მხოლოდ შეზღუდულია და ყოველ ცალკე შემთხვევაში განსაკუთრებულ ნებართვას საჭიროებს.

საბჭოთა მთავრობას, რომელიც ს. ს. რ. კ—ის მუშათა და გლეხთა ნებისყოფის გამომხატველია, არ შეეძლო აეკრძალა პროფკავშირებისათვის, რომლებიც აერთიანებენ ს. ს. რ. კ—ის რამოდენიმე მილიონ მუშებს, სხვა ქვეყნის პროფესიონალურ კავშირთა დასახმარებლად საზღვარ-გარეთ ფულის გადაგზავნაზე.

საბჭოთა მთავრობა ამასთან ერთად ბრიტანეთის მთავრობის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებისადმი, რომ არ ეთანხმება სინამდვილის ფაქტებს და არ შეესაბამება მთავრობათა შორის ნორმალურ ურთიერთობას ინგლისის მთავრობის ზოგიერთ წევრების გამოსვლები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ინგლისის პროფკავშირთა საბჭოსათვის გადაგზავნილი ფული ვითომც საბჭოთა მთავრობის მიერ იყო გაგზავნილი იმ დროს, როცა ნამდვილად ეს ფული გაგზავნა საკავშირო პროფსაბჭოთა ცენტრალურმა საბჭომ პროფკავშირების ცენტრებთან შეთანხმებით.

უკანასკნელი ცნობები

მოლაპარაკება მაროკოში

პარიზი, 14 ივნისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთ-ესპანიის მოლაპარაკება მაროკოს შესახებ მარშალ პეტენის თავმჯდომარეობით დაიწყო.

მოითხოვენ ხოჯესის გადადგომას

ლონდონი, 14 ივნისი. შოტლანდიის სამთო-მადნო მუშების ფედერაციის აღმასკომი, აირშარის სამთო-მადნო მუშების წინადადებით, რომლებიც გადაჭრით მოითხოვდენ, რომ ხოჯესი გადამდგარიყო სამთო-მადნო მუშების ინტერნაციონალის მდივნის თანამდებობიდან, რეფერენდუმს ახდენს ამ საკითხის შესახებ

მშვიდობიანობის საზოგადოების კონფერენცია

ლონდონი, 14 ივნისი. ლიბერალ რენსიმონის წინადადებით ზავის საერთაშორისო საზოგადოების ყოველწლიურმა კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც გადაჭრით მოითხოვს იმ დაბრკოლებათა მოსპობას, რომლებიც ხელს უშლიან საბჭოთა კავშირს, რომ განიარაღების კონფერენციაზე მიიღოს მონაწილეობა.

ამასთან ერთად კონფერენციამ გამოსთქვა აზრი საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში შეყვა-

ბოლდუინის განცხადება

ლონდონი, 15 ივნისი. დღეს თემთა პალატაში სანახშირო მრეწველობაში შექმნილ მდგომარეობის შესახებ განცხადებით გამოვიდა ბოლდუინი. მან აღნიშნა, რომ მთავრობას აღარ შეუძლია განაგრძოს სუბსიდიის მიცემა მაღაროს მეპატრონეებისათვის.

ერთად ერთი გამოსავალი კრიზისიდან შრომის პირობების რეორგანიზაცია და ხელფასის შემცირებაა სთქვა ბოლდუინმა.

შემდეგ მან განაცხადა, რომ მთავრობას განზრახული აქვს დააკანონოს 8 საათის სამუშაო დღე და შეიტანოს პალატაში კიდევ მთელი რიგი კანონპროექტები სანახშირო კომისიის მოხსენების ცხოვრებაში გასატარებლად.

კაშენის შეკითხვა

პარიზი, 15 ივნისი. კომუნისტურმა დეპუტატმა კაშენმა შეკითხვა შეიტანა პარლამენტში ფრანკის კურსის ცვალებადობისა და მის გამომწვევ მიზეზების შესახებ.

მთავრობა მოითხოვს შეკითხვის გადადებას, მაგრამ ალბათ გამოვა საერთო განმარტებით ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ

პერეს გადადგომის შემდეგ

ბერლინი, 15 ივნისი. ფინანსთა მინისტრის რაულ პერეს გადადგომის შემდეგ ბრიანის კაბინეტის მდგომარეობა შეირყა.

ერთი წლის განმავლობაში საფრანგეთში ფინანსთა ხუთი მინისტრი გამოიცვალა.

ჟენევის მაგიერ ვენა

ბერლინი, 15 ივნისი. იტალიის გაზეთი „პოპოლო დი იტალია" ილაშქრებს ჟენევის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ იტალიის დელეგატები ვერ იმუშავებენ ვერც ერთ კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულ იქნება ჟენევაში, სადაც იტალიის წინააღმდეგ გალაშქრებას ექნება ადგილი.

გაზეთი მოითხოვს ჟენევის მაგიერ ვენის არჩევას სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებისა და თათბირების მოსაწყობათ.

ქარიშხალი

ბერლინი, 15 ივნისი. ქარიშხალმა ჩიკაგოსა და მის მიდამოებს ორი მილიონი დოლარის ზარალი მიაყენა. მოკლულია 15 კაცი. გერმანიაში გრძელდება ძლიერი ქარიშხალი. და ნიაღვარი. მრავალ ადგილებიდან გადმოვიდნენ მდინარეები

სტიქიურ უბედურებათა შესახებ იტყობინებიან აგრეთვე პოლონეთიდან, უნგრეთიდან და რუმინეთიდან.

ნიაღვარი სომხეთში

ერევანი, 15 ივნისი. ნიაღვარმა დიდი ზარალი მიაყენა კატარის მაღაროებს. სომხეთის სხვა და სხვა ნაწილებში დაზიანებულია 1120 დესეტინა ნათესები. განსაკუთრებით დაზიანდა ერივანის გზა.

ავსტრალიის მაღაროს მუშათა გაფიცვა

ლონდონი, 15 ივნისი. სიდნეიდან მიღებულ ცნობით, მაღაროს მუშებისა და მეპატრონეების წარმომადგენლებმა შეიმუშავეს შეთანხმების ძირითადი მუხლები.

მოსალოდნელია მაღაროს მემანქანეთა გაფიცვა შესწყდეს.

მოლაპარაკება დაიწყო

პარიზი, 15 ივნისი. საფრანგეთ-ესპანეთის კონფერენცია მაროკოს შესახებ გაიხსნა დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში.

სტიქიური უბედურებანი

ლონდონი, 15 ივნისი. ჩიკაგოდან მიღებულ ცნობით, დასავლეთ შტატებში დიდმა ნიაღვარებმა მრავალი ხიდი წაიღო, ასობით სახლები დაანგრია და გაანადგურა ნათესი. ბევრი მოკლულია და დაჭრილია.

ლონდონი, 15 ივნისი. „დეილი მეილის" პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, ძლიერი წვიმების გამო სენას მთავარი შენაკადების— მარნას და სონის დონემ 24 საათის განმავლობაში 3 ფუტით აიწია

ძლიერი წვიმების შესახებ იუწყებიან შვეიცარიისა და საფრანგეთის სხვადასხვა ადგილებიდან.

ბადენის დიდი ნაწილი განადგურებულია ციკლონით. ნათესები სავსებით მოსპობილია.

ამით თავდება დილის სხდომა.

სანახშირო კონფლიქტი

ლონდონი, 15 ივნისი. დღეს თემთა პალატაში შესდგება დებატები ნახშირის საკითხის ირგვლივ. პირველად ილაპარაკებს ბოლდუინი, შემდეგ ოპოზიციურ პარტიების ლიდერები. დღისით შესდგება კაბინეტის სპეციალური სხდომა პალატის სხდომის საკითხის შესახებ. ბოლდუინმა ინახულა მაღაროს მეპატრონეთა წარმომადგენელნი.

მრეწველთა მოთხოვნილება

ლონდონი, 15 ივნისი. ინგლისის მრეწველთა ეროვნულ კავშირის საბჭომ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც წინადადებას იძლევიან შესწყვიტონ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა.

საგანგებო კონფერენციის წინ

ლონდონი, 15 ივნისი. გუშინ მოხდა ინგლისის პროფსაბჭოთა გენერალურ საბჭოს სხდომა, რომელიც მოუნდა იმ მოხსენების მომზადებას, რომლითაც საბჭო გამოვა 25 ივნისს პროფკავშირთა აღმასკომის საგანგებო კონფერენციაზე.

ფაშისტების თავხედობა

რომი, 15 ივნისი. გუშინ მილანელი ფაშისტები შეცვივდენ მაქსიმალისტურ გაზეთ „ავანტის" რედაქციაში და რედაქციის მოწყობილობა დაანგრიეს. მაქსიმალისტების ერთ ბელადთაგანს, რომელიც რედაქციაში იყო, სცემეს.

კანტონის მთავრობის ზომები

რეფორმები

კანტონი, 14 ივნისი. კანტონის მთავრობა ცხოვრებაში ატარებს შემდეგ ღონისძიებებს:

15 ივნისიდან უქმდება მონოპოლია ნავთზე; საგარეო საქმეთა სამინისტრომ განკარგულება გასცა, რათა დაიწყონ მოლაპარაკება ჰონკონგის ბოიკოტის მოსაგვარებლად; არსდება შრომის არბიტრაჟის ბიურო, რომელშიაც თანაბარი ხმით შევლენ მწარმოებელთა და მუშათა წარმომადგენელნი; სახელმწიფო კონტროლს წინადადება მიეცა სასტიკ პასუხისგებაში მისცეს მექრთამე მოხელე; განათლების დარგში განზრახულია რეფორმის ჩატარება და ამისათვის საჭირო ხარჯების შეტანა სახელმწიფოს საერთო ხარჯთ-აღრიცხვაში.

კანტონის მთავრობა მოუწოდებს ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაეხმარონ მას აღნიშნულ რეფორმების ჩატარების საქმეში.

სესხი

კანტონი, 14 ივნისი. კანტონის მთავრობის მიერ გამოშვებული სესხი 5 მილიონი დოლარის რაოდენობით—ჩქარა იქნა დაფარული.

იაპონიის ჯარები ჩინეთში

ტოკიო, 14 ივნისი. იაპონიის პრესის ცნობით, სამხედრო სამინისტრომ გადასწყვიტა გააძლიეროს ჩინეთში იაპონიის გარნიზონები.

სამხრეთ-მანჯურიის რკინისგზის დამცველი შტაბი, რომელიც 6.500 კაცისგან შესდგება, განზრახულია აიყვანონ 12 ათას კაცამდე.

კორეიაში გადაყვანილ იქნება ცხენოსანთა ბრიგადა. იაპონიის გარნიზონები პეკინში, ტიან-ძინში და ჩინეთის სხვა ქალაქებში გადიდებულ იქნება იმ რაოდენობამდე, რომელიც აღემატება სხვა სახელმწიფოთა გარნიზონების რაოდენობას.

სამხედრო სამინისტრო უარჰყოფს ამ ცნობას, მიუხედავათ იმისა, რომ იგი გამოქვეყნებულია ყველა გაზეთების მიერ.

ამერიკელი მუშებში

ნიუ-იორკი, 14 ივნისი. ბრძოლა 40 საათიანი კვირისათვის თანდათან ფართე ხასიათს ღებულობს.

ბეწვეულების წარმოების მუშების გარდა, ამ მოთხოვნილებას აყენებენ სხვა პროფკავშირებიც. „ინიციატივა ყოველთვის ქვემო ფენებიდან გამოდის. პროფკავშირთა ბელადები ეწინააღმდეგებიან ამ მოთხოვნილებას და გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ მემარცხენე ელემენტების წინააღმდეგ თავის ორგანიზაციებში.

გაფიცვები საფრანგეთში

პარიზი, 14 ივნისი. ტრამვაის მუშებმა ლილში გამოაცხადეს გაფიცვა. ელექტრო-სადგურის მუშები ნიშნად სოლიდარობისა შეუერთდენ გაფიცულებს.

ტრამვაის მუშები მოითხოვენ სამუშაოს ხელფასის გადიდებას 30 პროცენტით, ხოლო კამპანია თანახმაა 18 პროცენტზე.

ინგლისი და ირაქი

ანგორა, 14 ივნისი. გაზეთების ცნობით, ინგლისის წარმომადგენელს ლინდსეის და ირაქის დელეგატს ნური-ფაშას შორის წამოიჭრა მწვავე კონფლიქტი იმ განცხადებების გამო, რომელიც ნური ფაშამ მისცა პრესის წარმომადგენლებს მისი ანგორაში ყოფნის დროს.

ამ განცხადებებში ნური-ფაშა ამტკიცებდა, რომ ირაქი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

იტყობინებიან, რომ ლინდსეიმ ამის შესახებ აცნობა ირაქის უმაღლეს კომისარს და მოითხოვა ნური-ფაშას გაწვევა. შესაძლებელია, რომ ნური-ფაშა იძულებული იქნება უარჰყოს თავისი განცხადებები.

საფრანგეთის მთავრობამ თავის მხრივ ნური-ფაშას განცხადებებში საფრანგეთის მართვა-გამგეობის შესახებ სირიაში დაინახა „წაქეზება აჯანყებისათვის".

ფიქრობენ, რომ საფრანგეთი ამის გამო პროტესტს გამოუცხადებს ინგლისს, როგორც სახელმწიფოს, რომელსაც აქვს მანდატი ირაქზე.

საპროტესტო მიტინგები

ნიუ-იორკი, 14 ივნისი. რემედასის ამერიკულმა სექციამ სხვა მემარცხენე მუშათა ორგანიზაციების წევრებთან ერთად მოაწყო მასიური საპროტესტო მიტინგი საკოს და ვანცეტისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის წინააღმდეგ.

ასეთივე მიტინგები გაიმართა ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, ბოსტონში და სხვა ქალაქებში. საკოს და ვანცეტისათვის განაჩენის სისრულეში მოყვანა დროებით გადადებულია.

საკოს და ვანცეტის დამცველებმა გასაჩუზეტის უზენაეს სასამართლოს მიმართეს თხოვნით, რათა სასამართლომ ნება დართოს მათ წარმოადგინონ საქმის გადასინჯვის საჭიროების ახალი დასაბუთება. ეხლა უკვე დამტკიცებულია, რომ ბოროტმოქმედება, რომელსაც საკოს და ვანცეტის მიაწერდენ, ჩადენილია ადგილობრივ ყაჩაღების მიერ.

დანიის პროფკავშირებში

კოპენჰაგენი, 15 ივნისი. იმ კონფლიქტის გამო, რომელიც წარმოიშვა შავ მუშათა პროფკავშირსა და პროფკავშირთა ცენტრალურ ორგანიზაციას შორის, დანიის პროფმოძრაობას განხეთქილების საფრთხე მოელის.

შავი მუშები მოითხოვენ 55 ადგილს ცენტრალურ ორგანიზაციაში, რის უფლებაც მათ აქვთ თავის წევრების რიცხვის მიხედვით.

ამ საკითხის გადასაჭრელად სპეციალური ყრილობა იქნება მოწვეული.

კონსერვატორების ახალი ხრიკები

„იზვესტიას" წერილი

მოსკოვი, 15 ივნისი. „იზვესტია" მოწინავეში სათაურით: „შეტევაზე გადასვლა", ინგლისის მთავრობის მემორანდუმის შესახებ აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობა ოფიციალურ ნოტაში უარს აცხადებდა დაეცვა ინგლისის კონსერვატორული პრესის მიერ გაზვიადებული უაზრო ვერსია იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა მთავრობა აგზავნიდა ფულს საყოველთაო გაფიცვისათვის ხელის შესაწყობად.

ინგლისის მთავრობა, რომელმაც სპეციალური კანონი გამოსცა, რომელიც ნებას აძლევს შინაგან საქმეთა მინისტრს კონფისკაცია მოუხდინოს საზღვარგარედ გადაგზავნილ იმ ფულად თანხებს, რომლებიც გაფიცვას უნდა მოხმარდეს, დამოუკიდებლად იმისა, თუ საიდან იგზავნება ფული,—დიპლომატიურ დოკუმენტში აცხადებს პროტესტს საბჭოთა კავშირიდან ფულის გადაგზავნის წინააღმდეგ.

სავსებით ნათელია, რომ ამ დიპლომატიური შემოტევის მიზანი და მნიშვნელობა სრულიადაც არ მდგომარეობს უცხოეთის პროფკავშირთა მიერ ინგლისის მუშებისადმი ბრძოლაში მხარის დაჭერის უფლების შესახებ აკადემიურ კამათში, არამედ სულ სხვა რამეში. ეს „სხვა რამ" საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეტევის საერთო გეგმის განხორციელებაში მდგომარეობს — ეს კიდევ ერთი ცდაა, რომ საბჭოთა კავშირის მიმართ ახალი ეკონომიური და პოლიტიკური ზეგავლენით მიაღწიონ დათმობებს ვალის საკითხში.

ინგლისის სახალხო მეურნეობის საერთო კრიზისი, რომელიც ინგლისის ეკონომიკის ბუნებრივ ტენდენციებიდან გამომდინარეობს და რომელიც გაძლიერდა როგორც გენერალურ, ისე სამთამადნო მუშების გაფიცვით, კონსერვატიულ მთავრობას სურს, რომ ეს კრიზისი ხანმოკლე დროით მაინც შეამციროს იმით, რომ საბჭოთა კავშირს თავს მოახვევს მიუღებელ პირობებს. ამ საშუალებით ინგლისის კონსერვატორები შესძლებდენ ცოტაოდნად მაინც აღემაღლებიათ შერყეული თავისი პრესტიჟი, რომელიც დაცემას განაგრძობს ინგლისის მოსახლეობის ფართო წრეებში.

ეს იმედი წინასწარ გაცრუებულად შეიძლება იქნას ცნობილი.

ინგლის - საბჭოთა დამოკიდებულების გამოცდილებას თითქოს უნდა დაერწმუნებია ინგლისის კონსერვატორები, რომ ასეთი გზით და ასეთი საშუალებებით საბჭოთა კავშირისაგან ვერაფერს ვერ მიიღებენ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ახკომინტერნში

მოსკოვი, 15 ივნისი. ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალის პრეზიდიუმმა მიიღო წინადადება, ახალგაზრდობის კომ. ინტერნაციონალში პალესტინის ახალგაზრდობის კავშირის მიღების შესახებ.

ლანცუცკის ავადმყოფობა

მოსკოვი, 15 ივნისი. რემედასის პოლონეთის სექციიდან მიღებულია ცნობა მოკოტოვის ციხეში ლანცუცკის მძიმე ავადმყოფობის შესახებ. მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, ლანცუცკი კამერაში დატოვებულია ყოველგვარ მედიცინურ დახმარების გარეშე.

ინგლისელ მუშების სასარგებლოდ

კიევი, 15 ივნისი. სამხრეთ-დასავლეთის რკინისგზის მუშა-მოსამსახურეებმა, ინგლისში გაფიცულ მაღაროს მუშების სასარგებლოდ მოაგროვეს 18.000 მან. ფულის შეგროვება გრძელდება.

ნათესების მდგომარეობა

მოსკოვი, 15 ივნისი. ც. ს. ს. ცნობით, ნათესების საერთო მდგომარეობა კავშირში, მიუხედავად ამ ბოლო დროის ცუდი ამინდებისა—1 ივნისისათვის საშუალოზე უფრო მაღალია. არავითარი საფრთხე მომავალი მოსავლისთვის არ არის.

წერაკითხვის ყრილობა

მოსკოვი, 15 ივნისი. 14 ივნისს გაიხსნა „ძირს წერაკითხვის უცოდინარობის" საზოგადოების კონფერენცია.

1926—27 წლისათვის ნავარაუდევია წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია 1.347.000 კაცს შორის.

მისალმებით გამოვიდა კრუპსკაია, რომელიც ლაპარაკობდა წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის აუცილებლობის შესახებ.

ცენტროკავშირის დახმარება

მოსკოვი, 15 ივნისი. მაღაროს მუშების ცეკამ ინგლისში გადააგზავნა ცენტროკავშირიდან მიღებული 50.000 მან. წინად შემოსულ თანხებთან ერთად, კოოპერაციის ორგანოებმა ინგლისში გაფიცულ მაღაროს მუშებს გაუგზავნეს 77.000 მანეთი.

წყალდიდობა.

ასტრახანი, 15 ივნისი. „ასტრახან-დელტას" ნაწილში რკინისგზის ქსელი წყალდიდობამ გადარეცხა. მატარებლების მიმოსვლა შეწყდა 13 ივნისს; ასტრახანიდან გასული მატარებელი უკანვე დაბრუნდა.

სურსათი.

ასტრახანი, 15 ივნისი. სწარმოებს დიდი მუშაობა წყალდიდობიდან დაზარალებულ სოფლის მცხოვრებთა სურსათ-სანოვაგით უზრუნველსაყოფად. კოოპერაციამ მოაწყო მცურავი დუქნები, რომლებიც პირველი საჭიროების საგნებს აწვდიან მცხოვრებლებს.

ამინდი.

ლენინგრადი, 15 ივნისი. მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიის გამოკვლევით, 15 ივნისიდან საბჭოთა კავშირის ევროპიულ ნაწილში, განსაკუთრებით ჩრდილოეთით, მოხდება ტემპერატურის დაწევა და თან წვიმებიც მოჰყვება.

ამხ. სტალინი სოხუმში

სოხუმი, 15 ივნისი. ამხ. სტალინი გემით „ლენინ" ჩავიდა სოხუმში. გემზე მას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ამხ. ორახელაშვილთან, ელიავასთან, კახიანთან და სხვებთან.

კრედიტები ა-კ. მრეწველობას

მოსკოვი, 15 ივნისი. 14 ივნისს საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ მრეწველობის ძირითადი კაპიტალის აღდგენის განსაკუთრებულ სექციაში გრძელდებოდა ამიერკავკასიის მრეწველობის გაფართოების ხუთწლიანი გეგმის განხილვა.

ბამბის საკითხში სექციამ მიიღო ა. კ. მთავრობის მოსაზრებანი და დაადგინა დამუშავებულ იქნეს საკითხი მელიორაციის განვითარებასთან შეფარდებით. ბამბეული მანუფაქტურის მრეწველობის განვითარების გეგმა მიღებულ იქნა პირობით: ნახჭევანის, განჯის და ლენქორანის ფაბრიკების აგება მიღებულ იქნა იმ პირობით, რომ ფაბრიკების პროდუქციის მიხედვით გამორკვეულ იქნეს ამიერ-კავკასიის ბამბეული მანუფაქტურის მრეწველობის 220.000 თითისტარამდე აყვანის საკითხი. საღებავი ქარხნის აგება დაკავშირებულია ისეთი ადგილის გამონახვასთან, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება წყლის თავისუფალი მარაგით.

სექციამ მოიწონა აბრეშუმის სახვევი საქმის 2.000 ვარცხლამდე აყვანა და აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის აგება 110 დაზგით.

სატყეო მრეწველობის გეგმა სექციამ მიიღო. 2 ხის დამამუშავებელი ქარხნის აგება დაკავშირებულ უნდა იქნეს ქაღალდის 2 ქარხნის აგებასთან. ქაღალდის ქარხნების აგება ახლო მომავალში უნდა დაიწყოს.

ქიმიური მრეწველობის გაფართოების გეგმა მიღებულ იქნა. ასაგებ აზოტის ქარხნის პროდუქცია შემცირებულ უნდა იქნეს 100.000 ტონა აზოტამდე.

მრეწველობის სხვა დარგების განხილვა გადადებულია შემდეგი სხდომისათვის.

საქართველოს ცაკის მესამე სესია ქ. სოხუმში

13 ივნისის საღამოს სხდომა*)

კამათი ამხ. ელიავასა და ლაკობას მოხსენებების გარშემო

სოხუმი, 15 ივნისი. 13 ივნისის საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. ელიავასა და ლაკობას მოხსენებების გარშემო.

ამხ. მათუა

(აფხაზელი გლეხი)

შეეხო მუჰაჯირის (1877 წელს ოსმალეთში გადასახლებულ აფხაზების) საკითხს. აღწერს რა მათ გაჭირვებულ მდგომარეობას უცხო მხარეში, მათუა სთხოვს მთავრობას—მიიღოს ზომები მუჰაჯირების სამშობლოში დასაბრუნებლად.

ამხ. სნეგირიოვი

(წითელი არმიის წარმომადგენელი)

ამბობს, რომ საქართველოსა და აფხაზეთის მთავრობების მოხსენებაში მთავარი ყურადღება მიქცეული ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალურ პოლიტიკას საქართველოში. ორატორი აცხადებს, რომ წითელ არმიაში ადგილი არა აქვს არავითარ არანორმალობას, რომელიც დაადასტურებდა ერთი ერის მიერ მეორე ერის ჩაგვრის ფაქტს.

დასასრულ ამხ. სნეგირიოვი საქართველოს ცაკის სესიის ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, თუ როგორ შუქდება საკავშირო სატახტო ქალაქების გაზეთების ფურცლებზე ადგილობრივი ხელისუფლების ღონისძიებები ნაციონალური პოლიტიკის გასატარებლად და მოსახლეობის კულტურული დონის ასამაღლებლად. „მე საშუალება მქონდა,—ამბობს ამხ. სნეგირიოვი,—საკავშირო ცაკის „უწყებებში" წამეკითხა მთელი რიგი წერილები „უწყებების" ე. წ. საკუთარი კორესპონდენტის, რომელიც ჩამოვიდა საქართველოში და კერძოდ აჭარისტანში მდგომარეობის გასაცნობად. ცნობებს, რომლებსაც იგი იძლევა თავის წერილებში, გაეცნობა საბჭოთა კავშირის და, შესაძლებელია, მთელი მსოფლიოს მკითხველი მასა. აი რას სწერს იგი აჭარისტანის შესახებ: ეს არის ზარმაცების ქვეყანა. აჭარლები—ეს არის ხალხი, რომელიც უმთავრესად კონტრაბანდის გამოტანას აწარმოებს. ამ კორესპონდენციაში ბრძოლა ჩადრთან გამოყვანილია, როგორც ბრძოლა კონტრაბანდასთან. ერთი სიტყვით, ჩვენ ათასნაირ შემცდარ შეხედულებებთან გვაქვს საქმე.

ვფიქრობ, რომ ცაკის სესიამ უნდა მიაქციოს ყურადღება იმას, რომ ამგვარი ცნობები არ იბეჭდებოდეს ისეთ ორგანოში, რომელიც სწორ ცნობებს უნდა აწვდიდეს მკითხველ საზოგადოებას.

ამხ. მარია ორახელაშვილი

ამბობს: „საშუალო სკოლა არ ვარგა და ის არ გვაძლევს იმ მუშაკებს, რომლებიც ჩვენ გვესაჭიროება. ეს მართალია, მაგრამ ეს არის ჩვენი უბედურება და არა დანაშაული. ყველამ კარგად იცის, რომ ძველის გადაკეთება უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე ახალის შექმნა.

მეორე საფეხურის ახალმა სკოლებმა, ტეხნიკუმებმა და სპეციალურმა საშუალო სასკოლო დაწესებულებებმა სავსებით გაამართლეს თავისი თავი. ისინი გვაძლევენ მოსწავლე ახალგაზრდობის ახალ თაობას. ჩვენ მრავალი ჰუმანიტარული საშუალო სასწავლებლები გვქონდა. ჩვენ ეხლა ვახდენთ მათ გადაკეთებას და სკოლების რეორგანიზაციის საქმე თანდათანობით ნორმალურ კალაპოტში დგება. იმ ღონისძიებებმა, რომლებსაც ჩვენ მივმართეთ უკანასკნელ ხანებში, კარგი შედეგები მოგვცა.

რასაკვირველია, პირველი ორი-სამი წლის შედეგები ვერ იქნება ხელშესახები, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს შვიდწლედებსა და ცხრაწლედებს სწორი პრაქტიკული პრინციპები უდევს საფუძვლად. ჩვენ მათ თანდათანობით გადავაქცევთ პროფესიონალურ სასწავლებლებათ.

რაც შეეხება უმაღლეს სკოლას, აქ ყველაფერი რიგზე არ არის. მისი მოკლე ხანში და სწრაფად გადაკეთება, შეგუება მშრომელი მასების ახალ საჭიროებებთან, მეტად ძნელია ამიტომ ჩვენ ყოველ ზომებს მივმართავთ, რომ ამ სკოლის მდგომარეობა გავაუმჯობესოთ".

ამხ. ქურდაძე

თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ საქართველოში ნაციონალური საკითხი მთლიანად სწორად არის გადაჭრილი, მაგრამ პრაქტიკულ მუშაობაში ადგილი აქვს ზოგიერთ დეფექტებს, რომლებსაც გამოსწორება ესაჭიროება.

ორატორი ეხება ალმშენებლობის ზოგიერთ დეფექტებს და ამბობს: „ტყეები ნადგურდება, არტელები და კომუნები, რომლებიც სტიქიურად არსდებიან, უყურადღებოთ არიან მიტოვებული. მიწის რეფორმა აფხაზეთში არ ჩატარებულა დაკვრითი წესით და დღემდე ზოგიერთი თავადები და მემამულეები არ არიან განდევნილი მამაპაპეული ბუნაგებიდან".

შემდეგ ამხ. ქურდაძე გაკვირვებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ აფხაზეთის მშრომელები არ იხდიან სავალდებულო სამხედრო ბეგარას იმ დროს, როცა სოციალისტური სახელმწიფოს დაცვა შეადგენს თვითეული მშრომელის მოვალეობას.

ამხ. გეგეჭკორი

რომელიც ამხ. ქურდაძის შემდეგ გამოდის, ამბობს, რომ მას განზრახვა არ ჰქონდა გამოსულიყო კამათში ამხ. ელიავასა და ლაკობას მოხსენებების გარშემო, მაგრამ ამხ. ქურდაძის გამოსვლამ აიძულა ის სიტყვით გამოსულიყო.

„ამხ. ქურდაძე, — ამბობს ის, — მართალია იმაში, რომ სატყეო მეურნეობა ისე, როგორც საერთოდ მთელი ჩვენი მეურნეობა, ჯერ კიდევ არ გამოსულა იმ ქაოტიური მდგომარეობიდან, როგორშიც ჩვენ მივიღეთ იგი მემკვიდრეობით. ჩვენი ტყეების რეორგანიზაციასა და მოწყობას ჩვენ, თუ არ ვცდები, შევუდექით სამი წლის წინათ. შეიძლებოდა განა სამი წლის განმავლობაში იმის აღდგენა, რაც მრავალი წლების განმავლობაში ჩანაგდებოდა?

გარდა ცენტრისა, გადასვლა სწორ სამეურნეო საფუძვლებზე უნდა ხდებოდეს იმ სამაზრო და სათემო აღმასკომების თაოსნობით, რომელთა ფარგლებში მდებარეობს ტყე".

შემდეგ ამხ. გეგეჭკორი ამბობს, რომ მიღებულია ყოველგვარი ზომები სატყეო სიმდიდრის რაციონალურად გამოყენების მიზნით, მაგრამ არსებული ძველი ხელუხლებელი ტყეების დამუშავებას აბრკოლებს საჭირო საშუალებების უქონლობა.

ეხება რა კოლექტიურ მეურნეობათა საკითხს, ორატორი აცხადებს, რომ ადგილობრივ ხელისუფლების დაუდევრობის წყალობით დღემდე არ მოიპოვება სწორი ცნობები მათი რაოდენობის შესახებ. ყველა ამ მეურნეობათ ესაჭიროება დახმარება კრედიტით და აგრარული დახმარება, მაგრამ აქაც არ მოგვეპოვება საჭირო საშუალებები.

ჩემი აზრით, საბჭოთა ქვეყანა წარმოადგენს მებრძოლ პროლეტარულ ესკადრას, რომელსაც ამჟამად გარს არტყია კაპიტალისტური მსოფლიო; მან,ამ ესკადრამ,თავი უნდა დაიცვას და ბოლოსდაბოლოს უნდა გაარღვიოს ეს ბურჟუაზიული მკვდარი რგოლი; ამ მებრძოლ ესკადრაში აფხაზეთი და საქართველო წარმოდგენილი არიან ერთ განუყოფელ მებრძოლ ერთეულის სახით.

მებრძოლი ხომალდი იარსებებს და მზად იქნება საბოლოო გამარჯვებისათვის იმდენად, რამდენადაც ეს ხომალდი არ იქნება დაქუცმაცებული ნაწილ-ნაწილად, რამდენადაც ეს ხომალდი იქნება მებრძოლი შემადგენელი ნაწილი საერთო საბჭოთა მებრძოლ ესკადრის, რომელსაც ეწოდება ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკა და საბჭოთა კავშირი.

ამას აქ არავინ არ უარყოფდა და ამიტომ ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

ლენინური პოლიტიკა

არის ერთი ქართული ანდაზა, რომელიც ასეთ აზრს გამოხატავს, რომ ას მექოთნეზე საკმარისია ერთი ჯოხით შეიარაღებული, რომელიც ასი მექოთნის ნამუშევარს ერთ საათში ნამტვრევებათ აქცევს. ასმა აფხაზმა ამხანაგმა რომ სწორად გადასჭრას საკითხი, სადმე სამაზრო ხელისუფლების რომელიმე, კუნჭულში გამოჩნდება ივნისის ან ივლისის რომელიმე გმირი, რომელიც იტყვის: „მოდით, აფხაზებს, ქართველებს, სომხებს და ყველა დანარჩენებს სახელმწიფო ენათ გამოუცხადოთ რუსულიო". ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შევრცხვებით, სკანდალი მოგვივა, საბჭოთა ნაციონალურ პოლიტიკაში, ხოლო ეს პოლიტიკა ხომ ლენინური პოლიტიკაა, რომელმაც ეპოქა შექმნა მთელი მშრომელი კაცობრიობისათვის.

სხვა საკითხებიდან, რომელიც ჩვენი კამათის დროს წამოიჭრა, ყურადღებას იპყრობს ქურდაძის მიერ წამოყენებული საკითხი. ის შეუპოვრად, ბოლშევიკურად, როგორც ამას იტყოდა, ჭექა-ქუხილის და მძაფრი იერიშების დროს, ბოლშევიკი, ლაპარაკობს, რომ აფხაზეთის სოფელში საჭიროა მოხდეს არა ეკონომიური, არამედ ადმინისტრატიული დიფერენციაცია. ასეთი იყო მისი განცხადების აზრი. მაგრამ ეს შემცდარია ეხლანდელ პერიოდისათვის.

რა არის დღეს საჭირო

რასაკვირველია, თავადაზნაურობა, რამდენადაც თავის თავადურ თეთრ ძვალს არ იცვლის საბჭოთა მოქალაქის და მშრომელის შავ ძვალზე, ალაგმული უნდა იქნეს. ჩვენ ვართ არა მარტო პოლიტიკოსები, არამედ მსოფლიოს რევოლიუციის მახარობელნი და მებრძოლნიც. ამიტომ ჩვენ ვართ დღევანდელი დღის პოლიტიკოსებიც. ამ დიად პერსპექტივების მიხედვით უნდა გავაშუქოთ ჩვენ ყოველი ნაბიჯი, ყოველი ჩვენი მოქმედება უნდა შევუფარდოთ იმ ძალთა განწყობილებას და იმ პირობებს, რომელიც არ არსებობს. აი ამიტომ ის, რასაც ქურდაძე მოითხოვს, სხვანაირად უნდა გაკეთდეს.

ამჟამად უკვე არსებობს საკავშირო კანონი მემამულეების გამოსახლების შესახებ იმ მამულებიდან, რომელიც მათ ამჟამად უჭირავთ. ავიღოთ ეს კანონი, რომელიც სავალდებულოა საქართველოსა და აფხაზეთისათვისაც, შეუფარდოთ ჩვენს სინამდვილეს და თავისებურ პირობებს, რომელთაც ჩვენში ადგილი აქვს. ვიმოქმედოთ იმ კანონის მიხედვით და, ჩემი აზრით, სხვა „უკანონო" გზები ჩვენთვის ამჟამად აღარ იქნება საჭირო.

პოლიტიკური სკოლა

შეუძლებელია დავა და კამათი იმაზე, რომ საერთოდ მთელ საქართველოს და კერძოთ აფხაზეთის მშრომელთათვის წითელი არმია წარმოადგენს საუკეთესო პოლიტიკურ სკოლას და მნიშვნელოვან რევოლიუციონურ სტაჟს სოფლების მუშაკებისათვის, რომ არ ვილაპარაკოთ მშრომელთა მოვალეობაზე—დაიცვან საბჭოთა მიწა-წყალი. მაგრამ წითელი არმია როდია ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია კარები გაუღოს ყველას, ვინც კი მასში შესვლას მოისურვებს. საჭიროა ერთგვარი წინასწარი პირობები. თუ ამჟამად აფხაზები ჯერ კიდევ არ მიჰყავთ საკადრო ნაწილებში, ეს ჯერ-ჯერობით იმიტომ, რომ ეს არ ესაჭიროება წითელ არმიას და არ ესაჭიროება თვით აფხაზეთსაც. ვინ იფიქრებს, რომ აფხაზები, ეს ბეჯითი და გაბედული ხალხი, უარს იტყვიან თავისი მიწა-წყალის დაცვაზე, რომელიც მათ ხელიდან გამოსტაცეს მემამულეებმა და მეფის მოხელეებმა.

(დასასრული არაა მიღებული)

ამხ. ელიავას საბოლოო სიტყვა

თავის სიტყვის დასაწყისში ამხ. ელიავა აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ თავის მოხსენებაში განზრახ მიაქცია უმთავრესი ყურადღება საბჭოთა საქართველოს და საბჭ. აფხაზეთის ურთიერთობას.

უპასუხა რა კამათში გამოსულ ორატორებს ამხ. ელიავა შეჩერდა აბხაზეთში დასახლებულ გლეხ სვანთა სახელით გამოსულ ორატორის [illegible] და აღნიშნა, რომ სვან-გლეხებს [illegible] უშუალოდ შეეძლოთ მიემართათ მთავრობისათვის. შეეხო რა ერთ-ერთი ორატორის განცხადებას იმის შესახებ, რომ სესიის სხდომებზე თითქოს არ ესწრებიან გლეხები ამხ. ელიავამ სთქვა: „დაე მსურავს შეიყვანს შეცდომაში ის გარემოება, რომ აქ კარგათ ჩაცმულ აბხაზებს ხედავს. ყველა ისინი გლეხები არიან. აბხაზი გლეხი ფაცხაში ცხოვრობს, მაგრამ მას შავი ცხენი და აქვს იარაღი, რომელსაც სიყვარულით უვლის. ეს მთელი რიგი ისტორიული პირობებით აიხსნება".

დასასრულ ამხანაგი ელიავა ამბობს: „ვფიქრობ, რომ ცაკის სესიამ უნდა აღნიშნოს საბჭოთა აბხაზეთის მთელი რიგი მიღწევებისა და დასახოს კონკრეტიული ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელებულ იქნეს უახლოეს ხანში, რათა დავეხმაროთ ჩამორჩენილ ერებს. ეხლა ჩვენ უნდა გამოვიმუშაოთ ჩვენი სამრეწველო მუშაობის მთლიანი გეგმა, რომელიც საშუალებას მოგვცემს აგრარული საქართველო და კიდევ უფრო მეტად აგრარული აბხაზეთი აგრარულ-სამრეწველო ქვეყნებად გადავაქციოთ. აქ არის მრეწველობის ჩანასახები, მაგრამ არ არის მთლიანი გეგმა, შედგენილი ფუნქციების განაწილებისა და ყველა მოთხოვნილებათა და საშუალებათა აღნუსხვით. ამიტომ ჩვენს დადგენილებაში კონკრეტიულად უნდა იყოს მითითებული, რა ამოცანებს ვსახავთ ჩვენ უახლოეს წლისათვის და როგორ ვიმუშავებთ მათ განხორციელებისათვის.

საქართველოს მთავრობამ აბხაზეთის საკითხი საკუთარ საკითხათ უნდა გაიხადოს. (ხანგრძლივი, მხურვალე ტაში).

ამხ. ელიავას საბოლოო სიტყვის შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ლაკობა, რომელმაც პასუხი გასცა შეკითხვებზე. ერთ-ერთ შეკითხვაზე მუჰაჯირების აბხაზეთში გადმოსახლების შესახებ ამხ. ლაკობა უპასუხებს: „მაჰაჯირის საკითხი ძნელია. მე ამას წინად ვიყავი ოსმალეთში, დავათვალიერე აბხაზების მთავარი რაიონები, მაგრამ არსად გამოუთქვამთ სურვილი ისევ უკან დაბრუნების შესახებ. აბხაზი იქ უკვე შეეგუა პირობებს, გაიჩინა მეურნეობა, აქვს სახლ-კარი, ვენახი და სხვა. ოსმალეთში მცხოვრები აბხაზი არ მოინდომებს თავის მეურნეობის მიტოვებას და უკან დაბრუნებას. თუ ისმება ეს საკითხი, მხოლოდ ემიგრანტთა ზედაფენების, ყოფილ თავადების, აზნაურების და უსაქმურთა მიერ, რომლებიც დაეხეტებიან სტამბოლის ქუჩებზე. ისინი ხან აბხაზთა და ხან ჩერქეზების კომიტეტს აწყობენ, იღებენ ფულებს, მაგრამ ლაპარაკის გარდა არაფერს აკეთებენ. რაც შეეხება 700 ოჯახს, რომელიც საბერძნეთში იმყოფება, მათი გადმოსახლების საქმე მოგვარების პროცესშია.

საკითხი ენის შესახებ მე თეორეტიულად და დეკლარატიულად გადაწყვეტილად მიმაჩნია, მაგრამ პრაქტიკულად ყველგან არ არის გატარებული მრავალ მიზეზთა გამო".

უპასუხა რა შეკითხვაზე აბხაზურ ენაზე ლიტერატურის შექმნის შესახებ ამხ. ლაკობამ განაცხადა:

„აბხაზურ ენაზე ჩემის აზრით არ შეიძლება მძლავრი ლიტერატურის შექმნა. საქართველოს მაგალითი აქ არ გამოგვადგება, რადგან საქართველოს ენას საუკუნოების ისტორია აქვს. შოთა რუსთაველი, რომელმაც „ვეფხვის ტყაოსანი" დასწერა მე-XII საუკუნეში სცხოვრობდა. თუ შეკითხვის ავტორს სურს იმ დონეზე გადასვლა, რომელზედაც ქართული ენა იმყოფება, ძალიან დიდი ხანს მოუხდება ლოდინი. ამიტომ ჩვენ გვირჩევნია ჩვენი დრო მოვახმაროთ უფრო პრაქტიკულ და საქმიან მუშაობას".

შეეხო რა დასასრულ ეროვნულ საკითხს ამხ. ლაკობამ სთქვა: „ჩვენს საბჭოთა პირობებში ერთა ძმური ცხოვრების პირობების შექმნა არ არის ძნელი, საჭიროა მხოლოდ, რომ წვრილმანები არ გადაექციონ ცალკე ეროვნულ პოლიტიკად".

14 ივნისის საღამოს სხდომაზე სესიამ მოისმინა ამხ. ვარძელის მოხსენება კონსტიტუციის შესახებ და ამხ. მათიკაშვილის მოხსენება სამაზრო აღმასკომების დებულებაზე.

14 ივნისის დილის სხდომა

ამხ. მამია ორახელაშვილის სიტყვა

სოხუმი, 14 ივნისი. 14 ივნისის დილის სხდომაზე სწარმოებდა კამათი ამხ. ელიავას და ლაკობას მოხსენებების გარშემო. გამოვიდა მთელი რიგი ორატორებისა, რომელნიც უმთავრესად ლაპარაკობდენ ნაციონალურ საკითხზე. ამავე საკითხის შესახებ ილაპარაკა ამხ. მამია ორახელაშვილმა, რომელმაც სთქვა:

ჩვენი მტრების გახრწნა

„რომ ვეძებოთ სიმბოლო პოლიტიკური ცხოვრების დარგში, იმაზე უკეთეს ვერ ვნახავთ, რომლის მოწმენიც ჩვენ ვართ. ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლი ბანაკი მორალურად იხრწნება. ისინი ერთმანეთს ულეტენ [illegible]. ისინი საფრანგეთის სასამართლოს მახლობლად, საფრანგეთის პოლიციის თვალწინ ჰკლავენ საბჭოთა ჟურნალისტებს და ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს ვეშაპელს შესაძლოა, რომ ფაშისტები ჰკლავდენ კომუნისტებს, მაგრამ მათში უკვე თავს იჩენს პოლიტიკური [illegible] პირველი ნიშანი და ყველაზე ვარგისიანი მათგანი თავს იკლავს და ტყვიას იცემს გულში.

მორალური ხერხემალის გარდატეხა

მე ვფიქრობ, რომ ეს არის ქართულ ემიგრაციის მორალური ხერხემალის გარდატეხა. იმათ იქ ახრჩობს აფხაზეთის ძვალი, ჩვენ კი ამ დროს სხდომა გვაქვს სოხუმში. ჩვენ მოწმენი ვართ სოხუმის და მთელი აფხაზეთის მშრომელი მოსახლეობის აღფრთოვანებული შეხვედრის, იმ [illegible], რომელიც ჩვენი თვალით ვნახეთ, იმ პოლიტიკური განცდების, რომელიც ჩვენ აქ მოვისმინეთ.

ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეხუთე წლის დასასრულს ჩვენ ძლიერი ვართ არა მარტო ჯავშნიანი მუშტით და პოლიტიკური ციხე-სიმაგრით, ჩვენ ძლიერი ვართ აგრეთვე ჩვენი მორალური ხერხემალით.

აფხაზეთი წარსულში

აფხაზეთი წინად, ე. წ. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, წარმოადგენდა რაღაც უცხო სხეულს, მუწუკს, რომელიც პოლიტიკური ორგანიზმის მუდმივ დაჩირქებას და სატკივარს იწვევდა. ეს აფხაზეთი ამჟამად თავისი [illegible] ამტკიცებს, რომ ყველაფერი ეს ის ისტორიის არქივს ჩაბარდა და დღის წესრიგში სდგას შემდგომი წინსვლა მჭიდრო კავშირის და პოლიტიკურ, სამეურნეო, კულტურულ და სამეურნეო მიზნების მთლიანობის ნიადაგზე.

ამაზე მეტი დამსახურება, ამაზე მეტი მუშაობის გაწევა ხუთი წლის განმავლობაში არც ერთ ხელისუფლებას არ შეეძლო. ეს შეიძლო მხოლოდ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას.

აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობა

სავსებით ბუნებრივია, რომ ამ სესიაზე, ამ მეგობრული თათბირზე ყურადღების ცენტრშია საქართველოს და აფხაზეთის ურთიერთობის საკითხი. ყურადღების ცენტრში ის დასმულია არა იმიტომ, რომ აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობა რაიმე გადაუჭრელ პოლიტიკურ პრობლემას წარმოადგენდეს, არამედ იმიტომ, რომ სოხუმში შეკრებილი საქართველოს ცაკის სესია, ცხადია, უნდა მიდგომოდა ამ საკითხს და სავსებით ამოეწურა ის.

ცხადია, რომ დამყარებული ურთიერთობა არ მოსწონთ იმ ნაძირალებს, რომელნიც სოხუმში და აფხაზეთში დარჩენ სოხუმის ქალაქის თავის, რამიშვილის, ჩხიკვიშვილის და პოლიცმეისტერ [illegible] დროიდან.

ამ ვაჟბატონების თვალსაზრისით ისმის საკითხი თვით აფხაზეთის რესპუბლიკის არსებობის შესახებ.

წინად სოხუმი საქართველოს კოლონია იყო. აქ ადმინისტრატორებად, კომუნალურ მუშაკებად, ნავთსადგურების მუშებად და სხვა ქართველები იყვნენ. მაგრამ სოხუმში არ ყოფილა არც ერთი აფხაზი, რომელიც საწარმოო შრომაში ყოფილიყო ჩაბმული.

ეხლა კი საიდანაც გამოჩნდნენ აფხაზები. ისინი არა მარტო სოხუმში ხელმძღვანელობენ საქალაქო ორგანიზაციებს. ისინი მეთაურობენ რესპუბლიკასაც. რასაკვირველია, რამიშვილის და ჩხიკვიშვილის მემკვიდრეებს არ შეუძლიათ არ დასვან საკითხი იმის შესახებ, რომ ძველისძველ „ქართულ ტერიტორიას" ეხლა ოკუპაციას უწევენ აფხაზები.

ვიმეორებ, მათთვის, ამ გაკოტრებულ ხალხისათვის საკითხი თვით აფხაზეთის რესპუბლიკის არსებობას შეეხება. ამ ვაჟბატონებს არ სურთ შეურიგდნენ საბჭოთა გადატრიალების ფაქტს, შეურიგდნენ ოქტომბრის რევოლიუციას, არ სურთ ან არ შეუძლიათ გაიგონ საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკა.

აფხაზეთის რესპუბლიკა

აფხაზეთის რესპუბლიკა მოწოდებულია ხელი შეუწყოს აფხაზეთის მშრომელ მოსახლეობას, რომ მან ჩქარა თავი დააღწიოს სიბნელის და გაუნათლებლობის წუმპეს და მიაღწიოს კულტურული მეურნეობის დონეს. აფხაზეთის რესპუბლიკას უმთავრესად, თუ შეიძლება ასე ითქვას, საწარმოო ხასიათი აქვს. ის მოწოდებულია შექმნას და გამოასწოროს სავსებით აფხაზეთის მშრომელთა კულტურა. ამას, რასაკვირველია. ჩვენი მტრები ვერ მიხვდებიან.

მაგრამ მეორე მხრით არიან [illegible] მტრები რომელნიც ასე მსჯელობენ: კეთილი, იყოს აფხაზეთის რესპუბლიკა, მაგრამ საჭიროა ამ რესპუბლიკაში ბატონობდენ ქართველები, რომელნიც აფხაზეთის რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. უნდა ითქვას, რომ რამდენად ცუდათ არ უნდა იყოს დაყენებული სტატისტიკა. ეს უკანასკნელი მაინც აშკარად მოწმობს, რომ აფხაზეთში აფხაზები უმცირესობას შეადგენენ. მაგრამ ამას როდი აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ჩვენ რომ გვინდოდეს აფხაზეთის გადაქცევა საქართველოს რესპუბლიკის მეორე გამოცემად, ეს სასაცილო იქნებოდა. ჩვენ საქართველოს რესპუბლიკის დუბლიკატი არ შეგვიქმნია და არც ვფიქრობთ მის შექმნას. ჩვენ გვაქვს საქართველოს რესპუბლიკა და არ შეიძლება არსებობდეს (თუმცა ზოგიერთ კონტრებს, რომელნიც პარიზში არიან გადახვეწილი, ჰგონიათ, რომ სწორედ იქ აქვთ მათ საქართველოს რესპუბლიკა).

აფხაზეთის რესპუბლიკა ორგანიულად მთლიან საბჭოთა კავშირის ნაწილს წარმოადგენს. მაგრამ ამ მთლიან ერთეულის ფარგლებში ის წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი კულტურული და ეკონომიური ამოცანები. ამიტომ, ცხადია, ჩვენ არ შეგვიძლია საკითხის ასე დაყენება, რომ რა კი აფხაზეთში ქართული მოსახლეობა უმრავლესობას წარმოადგენს, ამიტომ ძალა-უფლება, პირველობა და პოლიტიკური ხელისუფლების ყველა უპირატესობა მოსახლეობის ქართულ ნაწილს უნდა ეკუთვნოდეს. საერთოდ როგორ შეიძლება ლაპარაკი პირველობაზე და პრივილეგიებზე საბჭოთა რესპუბლიკაში?

აქ გაგებული უნდა იქნეს საბჭოთა ხელისუფლების სისტემის მთელი საიდუმლოება და მისი ნაციონალური პოლიტიკის რაობა. მხოლოდ მაშინ გახდება გასაგები, თუ როგორ ხდება, რომ აფხაზები, რომელნიც უმცირესობას შეადგენენ, აქ მაინც თავის სახელს არქმევენ პატარა რესპუბლიკას შავი ზღვის ნაპირას. ამის გაგება შეუძლიათ იმათ, რომელთაც სურთ შეიგნონ და შეითვისონ საბჭოთა ხელისუფლება და მისი ნაციონალური პოლიტიკა.

აფხაზეთის რესპუბლიკის ამოცანები და მიზნები

ეხლა ჩვენ უნდა ვიკითხოთ, გაამართლა თუ არა აფხაზეთის რესპუბლიკამ ის ამოცანები და მიზნები, რომელთა გულისთვის ის შექმნილ იქნა? ის ხომ არა მარტო იმ პრინციპის განხორციელების მიზნით იყო შექმნილი, რომ თვითეულ ხალხს ცალკე სახელმწიფოს დაარსების უფლება აქვს. ვიმეორებ, აფხაზეთის რესპუბლიკას აქვს „საწარმოო და კულტურული განზრახვა".

და აი ამ დარგში აფხაზეთის რესპუბლიკამ მოგვცა თუ არა რეალური ნაყოფი? ამ კითხვის პასუხი იქნება ან არასასურველი განაჩენი ამ რესპუბლიკის არსებობისათვის ან, პირიქით, ისეთი განაჩენი, რომელიც ფართოდ გაუხსნის მას გზას და გააფართოვებს მის ჰორიზონტს".

შემდეგ ამხ. ორახელაშვილი ლაპარაკობს იმ დიდ მიღწევებზე, რომელიც აქვთ აფხაზეთის მშრომელებს სასოფლო მეურნეობის, კოოპერაციის აღდგენის საქმეში და კულტურულ ფრონტზე.

„ჩვენ,—განაგრძობს ორახელაშვილი—აქ შეკრებილი საქართველოს ცაკის წევრები სიხარულით და სიამაყით უნდა ვესალმებოდეთ აფხაზ ამხანაგების ამ მიღწევებს (მქუხარე ტაში).

ჩვენ აფხაზეთის მშრომელებს და ხელმძღვანელებს უნდა ვუთხრათ: „აღორძინეთ ანუ, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, შექმენით ეს კულტურა, ვინაიდან თქვენი ისტორიის მატიანეში ცოტა იყო მკვიდრი კულტურის ელემენტები".

„ეროვნული პოლიტიკის" შესახებ

მე სრულებით არ ვეთანხმები გაზეთ „ტრუდოვაია აფხაზია"-ში მოთავსებულ ფელეტონის ავტორს, რომელიც სწერს, რომ აფხაზეთის მუშები მოწმობენ, რა დიადი წარსული აქვს აფხაზეთის ხალხს. ისინი მოწმობენ ბუნების ძალთა სიდიადეს და არა ამა თუ იმ ხალხისას.

ჩვენ ვხედავთ აფხაზებს, როგორც თავისუფალ ხალხს, რომელიც საუკუნოებით იჩაგრებოდა და რომელიც ეხლა ასწორებს სიბნელისა და უვიცობის უფსკრულს, იზრდება ნაციონალურ-კულტურული მხრით; ჩვენ ამას მივესალმებით. მაგრამ ამასთანავე ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ნაციონალური პოლიტიკა—ეს არ არის საერთოდ „ნაციონალური პოლიტიკა".

სახელმწიფო მექანიზმის საკითხი

ეხება რა ნაციონალურ ენას, ორატორი ლაპარაკობს: „გუშინ ლაკობამ სთქვა: ზოგჯერ ასეც ხდება, რომ ივნის-ივლისში, როცა ტვინი ნაკლებს მუშაობს, აი ამ დროს ზოგიერთებს მოუნდომებიათ ორიგინალობის გამოჩენა. საქმე იმაშია, რომ „ზოგიერთები" აფუჭებენ ჩვენს საერთო საქმეს.

ვინ, რომელი ერის წარმომადგენელი იფიქრებს, რომ ლაკობას და მის დანარჩენ მახლობელ თანამშრომლებს გულწრფელად არ სურთ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის გადაუხვევლად გატარება? მაგრამ საქმე იმაშია, და ეს ხშირად ხდება, რომ ჩვენს სწორ გადაწყვეტილებას აპარატი ხშირად ამახინჯებს, რამდენადაც ჩვენი აპარატი ჯერ კიდევ არ არის გაწმენდილი და გასუფთავებული ჩვენი მტრებისაგან ადგილი აქვს ჩვენი სახელმწიფო მექანიზმის გაფუჭების ფაქტებს. ამიტომ ხშირად ჩვენი მექანიზმი ჰაერში რჩება გამოკიდებული, მუშაობს ცუდათ, უნაყოფოდ; როცა „ივნის-ივლისში" შესაძლოა [illegible] იმაზე, რომ კარგი იქნებოდა, აფხაზებს 3 მილიონს რომ შეადგენდენ აღწერით, ხოლო რაკი აფხაზური ენა ვერ პოულობს საყოველთაო გავრცელებას, „მივყვეთ ბოლშევიკურად" და აფხაზეთის სავალდებულო სახელმწიფო ენად გამოვაცხადოთ რუსული,—აი ამით, უსათუოდ, საერთო საქმე ფუჭდება".

---

*) ხაზის დაზიანების გამო 13 ივნისის საღამოს და 14 ივნისის დილის სხდომის ანგარიშები დაგვიანებით არის მიღებული. რედ.

მუშებისათვის მებრძოლი ბელადებია საჭირო

ამ უკანასკნელ ხანებში ფარდა აეხადა გენერალურ საბჭ. და საყოველთაო გაფიცვის გამცემლების მოქმედებას. მუშების წინააღმდეგ მიმართულმა რეპრესიებმა წინააღმდეგობა გამოიწვია მუშათა მოძრაობის მოწინავე ელემენტების მხრივ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. პრესაში გაფიცვის გაკვეთილების გულახდილათ განხილვით მუშები მხოლოდ და მხოლოდ მოიგებენ.

გენერალურ საბჭოს არგუმენტებს სერიოზულად ვერავინ ვერ ჩასთვლის. მის არგუმენტებს ყველაზე უკეთ აბათილებს ის, რომ გენერალურ საბჭოს 7 წევრისათვის უკვე აშკარა შეიქნა, რომ საჭიროა მონაწილეობის მიღება მემაღაროეთა ბრძოლაში ამა თუ იმ ფორმით.

გაორკეცებული ენერგიით უნდა სწარმოებდეს ბრძოლა სამთამადნო მუშების სასარგებლოთ. შტრეიკბრეხერების მიერ ნახშირის დატვირთვის და გადატანის აღკვეთა, პროფკავშირთა ფინანსიური დახმარება, კოოპერატიულ საზოგადოებათა კრედიტი — აი დაუყოვნებლივი პრაქტიკული ზომები. დანარჩენ მუშების დაცვა რეპრესიებისაგან უნდა სწარმოებდეს არა სიტყვით, არამედ საქმით. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა ყოველი ზომების მიღება კომპანიებმა უკან მიიღონ მუშები ძველ პირობებზე.

საჭიროა, რათა შენარჩუნებულ იქნეს მოქმედების საბჭო და რაიონული თათბირები. პროფკავშირთა დელეგატების სპეციალური კომისია განუწყვეტლივ უნდა მუშაობდეს.

და, დაბოლოს, პარლამენტის შიგნით და მის გარეთ მუშათა მოძრაობამ უნდა მოითხოვოს ამნისტია იმ მრავალრიცხოვან მუშებისათვის, რომელნიც დატუსაღებულ იქნენ გაფიცვის დროს.

ჩვენს წინაშე სდგას გადაუდებელი პრობლემა, რომელიც დიდ კამათს და აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს.

ეს არის ჩვენი ბელადების საკითხი.

სოციალისტური პრესა ერთხმად აღნიშნავს აბსოლიუტურ კონტრასტს მუშების და მათი ბელადების შორის. ყველასთვის აშკარაა, თუ რა უფსკრული აღმოცენდა მუშებსა და ბელადებს შორის, განსაკუთრებით, უკანასკნელ დროს.

ყველა თანხმაა, რომ საჭიროა რაღაც ცვლილებები, მაგრამ საკითხი: „როგორი?" აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

ჩვენ კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ერთმა მწერალმა „ლანსბური ვიიკლი"-ს მოწინავის ავტორმა (რასაკვირველია, ლანსბური არ იზიარებს მის შეხედულებას) გაბედა მხარი დაეჭირა გენერალურ საბჭოს მოთხოვნილებებისათვის მაღაროს მუშათა სამუშაო ხელფასის შემცირების და აგრეთვე მუშების მიერ მოლაპარაკების ბაზისად სამუელის მემორანდუმის მიღების შესახებ.

ამ მწერალს დაავიწყდა მხოლოდ ერთი პატარა ფაქტი — ის ის, რომ მთავრობას არ მოუცია არავითარი გარანტია ლოკაუტის წინააღმდეგ, არ მოუცია არავითარი უზრუნველყოფა, რომ სხვა სპეციალობის მუშების წინააღმდეგ კაპიტალისტები არ მიმართავენ რეპრესიებს, საყოველთაო გაფიცვის დამთავრების შემდეგ.

მწერალთა ერთი ჯგუფი ადვილად სწყვეტს საკითხს: „ტრედუნიონები, ამბობენ ისინი, მოძველდნენ". ჯონ კლარკი „ფორვერდ"-ში კითხულობს: „მოძველდა თუ არა ტრედუნიონიზმი?". — და ამტკიცებს, რომ საჭიროა რაიმე ახალი ფორმები. მეორე ავტორი, ვარტლეი სრულებით აფუჭებს სხვა მხრივ მშვენიერ წერილს, როცა მის ბოლოში აცხადებს:

„ეხლა, როცა ტრედუნიონიზმი განადგურებულია მისი მტრების მიერ, საჭიროა სხვა საორგანიზაციო ფორმა".

ეს მეტად სახიფათო პოზიციაა. ის გამოხატავს იმ მუშათა თვალსაზრისს, რომელთაც არ ესმით კარგათ პროფკავშირების მნიშვნელობა. თუ ასეთი შეხედულება განვითარდა ის გამოიწვევს მასიურ დეზერტირობას პროფკავშირებიდან. ეს თვითგანადგურების საუკეთესო გზაა, ერთად ერთი სწორი გზა მუშებისათვის ამჟამად — ეს არის პროფკავშირების გამაგრება. მუშებმა მთელი თავის ძალ-ღონით წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ იმათ, ვისაც პროფკავშირების განადგურება სურს.

შემდეგ გამოდის მწერალთა ახალი, თითქმის ფატალურად მოწყობილი, ჯგუფი, რომელიც არავის არ სდებს ბრალს.

ტომ ჯონსტონი აცხადებს, რომ მას არა აქვს ნათელი წარმოდგენა მომხდარ ამბებზე. მას არ სჯერა, რომ გენერალური საბჭო შეშინდა და ფიქრობს, რომ ის მოიქცა სწორად, როცა უკან დაიხია და არ დაუცადა, მანამ მას დაშლიდენ.

ლანსბურგის „საიდუმლო ისტორიის" მწერალი ამბობს:

— „გენერალურ საბჭოს არ უნდა უსაყვედუროთ, რომ მან ვერ შექმნა ძლევამოსილი რევოლიუცია". ამასვე ვხედავთ ჩვენ მოწინავეში, სადაც ნათქვამია:

— „ზედმეტია საყვედური გენერალურ საბჭოსადმი, რომ ის არ იყო რევოლიუციონური".

„ნიუ ლიდერ"-ში ბრაილსფორდი სთვლის, რომ ბელადებს ეპატიებათ ნებისყოფის და შორსმჭვრეტელობის უქონლობა იმიტომ, რომ ისინი არჩეული იყვნენ პროფკავშირებში მუშაობისათვის და არა ისტორიის შესაქმნელად.

ყოველი აქტიური მუშა ვალდებულია აწარმოოს ბრძოლა ასეთი პასივობის წინააღმდეგ, რომელიც შეეფერება ბუდისტებს და კვაკერებს, მაგრამ სრულებით გამოუსადეგარია კაპიტალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ მუშებისათვის.

ასეთი განწყობილება არსებობს მუშათა ინტელიგენციის ერთ ნაწილში, რომელიც ცდილობს ყველაფერი გაამართლოს და რომელიც ხალხს არ სთვლის პასუხისმგებლად მოქმედებისათვის.

მუშებმა რომ მიიღონ ასეთი მსოფლმხედველობა, მათ უნდა დასტოვონ თავისი მოძრაობის სათავეში მოღალატეები, მშიშარები და ბიუროკრატები. თუ მუშები გამოცდილებაზე სწავლობენ, ასევე უნდა იქცეოდენ ბელადებიც. თუ მათ არ შეუძლიათ სწავლა, ისინი თავიდან უნდა მოვიშოროთ.

ეხლანდელ მუშათა მოძრაობიდან ბუნებრივად გამომდინარეობს კითხვა: შესაძლო იყო, თუ არა საყოველთაო გაფიცვა რევოლიუციათ გადაქცეულიყო? კომუნისტური პარტია ყოველთვის იმ აზრის იყო, რომ სწორედ საყოველთაო გაფიცვა უნდა იქნეს წამოყენებული კაპიტალისტების ძალადობის წინააღმდეგ, იმ კაპიტალისტების, რომელნიც დამარცხებულ უნდა იქნენ მუშების ორგანიზაციულად შეკავშირებული ძალებით.

ინგლისელი კაპიტალისტები ჯერ კიდევ საკმაოდ მდიდრები არიან (მიუხედავად მათი ჩივილისა). მათ საკმაო საშუალება და დრო აქვთ იმისათვის, რომ უსინდისობის გზით გატენილ ჯიბეების ცოტაოდნათ შეთხელებით თავიდან აიცილონ საქმის კიდევ უფრო გართულება. მაგრამ ამისათვის ისინი დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ მუშათა ლიდერები მომზადებული არიან და მტკიცედ სდგანან პროლეტარიატის ინტერესების სადარაჯოზე. ნამდვილათ კი ისინი დარწმუნდენ, რომ გენერალურ საბჭოს არა აქვს არც სიმტკიცე და მომზადება.

შემდეგ ბელადების გამართლებას ცდილობენ მით, რომ ისინი თითქოს პრემიერ მინისტრმა შეაცდინა. „ფორვერდ"-ში მაკნეილ ვეირი ცდილობს დაეყრდნოს ამ არგუმენტს. ის ფიქრობს, რომ საყოველთაო გაფიცვა თავის თავად იყო გამარჯვება, რადგან მხოლოდ მან გამოიწვია სამუელის მემორანდუმი. (რა ბედნიერებაა მუშებისათვის! თითქოს სამუელის მემორანდუმი, ისე როგორც, სანახშირო კომისიის მოხსენება, არ მოითხოვდეს სამუშაო ხელფასის შემცირებას).

მაკდონალდი თავის წერილში ეხება დადგენილებებს, „რომლებიც მიუღებელია, თუმცა მათ შესახებ შეიძლება მოლაპარაკების წარმოება" და დასძენს, რომ ეს დადგენილებები 30 აპრილამდე რომ ყოფილიყო გამოქვეყნებული არავითარი გაფიცვა არ მოხდებოდათ.

ბრესლფორდი აღნიშნავს:

„მოლაპარაკების მაწარმოებელი კომიტეტი და გენერალური საბჭო დარწმუნებული იყვნენ, რომ განცხადება ლოკაუტის შესახებ მოხსნილი იქნებოდა პარასკევამდეო.

დაბოლოს, იგივე მწერალი „ლანსბურგ ვუიკლიდან", რომელიც ამართლებდა საბჭოს არარევოლიუციონერობას, ამბობს, რომ ის აღტაცებული იყო იმ ურთი-ერთ თანამშრომლობით რომელიც ახასიათებდა მოწინააღმდეგე მხარეებს.

ეს ძალიან რბილად არის ნათქვამი. რადგან ჩვენ ვიცით, რომ გენერალურ საბჭოს უმრავლესობას ეშინოდა პასუხისმგებლობის და არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო შემცირებით სამუშაო ხელფასი ან კიდევ არაფერი ესმოდა მოლაპარაკების წარმოების ელემენტარულ პრინციპის შესახებ.

ჯერ-ჯერობით დიდი არაფერი გაუკეთებიათ როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ბლოკის მწერლებს. ისინი არ სცნობენ პასუხისმგებლობას იქ, სადაც ის აუცილებელია. ისინი არ გვაძლევენ არავითარ პრაქტიკულ გამოსავალს იმ საშინელ მდგომარეობიდან, რომელშიაც იმყოფებიან რკინისგზელები, დოკების და ტრანსპორტის მუშები, მბეჭდავები და, კერძოთ, სამთამადნო მუშები. უკეთეს შემთხვევაში ისინი მოუწოდებენ მუშებს (როგორც მაგალითად „ლანსბურგ ვუიკლ"-ში) დაეხმარონ სამთამადნო მუშებს ეხლანდელ ბრძოლაში და ყოველ მხრივ დაუჭირონ მხარი მათ. (მუშები ასეც იქცეოდენ თავიდანვე), თავიდან აიცილონ რეპრესიები, მოითხოვონ დაპატიმრებულთა განთავისუფლება და გააძლიერონ მებრძოლ ორგანიზაციების მუშაობა, სთვლიან რა მებრძოლ ორგანიზაციებათ მოქმედების კომიტეტებს.

საუბედუროთ რჩევა-დარიგების სარგებლიანობა ამით თავდება, რადგან ამ ლოზუნგების განსახორციელებლად არ გვექნება განსაზღვრული მეთოდები, მანამ არ მოვაწესრიგებთ მოქმედების საბჭოს მუშაობას.

ყველა ეს რჩევა-დარიგებანი პირველი შეხედვით მეტად რევოლიუციონური ხასიათისაა. ნამდვილათ კი ისინი ოდნავადაც არ გვიწყობენ ჩვენ ხელს ჩამოვაშოროთ კავშირების ხელმძღვანელობას ტომასი და კომპანია და გავნთავისუფლდეთ იმ პოლიტიკისაგან, რომელსაც ისინი იცავენ.

სად არის ჭეშმარიტება?

უმთავრესია ის, რომ ტრედუნიონების ბელადებს არა აქვთ პროგრამა და არც ჰქონიათ ის უკანასკნელი თორმეტი თვის განმავლობაში, მაშინაც კი, როცა „წითელმა პარასკევმა" მათ კოლოსალური პრაქტიკული მაგალითი მისცა და დაანახვა, თუ როგორ მიმდინარეობს ამბები.

მუშებმა ისწავლეს კლასობრივი სოლიდარობა. მათ ეს დაამტკიცეს, როცა ხმის დიდი უმრავლესობით მხარი დაუჭირეს მუშათა გაერთიანებას. მაგრამ ბელადებმა ვერაფერი ვერ ისწავლეს.

„წითელი პარასკევის" შემდეგ ისინი ხედავდენ, როგორ ემზადებოდენ შეტევისათვის კაპიტალისტები, მაგრამ მათ არ მოისურვეს მუშების მომზადება.

ისინი ხედავდენ კავშირების საწინააღმდეგო პროპაგანდის და შტრეიკბრეხერობის საშიშროებას, მაგრამ არავითარი ზომები მათ არ მიიღეს ამის წინააღმდეგ.

ისინი ხედავდენ წვრილბურჟუაზიული შტრეიკბრეხერობის და ფაშიზმის საშიშროებას, მაგრამ ზედმეტათ მიაჩნდათ მუშათა თავდაცვის რაზმების შედგენა. (მართალია, იყო ასეთი შემთხვევა, რომ გაფიცვის ჩაშლის წინ მათ დაიწყეს ფიქრი „მუშათა პოლიციის" მოწყობის შესახებ).

ისინი ხედავდენ წვრილ - ბურჟუაზიული გამოწყობილ მუშებს ამხედრებდენ ჩვეულებრივ მუშების წინააღმდეგ, მაგრამ მათ არ ისურვეს თვალი აეხილათ ჯარისკაცებისათვის.

კომუნისტურმა პარტიამ კი წამოაყენა ნათელი პრაქტიკული ზომები მომავალი გაფიცვის ორგანიზაციისათვის. ის არ შედრკა მაშინაც კი, როცა მიმართეს რეპრესიებს და არალეგალურ მდგომარეობაში ჩააყენეს ის. მას ჯერ სდევნიდენ მუშათა ლიდერები, შემდეგ მთავრობა.

უკვე მარტო ეს მოწმობს, რომ ისინი არიან ნამდვილი მებრძოლები. მაგრამ მათ იხსენიებდენ, როგორც „უპასუხისმგებლო" და „უმნიშვნელო უმცირესობას".

ეხლა მუშებისათვის აშკარაა, ვინ იყო „უპასუხისმგებლო" და „უმნიშვნელო უმცირესობა" —კომუნისტები, რომელთა პოლიტიკას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამართლებდენ თვით მუშები და რომელთაც თვით ამ საგაფიცვო ბრძოლაში უდიდესი მონაწილეობა მიიღეს, თუ გენერალური საბჭო მისი ფართე რწმუნებულებით, მაგრამ უკან დახევის და დათმობის მხდალი პოლიტიკით გაფიცვის პირველ დღიდანვე.

მომხდარ ამბებმა ცხადჰყო, რომ ბელადები არ შეეფერებიან თავიანთ დანიშნულებას. ისინი არამც თუ არ იყვნენ მომზადებულნი, არამედ მათ არ ჰქონდათ თვით რეფორმისტული პოლიტიკაც კი. მართალია ისინი არჩეულ იქნენ კავშირების ოფიციალურ წარმომადგენლებათ, მაგრამ მათ ვერც კი შეიგნეს, რას ნიშნავს ოფიციალური წარმომადგენლობა.

ეხლანდელი სიტუაცია მდგომარეობს იმაში, რომ ინგლისის კაპიტალიზმი უიმედოთ ებრძვის გაცილებით უფრო ძლიერ კონკურენტს—ამერიკას. ეს ბრძოლა ხელს უშლის ინგლისის კაპიტალიზმს იმაში, რომ ნასუფრალით მოისყიდოს მუშების უმნიშვნელო ჯგუფები და მით დეზორგანიზაცია შეიტანოს მუშათა ფრონტში.

მუშებმა შეიგნეს ახალი მდგომარეობა. მათ ეს ათასჯერ დაამტკიცეს. თავისი ურთიერთობიდან რუსეთის, გერმანიის და ჩინეთის პროლეტარიატთან და უკანასკნელ დიდ გაფიცვიდან მათ დიდი გამოცდა მიიღეს.

ბელადებში ყოველთვის გაკვირვებას იწვევდა ის, რომ მუშები მათ წინ უსწრებდნენ.

მართალია, ერთ დროს „მემარცხენე" ბელადების ნაწილმა განაცხადა, რომ მათ სურთ ცვლილებები. ერთ დროს პროფკავშირებში ისინი შეეცადენ გამოენახათ გზები ამ ცვლილებების განსახორციელებლად, მაგრამ უბედურებაც იმაშია, რომ მათ მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რის განხორციელება სურდათ. და ყველა მათ უკან დაიხიეს გადამწყვეტ მომენტში, როცა საჭირო იყო პირდაპირი და გადაჭრილი მოქმედება.

მაგრამ ნამდვილი ტრაგედია მდგომარეობს იმაში, რომ იმ დროს, როცა მემარცხენე ჯგუფის ბელადებს არა აქვთ პროგრამა და მოქმედების ხაზი, მემარჯვენე ბელადებმა მშვენივრად იციან რა სურთ მათ და როგორ მიაღწიონ მის განხორციელებას. მათ არ უნდოდათ საყოველთაო გაფიცვა. მათ გააკეთეს რაც შესაძლებელი იყო, რომ თავიდან აეცილებიათ ის. და როცა მთავრობამ უსაყვედურა მათ გაფიცვის მომზადება, მათ ეს გაფიცვა „საშინელ შეცდომათ" გამოაცხადეს.

საყოველთაო გაფიცვის დაწყებიდანვე ისინი მოლაპარაკებას აწარმოებდენ კაპიტულიაციის შესახებ. დაბოლოს მათ ჩაშალეს საყოველთაო გაფიცვა და ფეხ ქვეშ გასთელეს მუშების ინტერესები, იცოდენ რა მშვენივრად, რომ გაფიცვის შეწყვეტა ნიშნავდა სამუშაო ხელფასის შემცირებას არა მარტო სამთო-მადნო მუშებისთვის, არამედ ყველა კავშირების მუშებისთვისაც.

სანამ ეს ასე ხდებოდა, მემარცხენე ლიდერები პასიურ მეთვალყურეებათ იყვნენ. მათ სურთ დაგვარწმუნონ, რომ „გულუბრყვილოთ მოტყუვდენ" ტომასის ეშმაკობით. მაგრამ პერსელის და ბრომლეის „გულუბრყვილობაზე" ლაპარაკი ხომ სისულელეა!

დასასრულ ჩვენ უბრუნდებით იმ პრინციპებს, რომლებითაც დავიწყეთ. ყველა მუშები და სოციალისტები ვალდებულნი არიან დახმარება გაუწიონ სამთა-მადნო მუშებს, დაიცვან საერთოდ ყველა მუშების ინტერესები და იბრძოლონ დაპატიმრებულთა განთავისუფლებისათვის. ამის გაკეთება შესაძლებელია და რამდენათაც ამაში მონაწილეობას იღებენ კომუნისტები, ეს უნდა გაკეთდეს იმ გზით, რომელიც ჩვენ წამოვაყენეთ. მაგრამ აქ ისევ ისმის ბელადების საკითხი, საკითხი ისეთ ბელადების შესახებ, რომელთაც ექნებათ გარკვეული პროგრამა და პირდაპირი და გაბედული პოლიტიკური ხაზი. კომუნისტური პარტია დიდი ხანია იბრძვის ასეთი ლიდერებისათვის. მას სჯერა, რომ საყოველთაო გაფიცვამ დაარწმუნა მრავალი ათასი აქტიური მუშა, რომ კომუნისტური პარტია ეს ერთად ერთი პარტიაა, რომელიც გაფიცვის დროს აწარმოებდა ბრძოლას. მიუხედავათ იმისა, რომ უმცირესობას წარმოადგენდა.

ახალი პოლიტიკა, ახალი მეთოდები, ახალი ლიდერები, რომლებიც ხელს უწყობენ მუშებს კაპიტალისტების დამარცხებაში—ეს ჩვენ გვექნება და გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ეს იქნება მხოლოდ მაშინ, როცა მუშები შექმნიან ძლიერ კომუნისტურ პარტიას.

„ვორკერს ვიკლი" № 171.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

წარსული სამოსწავლო წლის პარტგანათლების შედეგები
(ლენინის რაიონში)

პოლიტსკოლების მსმენელთა კონფერენციაზე მოსმენილ იქნა ამხ. საყვარელიძის მოხსენება წარსული სამოსწავლო წლის პარტგანათლების შედეგების შესახებ. სამოსწავლო წლის დასაწყისში რაიკომის აგიტპროპმა ჩაატარა მოსამზადებელი მუშაობა პოლიტსკოლების მსმენელთა შესაკრეფად და პოლიტსკოლების ქსელის მოსაწყობათ. პოლიტსკოლებში მსმენელთა მიღება, გარდა პირველი საფეხურისა, ხდებოდა კომისიის მასალების მიხედვით. პირველ საფეხურის სკოლებში მსმენელთა მიღებულ იქნა მექანიკურათ.

თავის მოხსენებაში ამხ. საყვარელიძემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ყველა იმ ნაკლულოვანებებს, რომელნიც ხელს უშლიდენ პოლიტსკოლების მუშაობას. ეს ნაკლულოვანებანი შემდეგია: საპროპაგანდო დღეების ხშირი შეცვლა, პროპაგანდისტთა კადრების უქონლობა, რის გამო საჭირო შეიქნა რამოდენიმე ჯგუფის გაერთიანება ერთ, მაგრამ ძლიერ ხელმძღვანელის მეთაურობა. ქვეშ, პარტაღმზრდელობითი ქსელის არა საკმაოდ შეფასება თვით მსმენელების და უჯრედების მიერ, მსმენელთა მიერ ხელმძღვანელების არა საკმაოდ შეფასება, რაც აიხსნება იმით, რომ მსმენელები ცოდნის მხრივ სხვადასხვა საფეხურზე დგანან, სათანადო სასკოლო ინვენტარით მოწყობილ შენობის უქონლობა, ხოლო რაც უმთავრესია ლიტერატურის უქონლობა ქართულ ენაზე პირველ და მეორე საფეხურის პოლიტსკოლებში.

რადგან რაიკომის აგიტპროპის აპარატს საშუალება არ ჰქონდა ეწარმოებია ყველა სკოლების სისტემატიური დათვალიერება და სათანადო ხელმძღვანელობა გაეწია მათთვის, რაიკომთან დაარსდა საინსპექციო ბიურო, რომელმაც ორი თვის განმავლობაში დაათვალიერა ყველა სკოლები და შეისწავლა მათი მუშაობის მდგომარეობა. მეთოდიური ხელმძღვანელობის მხრივ დაარსებულ იქნა მეთოდიური ბიურო. მეცადინეობის დამთავრებისას რაიონში იყო 36 პოლიტსკოლა, აქედან 29—პირველი საფეხურის 442 მსმენელით. შემოკლებულ ტიპის—6 სკოლა 145 მსმენელით; მეორე საფეხურის—2 სკოლა 25 მსმენელით და 8 საღამოს საბჭ. პარტსკოლა—165 მსმენელით. პირველ საფეხურის 19 სკოლაში კურსი დაამთავრა 317 მსმენელმა, რაც 85 პროცენტს შეადგენს. 6 შემოკლებულ ტიპის სკოლიდან გამოშვებულია—102 კაცი, რომელთაგან პროგრამა შეითვისა 85 კაცმა. მეორე საფეხურის 2 სკოლაში კურსი დაამთავრა 25 მსმენელმა, აქედან პროგრამა შეითვისა მთელ 100 პროცენტმა. 8 საღ. საბ. პარტსკოლაში კურსი დაამთავრა 143 მსმენელმა, აქედან პროგრამა შეითვისა 103 კაცმა ე. ი. 77 პროცენტმა.

პირველი საფეხურის 20 პოლიტსკოლაში შედის ერთი სომხური სკოლა რომელიც სამოსწავლო წლის ბოლოში დაიხურა ხელმძღვანელის დაუდევრობის გამო.

ამხ. საყვარელიძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში აღნიშნულ იქნა ყველა ის ნაკლულოვანებანი, რომელნიც თვით მომხსენებელმა დაასახელა.

კონფერენციამ რაიკომის აგიტპროპს მისცა მთელი რიგი პრაქტიკულ წინადადებებისა 26-27 სამოსწავლო წლისათვის.

პოპოვი.

ამხ. შაქრო ყოჩიაშვილი

დაიბადა 1876 წელს სოფ. ავლევში (დუშეთის მაზრა) ღარიბი უძიწაწყლო გლეხის ოჯახში.

1904 წელს სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ ამხ. შაქრო დადგა ტრამვაიში კანდუქტორის თანამდებობაზე და ამავე წლიდან შევიდა ტრამვაიში არსებულ მაშინ პატარა პოლიტიკურ ჯგუფში ამხ. იასონ ჯორბენაძესთან, ტარასი მგალობლიშვილთან, მეგრელიშვილთან და სხვ. ერთად.

ეს ჯგუფი იყო მეთაური და ხელმძღვანელი ყველა იმ რევოლიუციონურ წამოყენებათა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ თბილისის ტრამვაის მუშებში. ამ ჯგუფის თაოსნობით მოწყობილ იქნა 1904 წლის გაფიცვა, რომელიც მუშების დამარცხებით დამთავრდა.

1905 წ. აპრილში მოხდა გაფიცვა, რომლის ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო ამხ. შაქრო და ეს გაფიცვა უკვე დამთავრდა მუშების გამარჯვებით.

მთელი ამ ოცი წლის განმავლობაში ბევრ სხვადასხვა საპასუხისმგებლო პარტიულ დავალებებს მუდამ პირნათლად ასრულებდა.

მეფის მთავრობის მიერ პროვოკაციულად მოწყობილ სომეხ თათართა ჟლეტაში გაგზავნილ იქნა პარტიულ კომიტეტის მიერ სხვა ამხანაგებთან ერთად იარაღით ხელში პროვოკაციის წინააღმდეგ საბრძოლველად და ეროვნულ შუღლის მაგიერად, ორივე ერის მშრომელთა შორის მშვიდობიანობის და ძმური კავშირის დასამყარებლად.

თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ამხ. შაქრო პირველ დღეებიდანვე ჩაება ახლად შედგენილ რევოლიუციონურ ორგანიზაციებში და იყო ტრამვაის კომიტეტის თავმჯდომარე.

არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური, პროფესიონალური და სხვ. ადგილობრივი ორგანიზაციები, რომელშიაც მონაწილეობა არ მიეღოს მას.

ამხ. შაქრო იყო ერთი მეთაურთაგანი იმ მუშათა მასიურ მოძრაობის, რომელსაც ქვიოდა მენშევიკური პარტიის ლიკვიდაცია.

იყო ადგილობრივ მუშათა კომისიის თავმჯდომარით, რომელმაც სრულიად პირნათლად შეასრულა დაკისრებული მოვალეობა და თავისი საკუთარი ნაწილი გადასცა კომუნ. პარტიას. ამხ. შაქრო თვითაც შევიდა პარტიის რიგებში.

ის იყო ტრამვაის ადგილკომის წევრი, კონტკომისიის თავმჯდომარე, კავშირის ც. გ. წევრი, კლუბის გამგეობის, საამშენებლო ამხანაგობის, საურთიერთო დამხმარე სალაროს გამგეობის წევრი და სხვა.

არ არის არც ერთი ტრამვაის მუშა-მოსამსახურე, რომ არ იცნობდეს ამხ. შაქროს როგორც ყოვლად პატიოსან გულწრფელ მუშას.



აი ვინ იყო შაქრო, რომელიც ტრაღიკულათ დაიღუპა სამსახურის შესრულების დროს. მის დასახასიათებლად ძლიერ საინტერესოა მისივე სიტყვები, დაწერილი 1905 წ. რევოლიუციის 20 წლის მოგონების დროს.

„—...მაგრამ ისე ძნელი არ იყო რევოლიუციის მოპოვება, როგორც ძნელია მისი შენახვა და განმტკიცება. ამ მონაპოვარს სჭირია ფხიზელი დარაჯი, რათა სამუდამოთ განვამტკიცოთ ყველა ეს მონაპოვარი! ასეთი კი არის საბჭოთა ხელისუფლება.

და იმ ახალგაზრდების ვალია, რომლებსაც ჩვენ ძველმა რევოლიუციონერებმა გადავეცით რევოლიუციის მონაპოვარი— იყოს მამაცნი.

ასეთი სპეტაკი და დაუღალავი ჯერ კიდევ ჯან-ღონით და ენერგიით სავსე ადამიანი დაჰკარგეს ტრამვაის მუშებმა. მას კიდევ შეეძლო მდგარიყო ამ რევოლიუციის მონაპოვართა სადარაჯოზე, მაგრამ სწორედ ამ სადარაჯოზე დაეცა ის და სამუდამოდ გამოეთხოვა წუთისოფელს.

ყველა პატიოსანი მუშა-მოსამსახურესათვის დაუვიწყარი იქნება ამხ. შაქრო ყოჩიშვილი.

ტრამვაის მუშათა ერთი ჯგუფი.

ამხ. შაქრო ყოჩიაშვილის ხსოვნას

დღეს ცივ სამარეს ვაბარებთ ერთ ძველ, რევოლიუციონერ მუშას, ტრამვაელს ამხ. შაქრო ყოჩიშვილს. მას არ იცნობდა ფართო საზოგადოება. მისი სახელი და გვარი არ სმენია თბილისის ძველ „განათლებულ“ საზოგაწრეები. მისი სახელი და გვარი არ სმენია დოებას. მაგრამ მას იცნობდა თბილისის რევოლიუციონური პროლეტარიატი, რომლის ღვიძლი და საყვარელი შვილი იყო განსვენებული.

ამხ. შაქრო ყოჩიშვილი იმ ძველ მუშათა წრეს ეკუთვნოდა, რომლებმაც 1903—4 წლებში რევოლიუციონური ტალღების აგორებით სასიკვდილო შიში აგრძნობინეს განწირული რეჟიმის ბიუროკრატიას და სოლოლაკის პლუტოკრატიას. ვინც საქართველოს მუშათა კლასის მოძრაობას ცოტათ თუ ბევრათ იცნობს, მისთვის უდაოა, რომ რკინისგზილთა შემდეგ, პირველი ადგილი რევოლიუციონურ მოძრაობაში ტრამვაელ მუშებს ეჭირათ. და თუ ვინმეს სიახლოვე ჰქონია ტრამვაელებთან, მას შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა მომღიმარი სახე და წვრილი, მაგრამ რევოლიუციონური ცეცხლით სავსე თვალები ამხ. შაქრო ყოჩიშვილისა.

დიდი რევოლიუციონური ქარტეხილები გადაიტანა თბილისის პროლეტარიატმა. ამხ. შაქრო ყოველთვის აბობოქრებულ რევოლიუციონურ ტალღათა შუა გულში იყო. რამდენი ტანჯვა-წამება არ გადაიტანა მან სხვა თანამებრძოლებთან ერთად, მაგრამ მის სახეს არასოდეს არ მოშორებია ღიმილი, მის გულს არასოდეს არ მოკლებია იმედი.

1917 წლის რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე ის მთელი თავისი ენერგიით და გატაცებით იბმის რევოლიუციონურ მუშაობაში. მას რევოლიუციონურ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა შორის ვხედავთ. ის ყოველგან დინჯი, წყნარი და საქმიანი იყო. „მეტი საქმე და ნაკლები ლაპარაკი“—აი, მისი ფილოსოფია, რომლისთვის მას არ უღალატნია სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

ამხ. შაქრო მონაწილე იყო საქ. მუშათა კლასის ტრაგედიის, რომელიც ჩამოშორებულ იქნა რუსეთის პროლეტარიატისაგან და მით მოწყდა ინტერნაციონალურ ოჯახს. სხვებთან ერთად ამხ. შაქროცა ჩათრეული იქნა ანტისაბჭოთა ბრძოლაში 21 წლიდან. ის, როგორც ბევრი სხვა მუშები, გრძნობდა ბრძოლის უპერსპექტივობას, მის სულს არ ასვენებდა ის მდგომარეობა, რომ მუშათა კლასი გაორებული იყო და ერთი-მეორეს სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირდაპირდებოდა. ამ გაურკვევლობიდან თანდათან აღწევდა თავს განსვენებული, მაგრამ ეს პროცესი განსაკუთრებით დააჩქარა აგვისტოს ამბებმა.

და აი, ნაძალადევის მუშების საყვირის და მოწოდებას ძველი დამღუპველი გზის უარყოფისაკენ, ტრამვაიდან პირველმა ის გამოეხმაურა. ამხ. შაქრო სრულის შეგნებით და გულწრფელობით დაადგა ნაძალადევის მუშათა მიერ აღიარებულ ახალ გზაზე. ის ტრამვაის მუშების მიერ იქნა არჩეული „მუშათა კომისიის“ რწმუნებულად და თავდადებით მუშაობდა ამ მიმართულებით. მისი მუშაობის შედეგი არის ტრამვაის ყოფ. მენშევიკ და უპარტიო მუშების კომპარტიასთან დაკავშირება და აქტიური ნაწილის პარტიის წევრებად გადარიცხვა. თვითონ განსვენებულიც კომპარტიის წევრი იყო.

მძიმეა დღეს ჩვენთვის ეს მსხვერპლი, მით უფრო, რომ გამოწვეულია ბრმა შემთხვევით. ბედის დაცინვაა. რევოლიუციონერი, რომლის სურვილი იყო მტერთან გაафთრებულ ბრძოლაში სახელოვანი სიკვდილი, ტრამვაის ვაგონის მსხვერპლი შეიქნა. დღეს, როდესაც საქართველოს მუშათა კლასი გაერთიანებული იბრძვის სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისა და გამტკიცებისათვის, ძვირფასი იყო ამხ. შაქრო, შენი სიდინჯე და გამოცდილება. შენგან ჯერ ბევრს მოითხოვდა მომავალი. მაგრამ უკულმართმა—ბრმა შემთხვევამ უდროოდ მოგწყვიტა შენ ჩვენს რიგებს. ჩვენ დღეს სხვა არაფერი დაგვრჩენია, თუ არა ფიცის დადება შენს წმინდა ცხედრის წინაშე, რომ შენთან ერთად ჩვენ მიერ აღიარებულ ახალგზაზე ჩვენ ვიბრძოლებთ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებამდე.

მ. ქამანაშვილი.

ქალთა შორის
ნაკლი და მიღწევები.
(ფოთის ქალთა ორგანიზაცია).

ფოთის სამაზრკომის ქალთა განყოფილების მუშაობას, შედარებით წარსულ წლებთან, გამოცოცხლება ემჩნევა. ორგანიზაციას ჰყავს 51 პარტიის წევრი და კანდიდატი. ქალაქი დაყოფილია 4 რაიონათ, მეხუთე რაიონი კი რედუტ-კალეს რაიონია, რომელიც ქალაქიდან 14 ვერსის მანძილზეა ზღვის პირათ. სულ არის 5 სადელეგატო კრება, რომელსაც ჰყავს 120 წევრი. რედუტ-კალეს რაიონში მოწყობილია ქალთა ჭრა-კერვის პროფსკოლა, სადაც მეცადინეობს 20 ქალი. უმრავლესობა—ახალგაზრდებია. პირველ ხანებში ქალთა სადელეგატო კრებები ვერ ხდებოდა სისტემატიურად და მას გულგრილად უყურებდენ; ეხლა კი კრებების მოწვევას სისტემატიური ხასიათი აქვს მიღებული და წევრთა უმრავლესობაც ესწრება. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საბჭოთა არჩევნებში ფოთის მაზრაში ქალების დიდი პროცენტი იღებდა აქტიურ მონაწილეობას. სულ ქალაქისა და რაიონის საბჭოებში არჩეულ ქალთა რიცხვი უდრის 20 პროცენტს. ქალთა შორის მუშაობის ერთ-ერთ ნაკლად ჩაითვლება ის, რომ კომუჯრედები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ქალთა შორის მუშაობას, არ იცნობენ, თუ რა კეთდება ამ მხრივ მათ რაიონში და არც ხელმძღვანელობენ მას. არც ერთხელ არ ყოფილა მოსმენილი კომუჯრედის კრებაზე ქალთა შორის მუშაობის შესახებ მოხსენება.

საჭიროა უჯრედები მეტი ყურადღებით მოეპყრან ქალთა შორის მუშაობას. ქართული ლიტერატურის უქონლობა უშლის ხელს ქალთა შორის პოლიტკულტგანმანათლებელ მუშაობის გაძლიერების საქმეს.

საჭიროა აგრეთვე ქალთა განყოფილებამ ყურადღება მიაქციოს კომკავშირის წევრ-ქალთა ხელმძღვანელობას, რასაც დღემდე ადგილი არ ჰქონია.

ქალთა შორის მუშაობის გაძლიერების მიზნით საჭიროა ზაფხულის პერიოდში მოეწყოს ქალთა ორგანიზატორების მოსამზადებელი ორთვიანი კურსები, რომლის შესაძლებლობაც აქვს ფოთის ქალთა განყოფილებას.

გ. გოგნელი.

ა-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

გამოფენის სურათი

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა თანდათან ფართოვდება და ლამაზდება. დამთავრდა პავილიონების საბოლოოთ მოწყობა. ამერიკული ფირმები, რომლებმაც გვიან მიიღეს ექსპონატები, დღეს გახსნიან თავის პავილიონებს სტუმრებისათვის. რამოდენიმე გერმანული ფირმა კიდევ მოელის ექსპონატებს, მაგრამ მათი დალაგება ჩქარა დამთავრდება.

გარეგნულადაც გამოფენა უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გალამაზდა. გამოფენის შესავალში, „ალფა-ლავალ“-ის პავილიონის წინ, დარგულია მაღალი ლერწამის ხეები; იქვე მოწყობილია რამოდენიმე ყვავილნარი.

გამოფენის მთავარი გზებიც მოკირწყლული და გალამაზებულია. გერმანულ და ამერიკულ ფირმებისაკენ მომავალ გზის ორივე მხარეზე დარგულია ტროპიკული მცენარეები.

გამოფენაზე დიდ ინტერეს იწვევს უზარმაზარ წიფელას მორი, რომელიც ჩამოტანილია გორის მაზრიდან. ეს მორი დადგმულია სამხედრო ორკესტრის პავილიონის წინ და მის თავზე აგებულია სასაუბრო პავილიონი.

უკანასკნელი კვირის განმავლობაში ინტერესი გამოფენისადმი ძალიან გაიზარდა. დილაობით გამოფენას ათვალიერებენ, უმთავრესად, მოწაფეთა და წითელ-არმიელთა ექსკურსიები. წარმოება-დაწესებულებებში მუშაობის დამთავრების შემდეგ კი გამოფენას აუარებელი მუშა-მოსამსახურეები აწყდება.

დაიწყო გლეხთა ექსკურსიების ჩამოსვლა საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან. პირველი ექსკურსია ჩამოვიდა ჭიათურიდან. მიღებულია ცნობები, რომ გლეხები მოდიან საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც. ჯერ-ჯერობით გამოფენაზე ყველაზე მრავალრიცხოვანია აზერბეიჯანელ გლეხთა ექსკურსიები.

გრძელდება მანქანა-იარაღების დემონსტრაცია. გუშინ გამოფენაზე თბილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის უფროსის ამხ. ალ. ბერიძის თანადასწრებით მოხდა სახანძრო ავტომობილის მუშაობის დემონსტრაცია. ნაჩვენები იყო აგრეთვე ამერიკული ფირმა „ინტერნაციონალ“-ის ახალი კონსტრუქციის საბარგო ავტომობილის მუშაობა.

„ამტორგი“

ამერიკული ფირმებიდან ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობას იღებენ „ფორდი“, „სამკალი მანქანების საერთაშორისო კომპანია“, „ალის-ჩალმალი“, „შერმან შეპპარდი“, „ინტერნაციონალი“ და სხვები.

ყველა ამ ფირმების ექსპონატები გამოფენაზე გამოგზავნილია ამერიკის სააქციო საზოგადოება „ამტორგ“-ის საშუალებით.

ფირმებს უჭირავთ ორიგრძელი ფარდული, სადაც დალაგებულია სხვადასხვაგვარი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. ზოგიერთი იარაღები მოთავსებულია ღია პლატფორმებზე.

ფორდის პავილიონში გამოფენილია 50 ფორძონი, 6 საბარგო და 4 მსუბუქი ავტომობილი სხვადასხვა ტიპისა. ფორძონებისათვის საჭირო სხვადასხვა მოწყობილობა გამოფენილია ფირმა „შერმან-შეპპარდ“-ის პავილიონში; აქ არის: გუთნები, ცელები, სალეწი მანქანები, ხე-ტყის სახერხი მანქანები საქაჩავები, პლატფორმები და სხვა. ეწყობა და ამ დღეებში გაიხსნება მანქანა-იარაღების შესაკეთებელი სამაგალითო სახელოსნოები.

ფორდის ფირმიდან გამოფენაზე ჩამოსულია ოთხი ინჟენერი რომლებიც უხელმძღვანელებენ ფორძონების მუშაობას გამოფენაზე. განზრახულია ფორძონების მუშაობას დემონსტრაცია სოფლის მეურნეობის ყველა დარგებში.

დანარჩენი ფირმებიდან „ალის-ჩალმერს“ გამოფენილი აქვს ტრაქტორები და გუთნები, „სამკალი მანქანების საერთაშორისო კამპანიას“ სამკალი და სალეწი მანქანები, ქარის წისქვილი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები; ფირმა „ინტერნაციონალი“ კი წარმოდგენილია ავტომობილებით და ტრაქტორებით.

ამერიკული ფირმების ექსპონატებს, გარდა ფორძონებისა ჯერ-ჯერობით მონაწილეობა არ მიუღიათ მანქანების დემონსტრაციაში; დემონსტრაცია დაიწყება პავილიონების გახსნის შემდეგ.

ამას გარდა ყველა ექსპონატები მონაწილეობას მიიღებენ მანქანების გამოცდაში, რომელიც დაიწყება 20 ივნისიდან.

გლეხების ექსკურსია

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკთან არსებულ საექსკურსიო ბიუროს ცნობით, საქართველოს მაზრებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გლეხების გასაგზავნად დათმობილი აქვთ 800 ადგილი.

მიწათმოქმედების კომისარიატმა ეს რიცხვი გაანაწილა ასე:

გამოფენაზე აფხაზეთიდან გამოიგზავნება 60 გლეხი, აჭარისტანიდან—25, სამხრეთ-ოსეთიდან—30, ახალქალაქის მაზრიდან—30, ახალციხის—30, ბორჩალოს—30, გორის—60, დუშეთის—25, სიღნაღის—50, თელავის—40, თბილისის—60, ზუგდიდის—50, ქუთაისის—105, ლეჩხუმის—15, ოზურგეთის—75, რაჭის—30, სენაკის—50, შორაპნის—70 და ზემო-სვანეთიდან—5 კაცი.

გლეხების საექსკურსიო ხარჯები დაკისრებული აქვთ ადგილობრივ აღმასკომებს.

გამოფენის ქრონიკა

წყალსაქაჩავი

გამოფენაზე ეწყობა წყალსაქაჩავი, რომელიც იმუშავებს ქარის საშუალებით; დემონსტრაცია დაიწყება ამ დღეებში.

„გზისმაჩვენებელი“

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გამოფენის „გზისმაჩვენებელი“; წიგნის დაბეჭდვის დაგვიანება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ აქამდე ყველა პავილიონები არ იყო მზათ.

მანქანების დემონსტრაცია

ამ დღეებში მოხდება „ალფა-ლავალ“-ის სეპარატორების დემონსტრაცია მუშაობის დროს; ექსკურსანტებს უჩვენებენ ნაღების მოხდას რძიდან სეპარატორის საშუალებით.

ელექტრო-სადგური

საღამოობით გამოფენაზე მუშაობს სასოფლო ტიპის ელექტრო-სადგური, რომელიც მოწყობილია „მუსავსტორგ“-ის პავილიონში; მამოძრავებლად გამოყენებულია ტრაქტორი „ბულდოგ“-ი.

ავტომატიური სასწორი

მთავარ პავილიონში დადგმულია ავტომატიური სასწორი, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს; სასწორზე დადგომისას საჭირო სპეციალურ ხვრელში ჩააგდოთ ვერცხლის ორშაურიანი, რის შემდეგაც მეორე ხვრელიდან გამოვარდება ქაღალდი, რომელზედაც სწერია წონა (კილო—კილო უდრის 2,5 გირვანქას), რიცხვი, თვე და წელიწადი.

სიმფონიური კონცერტი

სიმფონიური კონცერტები გამოფენაზე იმართება სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. კონცერტებს აუარებელი ხალხი ესწრება.

რამდენი გლეხი გატარდა გამოფენაზე

ა.-კ. სასოფ.-სამ. გამოფენის საექსკურსიო ბიუროს ცნობით, გამოფენაზე 11 ივნისიდან 15 ივნისამდე გატარდა 7.508 გლეხი.

უკანასკნელ ორ დღეში

უკანასკნელ ორ დღეში გამოფენაზე აზერბეიჯანიდან ჩამოვიდა 76 ექსკურსანტი-გლეხი, ქურდისტანიდან—11, ლენქორანიდან—13 და ნახიჩევანიდან—6.

მანქანების დემონსტრაცია

გუშინ, საღამოს 5 საათზე, გაიმართა ყოველგვარ სასოფლო-სამეურნეო მანქანების დიდი დემონსტრაცია. დემონსტრაციას დაესწრენ ექსკურსანტი-გლეხები, რომელთაც განმარტებებს აძლევდენ განსაკუთრებით მოწვეული სპეციალისტები.

რა აინტერესებს გლეხებს

ექსკურსანტი-გლეხები განსაკუთრებით დაინტერესებული არიან მანქანების ფასებით, რაც ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის.

ლექციები

გუშინ, საღამოს 8 საათზე, ექსკურსანტ-გლეხების საერთო საცხოვრებელ ბინაზე წაკითხულ იქნა ლექციები: გამოფენის და ამიერ-კავკასიის სასოფ.-მეურნეობის შესახებ. მოხსენებები გააკეთეს: ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკის თავმჯდომარემ ამხ. კ. ჩხენკელმა და საკავშირო კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტის მიერ გამოყოფილმა სპეციალურმა ლექტორებმა (უკანასკნელებმა თურქულ ენაზე).

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

უნდა გავაფრთხილოთ
(გორი)

სახმედვაჭრობის მაღაზიას გორში და მის რაიონში გამოცხადებული აქვს მონოპოლია ბორჯომის წყალზე. აქ ბორჯომის წყალზე დიდი მოთხოვნილებაა. მაგრამ, სამწუხაროდ, თავბერიძე წყალს 20—30 ყუთობით იწერს, რაც რამოდენიმე დღე ყოფნის გორს და შემდეგ უწყლო ვრჩებით. ამ მხრივ ისმის უკმაყოფილება სახმედვაჭრობის მაღაზიის მიმართ.

თავბერიძეს ინიციატივით არის აღებული მონოპოლია ბორჯომის წყალზე, მასვე შეუძლია ეს საქმე გააფართოვოს და ბორჯომის წყალი ვაგონობით გამოიწეროს. ამით ის საქმესაც სარგებელს მეტს მოუტანს და გორს და მისი რაიონის საზოგადოებასაც დააკმაყოფილებდა.

საჭიროა ამ შენიშვნას ყურადღება მიაქციოს მაღლა მდგომ ორგანიზაციამაც.

გორელი.

სახ. ღვინის საწყობში

სახალხო მამულთა ტრესტს განზრახვა აქვს მომჭირნეობის თვალსაზრისით შეამოკლოს ჩვენი მარნის შტატი სულ შვიდი მუშა-ხელით. მარნის ადმინისტრაცია თვით საქმის ინტერესის გულისათვის ცდილობს და შუამდგომლობს დატოვებულ იქნენ არსებული შემადგენლობა, ვინაიდან თუ 15 მუდმივი მუშა ვერ ასდიოდა მუშაობას და საჭიროებდენ კიდეც დროებით მაშველ ძალას, ესე იგი დღიურ მუშებს, შტატის შემცირების შემდეგ უფრო გაუჭირდებათ მუშაობა, მით უფრო, რომ დღითი-დღე იზრდება და მატულობს წარმოება.

ყოველ შემთხვევაში, მუშების სურვილი ასეთია: თუ მართლა ეკონომიის რეჟიმი მოითხოვს მუშათა შტატის შემოკლებას,—დეე, უფრო მუშებს ჯამაგირი მოაკლონ, და მაშინ არც მწვადი დაიწვება, არც შამფური და ცის ქვეშ უსაქმოდ არავინ დარჩება, მით უფრო, რომ უფროს-უნცროს მუშებში არავითარი მეტნაკლები მუშაობა არ არის და ყველანი ერთნაირად ეწევიან შრომის უღელს.

ჭაღარა მუშა.

პრესა მომჭირნეობის შესახებ
რა ჯდება ცუდი ხარისხის საქონელი

ცუდი ხარისხის საქონელი საზარალოა არა მარტო თავის თავად, როგორც მანკიანი საქონელი, არამედ ის ზედმეტ ხარჯათ აწვება წარმოება - დაწესებულებას სხვა მხრივადაც. ამის საუკეთესო მაგალითი მოჰყავს მოსკოვის „იზვესტიას“ (№ 129), სადაც ის სწერს:

„ქარხანა „კრასნი დვიგატელ“-მა დონეცის ქვანახშირის მაღაროებიდან მიიღო 1.023 ფ. კოქსი. მთელ ამ რაოდენობიდან 414,32 ფუთი (მთელი დაკვეთის 40,5 პროცენტი) ძალიან ცუდი ხარისხის გამოდგა: კოქსის მაგიერ მიწიანი სილა იყო. ამ 414,32 ფუთში, როგორც უვარგის კოქსში, გადახდილია 42 კ. თვითეულ ფუთში. სულ, მაშასადამე, 174 მ. და 1 კაპ. ამ მიწიან სილის რკინისგზით გადატანა ქარხანას დაუჯდა 116 მ. და 1 კ., შემდეგ მისი ყაზანიდან ქ. ჩისტოპოლში ურმებით გადაზიდვა—145 მ. და 1 კ. ამრიგად, სრულიად უვარგისი მიწიანი სილა ქარხანას დაუჯდა 435 მ. და 3 კ. რომ ეს თანხა მიუმატოთ კარგი ხარისხის კოქსის ღირებულებას (608,68 ფ.), გამოვა, რომ კარგი ხარისხის კოქსი დაუჯდა ქარხანას არა 1 მ. და 5 კ., არამედ 1 მ. 76 კ., ე. ი. 67 პროცენტზე უფრო ძვირათ, ნორმალურ ფასებთან შედარებით.

„კრასნი დვიგატელი“ წლიურად ხარჯავს 18.000 ფუთს კოქს. ადვილი გამოსაანგარიშებელია რა უჯდება ქარხანას ასეთი რაოდენობის კოქსი, თუ 40 პროც. მიწიანი სილაა და არა წმინდა კოქსი. შედეგათ ამას შეიძლება მოჰყვეს, ქარხნის ნაწარმოებზე ზედნართი ფასების მეტად საგრძნობათ გადიდება“.

ამ მაგალითიდან აშკარაა, რამდენათ საზარალოა საქონლის მანკიანობა თვით წარმოებისათვის, ფასების დაკლებისათვის და აქედან გამომდინარე მთელ რიგ ღირსშესანიშნავ ღონისძიებებისათვის, რომელსაც პარტია და ხელისუფლება მიმართავს სოციალისტურ აღმშენებლობის წარმატებით წარსამართავად.

საგლეხო სესხი
მე-8 და მე-9 სერიების გამოშვება

საბჭოთა კავშირის მრავალ სასოფლო რაიონებში მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციების რეალიზაციის გაძლიერებისა და აგრეთვე მიმდინარე წლის აპრილის დამდეგიდან ქალაქებში ამ სესხის ობლიგაციების გასაღების დაწყების გამო, მოქალაქეებს შორის ზემოხსენებულ სესხზე მოთხოვნილება ძალიან გაიზარდა.

ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და აგრეთვე წინად გამოცემულ სესხების ობლიგაციების (მეორე მომგებიანი, პირველი საგლეხო, 1925 წლის მოკლევადიანი 5 პროცენტიანი სესხები, მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციებზე გადასაცვლელი ოპერაციების გასაძლიერებლად,—სავალიუტო სამმართველომ გამოუშვა მეორე საგლეხო სესხის მე-8 და მე-9 სერიები.

მოქალაქეები, რომელთაც შეძენილი აქვთ ამ სერიების ობლიგაციები ან იძენენ მათ, ძალიან მოგებული რჩებიან, რადგან ეს ობლიგაციები უკვე მონაწილეობენ ამ ჟამად სვერდლოვსკში წარმოებულ გათამაშებაში.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ვალი

წინასწარი ცნობებით საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ვალის საერთო ჯამი 1926 წლის პირველი მაისისათვის უდრიდა 559.023.000 მანეთს.

ცალკე სესხების მიხედვით ეს ვალი შემდეგნაირად ნაწილდება:

პირველი სახელმწიფო მომგებიანი სესხის მიხედვით ვალი შეადგენს—98.935 ათას მანეთს (ანუ 17,7%); მეორე მომგებიანი სესხის მიხედვით—58.255.000 მანეთს (10,4%). 5 პროცენტ. მოკლევადიანი სესხის მიხედვით—3.459.000 მანეთს (0,6%), 1924 წლის 8 პროცენტიანი შინაური სესხის მიხედვით—73.669.000 მანეთს (13,2%), 1924 წლის პირველი საგლეხო სესხის მიხედვით (განმეორებული გამოშვებით)—26.393.000 მანეთს (4,7%). 1925 წლის მეორე საგლეხო სესხის მიხედვით — 57.467.000 მანეთს (10,3%) ცენტრო-კასის საგადასახადო ვალდებულებათა მიხედვით—110.935 ათასი მანეთი (19,7%) და სამეურნეო აღდგენის სესხის მიხედვით—130.510 ათასი მანეთი (23,4%).

აპრილში მოხდენილ მეორე მომგებიან 1924 წლის პირველი საგლეხო სესხის და 5%-იან მოკლევადიანი სესხების დაფარვის მიუხედავათ, სახელმწიფო ვალი ერთი თვის განმავლობაში 19.827.000 მანეთი ანუ 3,7%-ით გაიზარდა. ეს აიხსნება, ერთი მხრივ იმ გარემოებით, რომ ამ სესხების დაფარვა ხდებოდა უმთავრესად ზემოხსენებული სესხების ობლიგაციების გადაცვლით მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციებზე და მეორე მხრივ,—საგადასახადო ვალდებულებათა აქტიურ სალდოთი, რომელიც 8.779.000 მანეთს უდრიდა და აგრეთვე სამეურნეო აღდგენის სესხის განაღდებით, რომელმაც შემოიტანა 23.330.000 მანეთი.

საქართველოს მარგანეცი
პირველი საკონცესიო წლის შედეგები

26 ივლისს სრულდება შავი ქვის კონცესიის პირველი წლის თავი.

ხელშეკრულების ძალით საზოგადოებას ამ ერთი წლის განმავლობაში უნდა გაეტანა 400 ათას ტონაზე არა ნაკლები შავი ქვა.

ამ რაოდენობაზე ნაკლებიც რომ იქნეს გაზიდული, საზოგადოება მაინც მოვალეა შეიტანოს სატონო გადასახადი (თვითეულ ტონაზე 3 დოლარი). საქ. საბჭ. რესპუბლიკის ხაზინაში 400 ათასი ტონის კვალობაზე.

კონცესიის მეთვალყურეობის სამმართველოს ცნობებით კონცესიის დაწყებიდან 1926 წლის პირველ ივნისამდე საზოგადოებას გაუზიდავს 312.112 ტონა მარგანეცი.

უკანასკნელ ხანებში სწარმოებს, შავი ქვის გაძლიერებული გაზიდვა (არა ნაკლებ 160 ვაგონისა დღეში) ხელშეკრულებით დაწესებული გაზიდვის ნორმა წლისათვის დასასრულისათვის შესრულებული იქნება სავსებით, შესაძლებელია გაზიდვამ ნორმასაც გადააჭარბოს.

საზოგადოებასთან დადებულ ხელშეკრულების ძალით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას დარჩა უფლება დამოუკიდებლად გაზიდოს 170 ათასი ტონა შავი ქვა. ხელშეკრულების ძალითვე ამ მადნის გაზიდვაც უნდა მოხდეს კონცესიონერის საშუალებით.

საქართველოს მთავრობას საზოგადოებისათვის პირველ ივლისამდე ჩაუბარებია 170 ათას ტონის ანგარიშში 51.987 ტონა—ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის კვალობაზე

საბჭოთა კავშირში შავი ქვის შეზიდვა მთავრობის შავი ქვის მარაგიდან ჩამორთმეული აქვს კონცესიონერს. საბჭოთა კავშირში შავი ქვის ვაჭრობას აწარმოებს თვით საბჭოთა საქართველოს მთავრობა.

კონცესიის დაწყებიდან პირველ ივნისამდე საბჭოთა კავშირში გატანილია 20.577 ტონა შავი ქვის მადანი.

სხვები.

წითელ ჯარში

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების მორიგი ამოცანები

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების მიზანია ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეს. დაარსების პირველ ხანებში საზოგადოება აწარმოებდა მუშაობას მხოლოდ ჯარის ფარგლებში; ამ უკანასკნელ დროს იგი ცდილობდა ჩაება მუშაობაში მშრომელთა ფართე მასა.

გამოსვლა ჯარის ვიწრო ფარგლებიდან და მუშაობის გადატანა მოსახლეობაში, აგრეთვე თვით საზოგადოების მიზანი, ცხადჰყოფენ, რომ საზოგადოებას დღეს არ შეეფერება ძველი სახელი. მეორე მხრივ იმავე მიზანს--საბჭოთა კავშირის თავდაცვას—ემსახურებიან „ავიოქიმი“ და „რადიოს მოყვარულთა საზოგადოება“. ამიტომ დაიბადა აზრი სამხედრო-სამეცნიერო სახელის შეცვლის და ხსენებულ საზოგადოებების გაერთიანების აზრი. სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების საკავშირო ყრილობამ შესაფერისი დადგენილებები, რომლებიც თანდათანობით ტარდებიან ცხოვრებაში.

ცხადია, რომ საზოგადოების მთავარი ამოცანა—საბჭოთა კავშირი თავდაცვის საქმისათვის ხელის შეწყობა მოითხოვს, რათა ამ მუშაობაში მიიღოს მონაწილეობა მშრომელთა ფართე მასსამ. ხსენებულ მიზნების განხორციელება შეიძლება, მაშინ, თუ სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოება გადაიქცევა მასიურ, საზოგადოებრივ ორგანიზაციათ.

მომავალ მუშაობაში სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება უნდა იქნეს მიპყრობილი თავის რიგების მშრომელი ელემენტებით შევსებისაკენ. დღეს-დღეობით ჯარში არსებული სამხედრო-სამეცნიერო საზოგადობაში ამ მხრივ ძალიან მოისუსტებენ; მოქალაქეთა რიცხვი მათში უმნიშვნელოა.

შემდეგ, საჭიროა საზოგადოების საბჭოებში სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეყვანა. მთავარ საბჭომ უკვე დაგზავნა ადგილებზე შესაფერი ინსტრუქციები. საჭიროა ცხოვრებაში მათი დროზე გატარება. საჭიროა აგრეთვე ვიქონიოთ მხედველობაში, რომ აუცილებელია არა მექანიკური კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან და მცხოვრებლებთან, არამედ საქმიანი მონაწილეობა საერთო მუშაობაში.

საზოგადოების ფართე მასიურ ორგანიზაციად გადასაქცევად საჭიროა მოსახლეობაში აქტიურ მომუშავე ძალების გამოძებნა. ამისათვის გამოყენებულ უნდა იქნენ სათადარიგო მეთაურნი, უვადო შვებულებაში მყოფი წითელ-არმიელნი და მოწაფეები. საბჭოთა, პარტიული და პროფესიონალური ორგანოები ფართედ უნდა ჩაებან მუშაობაში.

მიმდინარე საზაფხულო პერიოდით გამოყენებულ უნდა იქნეს საზოგადოების მიზნების აგიტაციისათვის, ამას ხელს უწყობს ჯარის ნაწილების ბანაკად ყოფნა და სიახლოვე მოსახლეობასთან.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ საზოგადოთ, მარტო ჯარის ძალებით ვერ მიაღწევს თავის მიზნებს.

ი—ა.

ქართული დივიზია ბანაკად

საზაფხულო საბანაკო პერიოდი ჯარისათვის არის ერთგვარი გამოცდა. ბანაკად ყოფნის დროს ნათლად ირკვევა, თუ რამდენად კარგად აქვს შესწავლილი წითელ არმიელებს სამხედრო საქმე ზამთრის პერიოდის განმავლობაში. ამის გამო საბანაკო პერიოდს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამხედრო და პოლიტიკურ სწავლების მთელ იმ სისტემაში, რომელიც წითელ არმიაში ტარდება.

დიდი სამზადისი მუშაობა ჩატარდა ქართულ დივიზიის ნაწილებში ბანაკად გამოსვლისათვის. იმ ადგილას, სადაც შენდებოდა ბანაკი, წინასწარ გაიგზავნა რამოდენიმე ასეული წითელ-არმიელი, უმთავრესად ხელოს. უკანასკნელებმა სულ მოკლე ხნის განმავლობაში ააშენა დივიზიის მასშტაბით კლუბი 300 კაცისათვის, აბანოები, სასადილოები, ფურნე, შენობები ნაწილების შტაბებისათვის და სხვა. გამოყვანილ იქნა აგრეთვე წყალი. ელექტრო-სადგურიდან ბანაკისათვის გაყვანილ იქნა სინათლე, რასაც ხელი შეუწყო გორის მაზრის აღმასკომმა, რომელმაც 200 ლამპის ელექტრო-ენერგია უფასოდ გასცა.

თვით ნაწილებში ბანაკად გასვლისათვის აგრეთვე ჩატარდა დიდი წინასწარი მუშაობა. მიღებულ იქნა ზომები, რათა არ შეწყვეტილიყო კავშირი ნაწილებსა და სოფლებს შორის, არ შესუსტებულიყო სამხედრო სამეცნიერო მუშაობა მოსახლეობაში და სხვა. წითელ-არმიელთა მთელი მასის მიერ საბანაკო პერიოდის წინ მდგომ ამოცანების შეთვისების მიზნით ეს საკითხები იყო დასმული საქართველოს მთავარ ქალაქებში ჩატარებულ წითელ-არმიელთა უპარტიო კონფერენციების დღის წესრიგში. საბანაკო პერიოდის პირველ დღიდანვე იქნება ჩამოყალიბებული სამხედრო და პოლიტიკურ დარგში დამატებითი მეცადინეობა იმ წითელ-არმიელებთან, რომელნიც ამა თუ იმ მიზეზების გამო ჩამორჩენ ცოდნით დანარჩენებს საზამთრო პროგრამის გავლის დროს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, რაც 100 პროც. იქნება დამთავრებული ა. წ. 1 აგვისტოსათვის.

მუშაობის ურთიერთ შეთანხმებისათვის გაბმულია მტკიცე კავშირი ქართულ და რუსულ ნაწილებს შორის, რაც გამოიხატება კრებებზე დასწრებაში, საერთო ძალებით სოფლად საშეფო მუშაობაში, ერთმანეთის ყოფა-ცხოვრების გაცნობაში და სხვა.

ყოველ ასეულში მოწყობილია ლენინის კარვები, რომლის დანიშნულება იგივეა, რაც ლენკუთხეების. აქტიურ პოლიტიკურ მუშაობის პირველდაწყებითი სკოლის წითელ არმიელები ვადიან პირველად ამ ლენინ-კარვებში.

ბანაკის მასშტაბით იწყობა კინო.

სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოებამ „ბოეც“-მა მოაწყო სასადილოები. გაიხსნება აგრეთვე კოოპერატიული დუქნები.

წითელ-არმიელები დიდი ხალისით უდგებიან საზაფხულო სწავლებას და სინამდვილეში დაამტკიცებენ იმას, რომ ზამთრის განმავლობაში მათ მიერ შეძენილი თეორეტიული ცოდნა შეუძლიათ გამოიყენონ პრაქტიკულ მუშაობაში.

ი. რუდოვსკი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ახალი სკოლა.

მესტია, 15 ივნისი. სვანეთის გლეხების მხურვალე მონაწილეობით, მოხდა სვანეთის გლეხურ ახალგაზრდობის სკოლის „შრომ“-ის საზეიმო გახსნა. ამ სკოლას დიდი მნიშვნელობა აქვს სვანეთის გლეხური მეურნეობის ასაწევათ.

ექსკურსია.

ახალ-სენაკი, 15 ივნისი. 16 ივნისს მიემგზავრება გლეხთა ექსკურსია სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ექსკურსია შესდგება 50 კაცისაგან. მიდის აგრეთვე პროფკავშირების ექსკურსია 30 კაცის შემადგენლობით.

კომუნალურ სამრეწველო ტრესტი

ახალსენაკი, 14 ივნისი. სამაზრო აღმასკომმა დაადგინა დაარსოს მაზრაში კომუნალურ სამრეწველო ტრესტი. კომუნალურ და სამრეწველოს აღმშენებლობის სამაზრო მასშტაბით ხელმძღვანელობისათვის.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

ქუთაისი, 14 ივნისი. 1923 წლის აღწერით ქალაქ ქუთაისში იყო 52 პროც. წერა-კითხვის უცოდინარი. 1926 წელს კი ივნისამდე წერა-კითხვის უცოდინართა პროცენტი დაეცა 35 პროცენტამდე.

წვიმები გურიაში

ოზურგეთი, 14 ივნისი. უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში ძლიერი წვიმები იყო.

ბაზარის გადაკეთება

ქუთაისი, 14 ივნისი. ქუთაისის აღმასკომმა 6.000 მანეთი გადასდო ბაზრის გადასაკეთებლად. ახალი ბაზარი სანიტარის ყოველგვარ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს.

მღრღნელნი

ქუთაისი, 14 ივნისი. უხუთისა და ზეკარის თემებში გაჩნდენ მინდვრის თაგვები. უხუთის თემში დაზიანებულია დათესილი სიმინდის 25 პროც., ზეკარის თემში კი—15 პროც.

აგრონომიული წრეები

ქუთაისი, 14 ივნისი. ქუთაისის სამაზრო აგროსექციამ აგრონომიული წრეები მოაწყო შემდეგ თემებში: ჭუხში, გუბში, ზემო-სიონეთში, სვირში და ბაღდადში.

თამბაქო

ოზურგეთი, 14 ივნისი. მაგნეზელთა მასიურ გამოჩენის და ცუდი ამინდის გამო, თამბაქოს პლანტაციების მდგომარეობა გურიაში ცუდია.

მუშკოოპის შენობა

ფოთი, 14 ივნისი. ახლო მომავალში ქალაქის ცენტრში დაიწყებენ მუშკოოპის შენობის აგებას, რაზედაც იხარჯება 120,000 მან.

ყინულის ქარხანა

ფოთი, 14 ივნისი. აღმასკომი შეუდგა ყინულის გამკეთებელ ახალი ქარხნის აგებას; ქარხანა ერბაშათ გამოუშვებს 150,000 ფუთ ყინულს.

აფხაზეთი
„ფსირცხას“ დათვალიერება

სოხუმი, 13 ივნისი. 13 ივნისს, დილის და საღამოს სხდომებს შორის შესვენების დროს, საქ. ცაკ-ის წევრები, მათ რიცხვში: ელიავა, გეგეჭკორი და თოდრია გაემგზავრენ საბჭოთა მეურნეობის—„ფსირცხა“-ს (ყოფილი ახალი ათონის მონასტერი) დასათვალიერებლად; მამული სოხუმიდან დაცილებულია 24 ვერსის მანძილზე.

დელეგატებმა დაათვალიერეს ტაძარი, საკანები, ჰიდრო-სადგური, წისქვილი, ტყავის ქარხანა და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები.

„საბჭოთა მეურნეობის“ თანამედროვე მდგომარეობამ და მის მხატვრულ მდებარეობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს სტუმრებზე.

წერილები

სეფემ თავი მოგვაჭრა
(ახალციხე)

სეფე ბურჭულაძემ ამ სამიოდე წლის განმავლობაში ბევრი ადგილი გამოიცვალა. ჯერ იყო და გურიაში მსახურობდა, იქიდან დუშეთში ამოჰყო თავი და დუშეთიდან ახალციხეს ეწვია განათლების განყოფილების გამგის თანამდებობაზე. ცხადია, სეფეს ხშირი ადგილცვალებადობა მიეწერება ამ მასწავლებლის სიყვარულს საქართველოს გეოგრაფიისადმი. აქ სულ სხვა მიზეზებია, რომელზედაც ალბად გურიისა და დუშეთის ამხანაგები უკეთ მოგვითხრობენ, მე კი შევჩერდები სეფეს მოღვაწეობაზე მისი ახალციხეში მოვლინების შემდეგ.

სეფეს ღვინო უყვარს. მაგრამ სეფე მევენახე არაა, თან კიდევ, მოგეხსენებათ, ახალციხე არც იმდენად ნაქებია საკუთარი ზვრებით. ამიტომ ღვინოს უთუოდ ფული უყვარს. სეფეს, სხვა სიკეთესთან, ნდობა დიდი აქვს ახალციხის მიკიტნებში. და მოსდგა სეფე ნისიათ ქეიფს. მალე ისე დაიყურა მიკიტნების ვალებით, როგორც მობმული ვენახი შემოდგომაზე ყურძნით.

საჭირო იყო ვალის ანაზღაურება. მაგრამ საიდან? სეფემაც გამოსავალი მალე ნახა. ადგა და სკოლის დარაჯებს 1 ოქტომბრიდან გამოუწერა ჯამაგირები.

კეთილსინდისიერი მასწავლებელი ხალხის გაუნათლებლობას ებრძვის. ის წერა-კითხვის უცოდინარობის სასტიკი მტერია. სეფე კი, პირიქით, სიხარულით ცას ავლებს ხელს, რომ ახალციხის სკოლების დარაჯებმა წერა-კითხვა არ იციან. დაიბარა მან ისინი ფულის მისაღებად. ბევრი მათგანი მხოლოდ 1 იანვრიდან მუშაობდა, ჯამაგირი კი სეფემ 1 ოქტომბრიდან გამოიწერა; დარაჯებს ნუსხაში ჯვრები დაასმევინა, სამ-სამი თვის განსხვავებას თვითეულ დარაჯის ჯამაგირზე სეფემ ჯიბისაკენ გადაუძახა.

არც სხვა ცოდვებიდანაა თავისუფალი ბურჭულაძე. ღვინო და დუდუკი, როგორც ვიცით, მჭიდროთაა დაკავშირებული ქალებთან. „ღვინო, დუდუკი, ქალები“, გაიძახოდა სამიკიტნოებში სეფე და პრაქტიკულადაც ატარებს ამ თეორიას.

ვთქვათ მასთან, როგორც გამგესთან, მივიდა მასწავლებელი ქალი. თუ კი სეფეს ის თვალში დაუჯდა, მაშინვე საქმიან კილოს საარშიყოზე შესცვლის. თუ უკიდურესი გასაჭირი არ დაადგა, ისე მასწავლებელი ქალი ერიდება სეფეს ნახვას.

როგორც უკვე ვთქვით, სეფემ ამ სამიოდე წლის განმავლობაში ბევრი ადგილი გამოიცვალა. კარგი იქნებოდა, რომ ერთხელ კიდევ გაირჯებოდეს და ახალციხის ასპარეზიდან წაბრძანდებოდეს, იმ პირობით კი, რომ სხვაგან ის სულ სხვა სეფე იქნებოდა.

გურული.

იმედი ვერ გაამართლეს
(საგარეჯო, გარე-კახეთი)

სარევიზიო კომისიებმა უკვე დაასრულეს შემოწმება და ნათელ-ჰყვეს გლეხკომების მუშაობა. გამოირკვა, რომ საგარეჯოს გლეხკომის მუშაობა, როგორც საორგანიზაციო, ისე ტეხნიკური, მოისუსტებდა და დეფექტებიც საკმაო აღმოჩნდა; მაგრამ ბოროტმოქმედებას კი ადგილი არა ჰქონია.

მთავარი მიზეზი ამის ყოფილა ტეხნიკურ-მომუშავეების მიერ საქმის უცოდინარობა და დაუდევრობა, ხოლო დაუდევრობა-კი გამოწვეული იყო ზოგჯერ გლეხკომებში ჯამაგირების მიუცემლობით. მაგრამ ამავე დროს მისაღებია მხედველობაში ის გარემოებაც, რომ გლეხკომს შეუდგენია არტელი, მოუტანია მათთვის ტრაქტორი, დაუმუშავებია: 2½ დესეტინა ვენახი, დაუთესია 3 დესეტინა—ბრინჯი, 11 დესეტინა—პური, საზამთრო—¼ დეს., კომბოსტო—1 დესეტ., კიტრი და პამიდორი—¼ დესეტ., აქვს საკუთარი წისქვილი თრიმლის და ბრინჯის საცეხვი.

საგარეჯოს თემის სხვა სოფლების გლეხკომების მუშაობა, მაგ. ნინო-წმინდის, ანთოკ-მარიამჯვრის, მანავის, ბურდიანის და გიორგი-წმინდის სუსტი იყო, რადგან სათავეში უდგნენ სრულიად უცოდინარნი საქმისა და ისინი უფრო თავიანთ კერძო საქმეებზე დადიოდენ.

თოხლაურის გლეხკომი ერთად-ერთი გლეხკომია თემში, რომლის მუშაობაც შესაძლებელია ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

გ. გარსიაშვილი.

წერილებიდან

ჩხოროწყუ (ზუგდიდის მაზრა).

ვერ გადაეჩვიენ. სიკვდილს იმდენად არ სჩივა ჩხოროწყუელი გლეხი, რამდენადაც ხარჯებს, რომელსაც იწვევს ოჯახის რომელიმე წევრის გარდაცვალება. თუ ქელეხი გამართე და ასი კაცი მოიწვიე, ორას-სამასი კაცის სასყოფი სურსათ-სანოვაგე მაინც უნდა დაამზადო, რადგან მუქთა [illegible]სა და ქეიფის მოსურნე მრავალთ მოიპოვება [illegible] ყველა კარზე მოგადგება. ამ ბოლო ხანებში ჩვენში მაინც ძალიან გახშირდა ქელეხობა, რასაც გლეხის ოჯახი ზოგჯერ განადგურებამდე მიჰყავს.

ალექსი პაპასქირი.

დიღომი

ყურადღებას არ აქცევენ. ჩვენს თემში არის ერთი ღარიბი ქვრივი დედაკაცი. ვარის თეთრაშვილი. ამ ქალს საცაა სახლი თავზე ჩამოენგრევა და ბავშვებიანა გასრესს. მას არავითარი სახსარი არა აქვს, რომ სახლი შეაკეთოს. გლეხკომი კი არავითარ ყურადღებას აქცევს მის გამოუვალ მდგომარეობას, რამდენჯერმე მიმართა თეთრაშვილმა გლეხკომის თავმჯდომარეს, მაგრამ მას მოსთხოვეს ფული. ფული, რომ ყოფილიყო, ქვრივი სახლს გლეხკომის დაუხმარებლადაც შეაკეთებდა.

იშალი.

ეს მომჭირნეობა არაა

წელიწადზე მეტია, რაც თბილისში არსებობს აზთევზტრესტის განყოფილება, რომელსაც სამი სავაჭრო აქვს. ამ განყოფილებას საკმაოზე მეტი შტატი ჰყავს. მიუხედავად ამისა ამ ბოლო ხანს მიიღეს განყოფილების რწმუნებულის თანაშემწე, რომელსაც თვეში 250 მან. დაუნიშნეს. მას თევზის საქმეში არაფერი ესმის, ჯამაგირი კი ასე დიდი აქვს. გარდა ამისა ამ დღეებში შეიძლება ჩატარებულ იქნას შტატის შემცირება. ამ ფულით ოთხი მუშის შენახვა მაინც შეიძლებოდა. აქ კი ერთ კაცმა სრულიად უსარგებლოთ უნდა დააკლოს აზთევზტრესტს ყოველ თვიურათ 250 მანეთი. ნუ თუ ესეც მომჭირნეობაა?

შინაური.

გურია.

მაღალ-ჯუმათი მოუვლელია. მაღალ-ჯუმათი ცნობილი აგარაკია აღმოსავლეთ გურიაში. ამ აგარაკით უმთავრესად სარგებლობს გურიის ღარიბი გლეხობა. თუ სხვა ჩვენი აგარაკები მოკლებულია სათანადო კეთილმოწყობას, მაღალ-ჯუმათი სრულიად უყურადღებოთაა დატოვებული. საჭიროა ამ აგარაკს მოხედოს ჯანმრთელობის სამაზრო განყოფილებამ.

მიშა ჩიხათელი.

მუშათა ცხოვრება

ხუთშაბათს, ნაშ. 6 საათზე, პროფსაბჭოს მცირე დარბაზში, შესდგება თბილისის ყველა გაზეთების მუშკორთა საქალაქო კონფერენცია, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ამხ. სუტირინი საბჭოთა საკავშირო მუშა და გლეხკორთა მესამე საკავშირო თათბირის შესახებ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა დასწრება სავალდებულოა.

ესეც მუშათა დელეგაცია

ყველამ ვიცით, რომ პროფმუშაკების მოვალეობას შეადგენს, უპირველეს ყოვლისა, დაიცვან მუშა-მოსამსახურეთა ინტერესები კანონიერ ფარგლებში, ხელი შეუწყონ და სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიონ მუშათა თვითგანვითარების საქმეს და სხვ. ზოგიერთი „პროფმუშაკები“ ბოროტად იყენებენ მუშათა ნდობას და მუშებს უსირცხვილოდ ღალატობენ. ასეთების ჯგუფს ეკუთვნის მთავარ სახელოსნოების მონაგარიშე მოქ. სერგო ზუბაძე, რომელიც რამოდენიმე წელია, რაც არჩეულია მუდმივ მოსამსახურეთა დელეგატათ. ამ ხნის განმავლობაში მას, ღალატის გარდა, დახმარება არ გაუწევია მოსამსახურეთათვის, მიუხედავად იმისა, რომ მას კარგად ესმის დელეგატის ფუნქციები. აი მაგალითიც: იმ დროს, როდესაც ჩვენ კონფლიქტი გვქონდა ადმინისტრაციასთან კუთვნილი ორი საათის ჯილდოს ასაღებად, მან გაკეთებული საქმე ჩაგვიფუშა და ყველამ იცის, თუ რა წვალებით ავიღეთ ჩვენ ის ფული. როდესაც საქმე ჩვენ სასარგებლოდ თავდებოდა, ამ დროს მოქ. ზუბაძემ „მაკდონალდის“ როლში გამოიდგა და მუხანათურად უღალატა მის ამხანაგებს. მან ხმამაღლა განაცხადა, რომ „ჩვენ ეს ჯილდო არ გვეკუთვნის“-ო. ამით სახელოსნოს უფროსმაც იხელმძღვანელა (დელეგატი უარყოფს და მე როგორ დავეთანხმებიო) და ცივი უარი მოგვერტყა ჯილდოს მიღებაზე. ჩვენ ის ფული მაინც მივიღეთ. ფულის დარიგების დროს მოქ. ზუბაძეც უსირცხვილოდ რიგში ჩადგა ასაღებად.

აი მეორე გაიძვერობაც ზუბაძემ იმის მაგივრად, რომ მას დაეცვა ამხანაგების ინტერესები, ის ადმინისტრაციის ლაქია გახდა. ეს გამოიხატა იმაში, რომ ადმინისტრაცია ცდილობდა ემუშავებია მონაგარიშეები ზედმეტ საათებში უსასყიდლოთ და, როდესაც მათ უარი განაცხადეს უსასყიდლოდ ზედმეტ საათების მუშაობაზე, აქ ბ-ნმა ზუბაძემ კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა მისი გაიძვერობა და ხმამაღლა განაცხადა: „დაბოლოს ყველა ესენი საშკარაოზე გამოვიტანოთ.“ ასეთ მოვლინებს სხვაგანაც აქვს ადგილი. ასეთი „პროფმუშაკები“ სახელს უტეხენ პროფკავშირებს და უნდა დაისაჯონ სხვებისთვის ჭკუის სასწავლებლად.

მუშა იძულებული.

საზაფხულო ბაღებით სარგებლობის შესახებ.

უკვე ზაფხული დადგა. ქალაქის მცხოვრებთა შეძლებული ნაწილი მიიჩქარის კურორტებისაკენ.

დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა მცირე ნაწილიც იგზავნებიან კურორტებზე და დასასვენებელ სახლებში, მაგრამ დიდი უმრავლესობა როგორც მუშა-მოსამსახურეთა, აგრეთვე მათი ოჯახის წევრებისა, რჩება ქალაქში ზაფხულის სიცხეებში.

დაღლილ-დაქანცულ მუშა - მოსამსახურეთა გასართობად და სუფთა ჰაერით სარგებლობის მიზნით საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მიერ მოწყობილია ქალაქის ყველა თვალსაჩინო უბნებში საზაფხულო კლუბი-ბაღები, კავშირის წევრებს საშუალება ეძლევათ მცირე გადასახადით შეიძინონ კლუბი-ბაღის საწევრო წიგნაკი, რომლითაც მათ საშუალება აქვს ბაღში უფასოთ შესვლისა.

ბაღები გამშვენიერებულია და კოხტადაა მორთული. მაგრამ ერთი მდგომარეობა უნდა აღინიშნოს ბაღით სარგებლობის შესახებ. მაგ., მიდიხართ ხშირად ბაღში ოჯახის წევრებთან ერთად და კლუბ-ბაღის კარისკაცი გეუბნება:

— ამხანაგო, დღეს ფასიანია შესვლა როგორც წევრთათვის, ისე ყველა დანარჩენთათვის, რადგან კონცერტი მიდისო.

ხელში გაქვს საწევრო წიგნაკი და მაინც რაღაცნაირ უხერხულობაში ვარდები.

გაბრუნდე უკან—გული გწყდება, ამდენი გზა გაიარე, დასასვენებელ ადგილას მოდი, და უკან დაბრუნება ძნელია. იყიდო ბილეთები, ფული არა გაქვს.

შეიძლებოდა ამ მდგომარეობის ისე მოწესრიგება, რომ არც კლუბს ენახა რაიმე მატერიალური ზარალი და არც კლუბის წევრები ჩავარდნილიყვნენ ასეთ მდგომარეობაში. ამის მოგვარება შეიძლება ასე:

საკონცერტო და სასპექტაკლო დარბაზზე დაწესებული უნდა იყოს მეთვალყურეობა და ჩვეულებრივი კონტროლი, ბილეთების გასინჯვა და კონცერტების მხოლოდ ფასიან ბილეთებზე ეწარმოებია თვალყურის დევნება.

ამრიგათ ის მოქალაქეები, რომელთა კონცერტის ან წარმოდგენა-სპექტაკლის მოსმენა უნდა, შეიძენს შესაფერ ბილეთებს, და ისინი კი, ვისაც მხოლოდ ჰაერით უნდა ისარგებლოს და დაისვენოს, შევიდოდენ საწევრო წიგნაკებით ბაღში და დაისვენებდენ.

ამით არც კლუბები იზარალებდენ რაიმეს და ის მუშა-მოსამსახურეებიც კმაყოფილი იქნებოდენ საწევრო წიგნაკით იმ მხრივ, რომ მათ ბაღში ჰაერით სარგებლობის უფლება ყოველ დღე უფასოდ აქვთ.

ს. პ. კ. საბჭომ უნდა მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და მოაგვაროს ეს საკითხი მუშა-მოსამსახურეთა სასარგებლოდ.

მუშკორი თიოკოლი.

გაფლანგველი მოხელის „საქმიანობა“.

თბილისის სარონოდი ფარეხის წევის დარგის მომწესრიგებელი მოქ. ვანო კესინოვის მომჭირნეობის რეჟიმის გამოხატება შემდეგში: ამ წლის მაისის დამლევს გამოირკვა, რომ მოქ. კესინოვს (თბილისის დეპოს გამწესრიგებელს) დაფარული ჰყოლოდა და ცხრა თვის განმავლობაში არ გზავნიდა სამსახურში გამზეთველს, ალექსანდრე დანიელის ძე ბალაბანიკოვს, რომელიც რვა თვის განმავლობაში განუწყვეტლივ ღებულობდა ჯამაგირს მე-7-ე ხარისხისას, ე. ი. 36 მან. და 50 კაპ.

გარდა ამისა, ის ღებულობდა ყოველ თვე 1½ გირვანქა საპონს ამ ხნის განმავლობაში. მოქალაქე კესინოვს თუ სად ჰყავდა გამზეთველი ა. ბალაბანიკოვი, არავინ იცოდა დღემდე. მაგრამ, ნათქვამია: „კოკა წყალზე გატყდებაო“ და სწორედ მას ასე დაემართა.

როდესაც ვანო კესინოვმა მოინდომა ვითომდა დიდი შრომის შემდეგ შვებულებაში გაეგზავნა გამზეთველი ბალაბანიკოვი, რისთვისაც შვებულების ნებართვაც მისცა. ა. ბალაბანიკოვი გამოცხადდა თბილისის საყუდის კანტორაში გამგესთან, რომელსაც სთხოვდა საშუალო ნამუშევარის ფულის მიცემას და აი სწორედ ამ დროს კოკა ნაცარში ჩაუვარდათ სახალხო ქონების გამფლანგველებს. ვინაიდან, როდესაც კანტორის გამგემ გადაათვალიერა ნამუშევარის წიგნაკი, აღმოჩნდა, რომ გამზეთველ ა. ბალაბანიკოვს არაფერი ნამუშევარი არა აქვს. მაშინათვე იქნა დანიშნული კომისია რონოდის ფარეხიდან და, როდესაც გადასინჯეს სამსახურში გასაგზავნი წიგნაკები, აღმოჩნდა, რომ ვ. კესინოვს არ ჰყოლოდა არსად სამსახურში დანიშნული ამ რვა თვის განმავლობაში გამზეთველი ა. ბალაბანიკოვი და ხელფასს კი აძლევდა მას, რადგანაც თავისს კერძო საქმეს აკეთებინებდა ბალაბანიკოვს.

განა ასეთი მოვლინა დასაშვებია? უნდა იქნეს მიღებული სასტიკი ზომები აღნიშნულ ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ, რომ სხვებმა მაინც არ ჩაიდინონ ასეთი სისაძაგლე.

ძველი რევოლიუციონერი.

სიმართლეს არ შეეფერება.

გაზეთ „კომუნისტი“-ს 130 ნომერში, 10 ივნისის თარიღით, „მუშათა ცხოვრება“-ს განყოფილებაში მოთავსებულია ახკორ გზის წერილი დიდუბის მუშათა სამკითხველოს შესახებ.

ამ წერილში აღნიშნულია ვითომდა მოუწესრიგობანი ბიბლიოთეკაში, წიგნების საკითხის მოუწესრიგობა, თანამშრომელი ქსენია ძავანიძის „საქციელი“ და სხვა.

ყოველივე ეს სიმართლეს მოკლებულია.

დ.

პროფკავშირებში

საფინანსო საკითხები პროფკავშირებში.

საკავშირო მუშაობაში საფინანსო საკითხები მტკივნეულ ნაწილს შეადგენენ.

პროფკავშირებს მომავალშიაც მოუხდებათ განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა ფინანსებზე, სანამ ამ დარგში არსებული დეფექტები არ მოისპობა. დეფექტები კი ბევრია.

ჯერ კიდევ საწევრო ანარიცხების დროულად შეკრების საქმე მოუწესრიგებელია. საწევრო ანარიცხების არაწესიერ გადამხდელთა პროცენტი ზოგიერთ დაწესებულებაში 20—35-მდე აღწევს. ამის გამომწვევ მიზეზების შესწავლას მივყევართ იმ დასკვნამდე, რომ ადგილებზე ამკრებთა მუშაობა მოისუსტებს, თვით ანარიცხების აკრების ტეხნიკა რთულია, ვერ სდგას თავის სიმაღლეზე არაწესიერ გადამხდელთა აღრიცხვა და სხვ.

საწევრო ანარიცხების სწორი გამოანგარიშებაც სათანადოთ არ არის დაყენებული. გამოანგარიშების ყურადღების გარეშე რჩება კავშირის წევრის ხელფასის ცალკე სახეები (ზედმეტი მუშაობა, პრემიალური ჯილდო და სხვ.), რაც აიხსნება საკავშირო ძირითად უჯრედების მხრივ ამის შესახებ არსებული დებულების შეუსწავლელობით.

თუმცა კავშირების ც. გამგეობები ხშირად თავიანთ მოხსენებებში აღნიშნავენ საწევრო ანარიცხების ნებაყოფლობით საფუძველზე შეკრებას, მაგრამ ნაწილობრივ ეს მართალი არ არის. ამ რამდენიმე დღის წინათ განათლების მუშაკთა კავშირის ც. ვ-ას პლენუმის მიერ მიღებული და გაზეთებში გამოქვეყნებული რეზოლიუცია ავალებს გამგეობას ზომების მიღებას ანარიცხების მექანიკურად დაკავების ერთხელ და სამუდამოთ აღმოფხვრისათვის. ამას აქვს ადგილი სხვა კავშირების მიმართ. პირდაპირ ვაოცებას იწვევს, თუ რით აიხსნება 1926 წელში ანარიცხების მექანიკურად დაკავება.

წარმოება-დაწესებულებების მიერ კოლექტიურ ხელშეკრულებების საფუძველზე კავშირში (მაგ., კულტფონდში) შემოსატან ანარიცხების ირგვლივ ზოგან დიდი დავალიანებაც არსებობს. ერთ-ერთ დაწესებულებაში ადგილკომს 6 თვის განმავლობაში არც კი მოუთხოვია ადმინისტრაციისათვის კულტფონდის ანარიცხები. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს დაუდევრობასთან.

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სასოფლო საკავშირო უჯრედებთან სწორი ფინანსიური ურთიერთობის დამყარება. მაზრებში კავშირების ზოგიერთი გამგეობები სოფლის ადგილკომებს არამც თუ ადგილობრივად შემოსულ საწევრო ანარიცხების ნაწილს უტოვებენ, არამედ ადგილკომების შესანახ თანხებს ართმევენ. ამის გამო სოფლად პროფმუშაობა ძალზე ფერხდება. მაშინ, როდესაც პროფკავშირების და პარტიული ორგანოები მიგვითითებენ სოფლად მუშაობის განვითარების აუცილებლობაზე.

ბევრგან დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვები ირღვევა. ადგილი აქვს ფონდების გადახარჯვას. ერთ-ერთ კავშირის მაზრგანყოფილებას უმუშევართა ფონდიდან 200 მანეთი გამოუყენებია კავშირის პირადი შემადგენლობის შესანახავად. ეს მაშინ, როდესაც მას უმუშევართა საკმაო რიცხვი ჰყავს და ხარჯთაღრიცხვითაც გათვალისწინებული ჰქონდა გამგეობის აპარატისათვის საჭირო თანხებიც.

არ შეგვიძლია ხაზი არ გაუსვათ ერთ გარემოებასაც. უკანასკნელი შეეხება კავშირის წევრებისათვის საფინანსო ანგარიშების წარმოუდგენლობას. ამის გამო საკავშირო მასამ არ იცის თავის ორგანიზაციის ფინანსიური მდგომარეობა.

გრძელდება საკავშირო თანხების გაფლანგვა. ამის შესახებ ბევრი დაწერილა. მართალია, გაფლანგვები შემცირდა, მაგრამ ის ჯერ კიდევ სავსებით მოსპობილი არ არის. ბორჩალოს მაზრაში ამ ორი კვირის წინეთ საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირში, დაახლოვებით, ათას მანეთამდე გაფლანგვის შემთხვევა მოწმობს, რომ ამისათვის აღნიშნული სათანადო ღონისძიებანი ადგილებზე არ ტარდება.

შეიძლებოდა შევხებოდით სხვა ნაკლებსაც, როგორც, მაგ., ქვედა უჯრედებში ანგარიშწარმოების არევ-დარევაა, უნაყოფო ხარჯების გაწევა და სხვ., მაგრამ ზემოხსენებულიც ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი სიმწვავით სდგას კავშირების მუშაობა დღის წესრიგში გაჯანსაღების საკითხში. კავშირები დაჟინებით წესით უნდა შეუდგნენ სათანადო საფინანსო პოლიტიკას, საფინანსო მოქმედების განმტკიცებას. ამას მოითხოვს საკავშირო მასის სამსახურის უკეთ გაწევის საქმე.

ამ დარგში ხანგრძლივ გეგმიან მუშაობასთან ერთად საჭიროა საფინანსო თვიურის ჩატარება, ადგილებზე მოხსენებების მოწყობა გამოკვლევების საშუალებით შესაძლებელი უნდა იქნეს ნაკლთა მოსპობა.

ა. თურქია.

პროფმუშაობის ქრონიკა

საბჭოთა და სავაჭრო მუშ. კავშირში:

— **ხარჯთაღრიცხვების წარმოდგენა.** კავშირის ცენტრ. გამგეობამ ცირკულიარული მიმართვა დაუგზავნა ყველა სამაზრო განყოფილებებს, რათა მათ ც. გამგეობაში დაჩქარებით წარმოადგინონ ხარჯთაღრიცხვები.

— **კავშირში წევრთა მიღება.** კავშირის გამგეობამ განუმარტა ყველა განყოფილებებს, რომ სავაჭრო ტიპის შრომის კოლექტივებში ჩაბმული უმუშევრები კავშირში წევრებად არ მიიღებიან.

— **დიფერენციალური ხელფასის გამოკვლევა.** ც. გამგეობამ დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა ქალაქში დიფერენციალური ხელფასის გამოკვლევის ჩასატარებლად.

— **გამფლანგველი წევრების გამორიცხვა.** ც. გამგეობამ საშუამავლო და დავალებათა კოლექტივში თანხების გაფლანგვისათვის კავშირიდან გამორიცხა ფირუმოვი და კასრაძე და მათი საქმე გადასცა სასამართლოს.

— **სამაზრო განყოფილებათა ფინანსიური მდგომარეობის გამოკვლევა.** ც. გ. პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო გამოიკვლიოს სამაზრო განყოფილებების ფინანსიური მდგომარეობა.

— **ანარიცხები კულტფონდში.** პრეზიდიუმმა მოისმინა ცნობა იმის შესახებ, რომ ზოგიერთ დაწესებულებებს კავშირში არ შემოაქვთ კულტფონდის ანარიცხები, რისთვისაც დაადგინა—სასწრაფოდ მიღებულ იქნეს ზომები და დაწესებულებათაგან ანარიცხების შესაკრებად.

— **დახმარება ინგლისის მუშებს.** კავშირის პრეზიდიუმმა დაუგზავნა ადგილებს მიმართვა ინგლისში გაფიცულ მუშათა დასახმარებლად კამპანიების ყველგან ჩატარების შესახებ.

— **ქალთა შორის მუშაობისათვის.** 19 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ს. პ. კ. ს. დიდ დარბაზში შესდგება კავშირის წევრთა აქტივი ქალების თათბირი, რომელზედაც ამხ. თურქია მოხსენებას გააკეთებს სრულიად საკავშირო პროფსაბჭოსთან შემდგარ საორგანიზაციო თათბირის შედეგების შესახებ ქალთა შორის მუშაობის დარგში.

— **კლუბის კვირეული პროგრამა.** კავშირის კულტგანყოფილება ავალებს ყველა ადგილკომებს—ყოველ შაბათობით მოითხოვონ კლუბის კვირეული პროგრამა და აცნობონ წევრებს.

წაღვერის პანსიონატი

საკურორტო სამმართველოს დადგენილებით, მიმდინარე წლის ზაფხულის სეზონზე წაღვერის ყოფილ სანატორიუმის შენობაში მოწყობილი იქნება პანსიონატი. პანსიონატი საშუალებას მისცემს ყველა მუშა-მოსამსახურეს და კერძო პირსაც ისარგებლოს კურორტით ისე, როგორც ეს მას სურს და შეუძლია. მაგალითად, მოქალაქეს შეუძლია დაიქირაოს საწოლი რამდენი ხნის განმავლობაში, აიღოს ოთახი (ყოველმხრივ მოწყობილი) და აგრეთვე შეუკვეთოს საჭმელ-სასმელი განსაზღვრულ ფასებში. ავადმყოფ-პანსიონერი იღებს სათანადო ექიმო მზრუნველობას და დახმარებას. სამზარეულოს, სურსათ-სანოვაგე და საერთოდ მთელი სანიტარული და ჰიგიენური პირობების ზედამხედველი და დამცველი არის ექიმი სპეციალისტები. პანსიონერები სრულიად უზრუნველყოფილნი იქნებიან, პანსიონში გაიცემა აგრეთვე კერძო სადილებიც მსურველთათვის. ამისათვის მოწყობილი იქნება სათანადო სასადილო. საკურორტო სამმართველო ფიქრობს, რომ ამ მხრივ მოსახლეობას, როგორც სნეულთ, ისე დასასვენებლათ ასულთ მისცეს მეტი შეღავათიანი პირობები ცხოვრებისა. პროფკავშირების, დაზღვეულ წევრებისათვის არის შემუშავებული სათანადო შეღავათიანი პირობები. ოთახების, საწოლების და აგრეთვე სრულ საზრდოებაზე დაკვეთა წინასწარ შეუძლიათ როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირებსაც. საკურორტო სამმართველოს ამჟამად (შედარებით გასულ წლებთან) მრავალჯერ უკეთესი საშუალებანი აქვს კარგი ხარისხის სურსათ-სანოვაგის მიწოდების მხრივ, სათანადო მტკიცე რეჟიმი და სისტემა შემუშავებულია და მასთან თვით ბინები (შენობები) კაპიტალური შეკეთების გამო, სავსებით ხელსაყრელი და მისაღებია ჯანმრთელობის თვალსაზრისით.

ჩვენში, სიტყვა **პანსიონატი** ჯერ კიდევ ახალი სიტყვაა. საბჭოთა რუსეთში და ჩრდილო კავკასიის მრავალ კურორტებზეც ჯანსაღკომები და მათი საკურორტო სამმართველოები დიდი ხანია შეუდგნენ პანსიონატების მოწყობას. ჩვენი პროფესიონალური და სამეურნეო ორგანოები და დაწესებულებები დიდის სიმპატიით და ნდობით უნდა შეხვდნენ პანსიონატის მოწყობის საქმეს.

ექ. გ. მჟავანაძე.

მცხეთაში საქონლის დახოცვის გარშემო

როგორც მკითხველებმა იციან, მცხეთაში საქონლის დახოცვის საქმეში ბრალი ედებოდა ბეითალ-ექიმს **სანიკიძეს**. თბილისის მაზრის მეორე უბნის გამომძიებელმა ამხ. ნოზაძემ დაასრულა წინასწარი გამოძიება მცხეთაში საქონლის დახოცვის საქმეზე. გამოირკვა, რომ სანიკიძეს ბრალი არ მიუძღვის სამსახურისადმი გულგრილად მოპყრობაში. ექსპერტების დასკვნით, სანიკიძემ ყოველგვარი ზომები მიიღო საქონლის ჭირთან ბრძოლის საქმეში. როგორც გამოძიებით და ექსპერტების დასკვნით გამოირკვა, საქონლის დახოცვის მიზეზი ყოფილა შემდეგი: მიწათმოქმედების კომისარიატის ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიის გამგის სერგო **რედკოს** მიერ საქონლის სისხლის გასინჯვის დროს ყოველივე საჭირო წესები არ ყოფილა დაცული. სანიკიძის მიერ გაგზავნილ სისხლს მან გაუკეთა ზერელე ანალიზი; სისხლი რედკოს მიერ არ იქნა გასინჯული იმ ფორმებში, როგორც ამას სანიკიძე მოითხოვდა. მაგ.: სისხლის მიკროსკოპიულად გასინჯვის გარდა, რედკოს იგი უნდა ეცადა ცხოველებზე შეშხაპუნებით. ამის გამო ლაბორატორიის გამგე რედკო მოხსნილია თანამდებობიდან და პასუხისგებაშია მიცემული. სანიკიძე პასუხისგებისაგან განთავისუფლებულია.

გამოირკვეულია, რომ რედკოს დაუდევრობით 6, 7 და 8 მაისს მცხეთაში დაიღუპა 157 სული საქონელი.

შემოსავალი ტყეებიდან

მიმდინარე საბიუჯეტო წლის 1-ლ მეოთხედში რესპუბლიკის ტყეებიდან გაუყიდნიათ 3.556 კუბ. ფუტი საშენი მასალა, 33.048 კუბ. საჟენი შეშა, 269 კუბ. საჟ. ფიჩხი. 343 კუბ. საჟ. წნელი, 9771 ცალი ლატანი, 4.160 ცალი მარგილი, 108.208 ცალი ვენახის საშენი ჭიგო და 2650 ფუთი ძვირფასი ნივთების საკეთებელი—კავის ხე.

ამ მასალებიდან ხაზინის შემოსავალია 315.500 მანეთი და 77 კაპ.

სოც. უზრუნველყოფა

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში, მომჭირნეობისათვის მებრძოლმა კომისიამ უკვე ჩაატარა შტატების შემოკლება.

კომისიამ დაადგინა აკრძალოს ზედმეტ საათებში მუშაობა და თუ ასეთი აუცილებლათ საჭირო გახდება, იმ შემთხვევაში ზედმეტი სამუშაოები გაიცეს ნარდათ.

აღნიშნული ღონისძიებებით კომისარიატს დარჩება ყოველთვიურად რამოდენიმე ათასი მანეთი.

ნედლეულის მომარაგება

საპნის ქარხნისათვის

საპნის ქარხნის პროდუქციის შემცირების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს საჭირო ნედლეულის (სალამასი) ნაკლებობა, რომელიც ხაზ. „ეირომას"-მა არ ჩააბარა ტრესტს ხელშეკრულებაში გათვალისწინებული რაოდენობით. საქართველოს საგეგმო კომისიას დაევალა შეისწავლოს აღნიშნული საკითხი დაინტერესებულ უწყებებთან ერთად და შესაფერისი მოხსენება წარმოადგინოს ეკონომიურ საბჭოში საპნის წარმოების ნედლეულობის მომარაგების გაუმჯობესების შესახებ.

სასამართლო

დახვრეტა თავდასხმისათვის

გუშინ უზენაეს სასამართლოში ამხ. ვაჩნაძის თავმჯდომარეობით გაირჩა საკასაციო საჩივარი ვანო **ბაზიერაშვილის** და მიხეილ ბატკოველის საქმეზე.

ბაზიერაშვილს და ბატკოველს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ სონა ზაყაშვილის ძარცვის მიზნით მოკვლისათვის მისჯილი ჰქონდათ დახვრეტა.

უზენაესმა სასამართლომ სამი საათის თათბირის შემდეგ დაადგინა: ვანო ბაზიერაშვილის და მიხეილ ბატკოველის საკასაციო საჩივარი ოლქის სასამართლოს განაჩენზე დატოვებულ იქნას უშედეგოთ და მათზე მისჯილი უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა დამტკიცებულ იქნას.

მსჯავრდადებულებს უფლება მიეცათ შუამდგომლობა აღძრან ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე პატიების შესახებ.

კ. კუციძის საქმე

მეოთხე სხდომაზე დაკითხულ იქნა მოწმე **გ. ამირეჯიბი**, რომელმაც უამბო სასამართლოს, რომ მას მრავალჯერ გამოუტანია საქონელი კუციძის მაღაზიიდან ძმათა ენუქაშვილების დავალებით. მას არავისაგან არ სმენია, რომ ენუქაშვილებს დავალიანება აქვთ თამბაქოს № 2 მაღაზიისადმი. მოწმე არ ადასტურებს კუციძის ჩვენებას, თითქოს მას ლორთქიფანიძის დავალებით მეორე მაღაზიიდან საქონელი გაეტანოს ნისიათ.

მოწმე **მიქაბაძე** (თამბაქოს ტრესტის ცენტრალურ საწყობის გამგე) აღნიშნავს, რომ მისგან საქონელი სესხათ ჰქონდა გატანილი თამბაქოს ტრ. № 1 მაღაზიის გამგეს. ლორთქიფანიძე ანგარიშებს თავის დროზე არ აძლევდა. მოწმე აცხადებს, რომ როდესაც მას მოსთხოვე წაღებული საქონლის უკან დაბრუნება განაცხადა, რომ მას № 2 მაღაზიიდანაც აქვს საქონელი გატანილი სესხის სახით და მაღაზიის გამგე კუციძე მას არ აძლევს ეს გარემოება. ლორთქიფანიძემ დაადასტურა და თანაც დასძინა, რომ აქ ლაპარაკია იმ 4.000 ცალ პაპიროსის დავალიანების შესახებ, რომლის საფასური აუნაზღაურე ბრალდებულ კუციძისო.

მოწმე **ფირაქაშვილი** აცხადებს, რომ ერთ საღამოს კუციძე მისულა ს. ლორთქიფანიძის სიმამრის ოჯახში და განუცხადებია მათთვის, რომ ლორთქიფანიძეს თავდებს ქვეშ განთავისუფლებს, შემდეგ მას უთხოვნია ამხანაგური ვექსილების გაცემა, რაზედაც ლორთქიფანიძის სიმამრს უარი განუცხადებია.

დასასრულ დაკითხულ იქნა ს. მ. უ. საბჭოს საკონტროლო კომისიის წევრი მესხი და პროკურორი პავლიაშვილი, რომელნიც ახასიათებენ ბრალდებულს, როგორც ბეჯით მუშაკს.

ბრალდებულ კუციძის ჩვენება. სასამართლოს კუციძემ მისცა შემდეგი ჩვენება: როდესაც მუშაობას შეუდექი, სავაჭრო დარგში მცირედი გამოცდილება მქონდა. პირველად ვაჭრობას ვაწარმოებდი წვრილ-წვრილად. ბაზრის გაცნობის შემდეგ ბევრი კლიენტები გავიჩინე. მუშაობის პირველ ხანებში არავითარი ინსტრუქცია არ გვქონდა. შემდეგ მივიღეთ ინსტრუქცია, რომლითაც გამგეს უფლება არ ჰქონდა 500 მან. მეტი საქონელი გაეცა ნისიათ. ეს ნორმა ჩემ მიერ დარღვეულ იქნა იმიტომ, რომ მყოლოდა საკრედიტო უნარიანობის მქონე კლიენტები. კლიენტებს საქონელს ვაძლევდი ნისიათ და ორდეროთ. ხშირათ იყო შემთხვევა, როცა მაღაზიის გამგეები ერთი მეორეს საქონელს ვაძლევდით სესხათ. ლორთქიფანიძეს ჩემგან წაღებული აქვს 7.000 მან. საქონელი, რომელიც მაზე ამჟამადაც ირიცხება. მე იგი ვინახულე საპატიმროში, სადაც ლორთქიფანიძემ მიპასუხა: „პასუხისმგებელი ვარ 3.000 მან., რადგან ამ თანხის საქონელი მაქვს გაყიდული". ბოლოს ამ 3.000 მანეთზეც უარი მითხრა. ჩემ მიერ კლიენტებისაგან ჩამორთმეული თამასუქები არის კრედიტის უნარიანობის მქონე პირებისაგან და მათი ანაზღაურება შესაძლებელია. მე დამნაშავეთ ვგრძნობ თავს ძალაუფლების გადამეტებაში, რომ დიდძალი თანხის საქონელი გავეცი ნისიათ, ხოლო მითვისებასა და გაფლანგვაში არა.

კუციძის დამცველი პ. ქავთარაძე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე საქმის დამატებითი გამოსაძიებლად გადადების შესახებ. სამოქალაქო მოსარჩლე ტატიშვილი მხარს უჭერს დამცველის განცხადებას. პროკურორი კაპრაშვილს არ მიაჩნია მიზანშეწონილად დამცველის შუამდგომლობა და მოითხოვს პროცესის გაგრძელებას.

სასამართლომ დაადგინა: დამცველის შუამდგომლობა განხილულ იქნას განაჩენის გამოტანის დროს. შემდეგ ცხადდება, რომ სასამართლო გამოძიება დასრულებულია.

დღეს გაიმართება მხარეების კამათი.

ანნა ბალის საქმე

სასამართლომ დაასრულა მოწმეების დაკითხვა. შემდეგ მოსმენილ იქნა ექსპერტების დასკვნა.

ექსპერტების დასკვნით, ბრალდებულ ბალის მიერ გაფლანგულია 2.281 მანეთი.

ექსპერტების დასკვნის მოსმენის შემდეგ გაიმართა მხარეების კამათი.

განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

თვითმკვლელობის საქმე

გუშინ დასრულდა წინასწარი გამოძიება გიორგი ჯაფარიძის (ფინსახკომის ყოფილი საქმეთა მმართველი) თვითმკვლელობის საქმეზე. კვლევა-ძიების პროცესში [illegible] რევიზია ჯაფარიძის ამგარიშების: განხილულ იქნა 1925-26 საბიუჯეტო წლის გამოწერილ ასიგნობათა წიგნი, ხარჯთაღრიცხვის კრედიტები საქვეანგარიშო თანხები და სხვა: გამოძიებიდან გამოირკვა, რომ გაფლანგვას ადგილი არ ჰქონია.

კრედიტი

ამ.-კავკასიის სასოფლო სამეურნეო ბანკმა შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. სახკომსაბჭოს წინაშე, რათა უკანასკნელმა წინადადება მისცეს ა.-კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებს რომ მათ შეიტანონ 1926—27 წლის ბიუჯეტში სასოფლო მეურნეობის საგანგებო საჭიროებისათვის მიზნობრივი კრედიტის მიცემით შესაფერი თანხა.

ეს შუამდგომლობა იმითაა გამოწვეული, რომ დღემდე ასეთი სესხის გაცემა უხდებოდა თვით ა.-კ. სას. სამ. ბანკს და რადგანაც საამისო სპეციალური თანხა არ ჰქონდა ბანკს, მისი გამოძებნა ხდებოდა სხვა წყაროებიდან.

მომავალი საბიუჯეტო წლიდან კი ეს უხერხულობა აცილებული იქნება და ყველა რესპუბლიკებს ექნებათ საგანგებო თანხები სასოფლო მეურნეობის სასწრაფო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ.

ქრონიკა

ახალი საზღვაო ხაზები

საბჭოთა სავაჭრო ფლოტის კანტორა 1926 წლის ნაოსნობისათვის შემდეგ ახალ ხაზებს აწესებს: ლონდონში კვირაში ორჯერ, ჰავრში კვირაში ერთხელ, ჰულში და ლიტში—თვითეულ ათ დღეში ერთხელ, ჰამბურგში—კვირაში ორჯერ, კოპენჰაგენში—ორ კვირაში ერთხელ; ასევე სტოკჰოლმში.

ყველა ამ ხაზებზე უშვებენ სულ 16 გემს, რომელთაგან ნაწილი დაფრახტულია საზღვარგარეთ.

ბრძოლა უბედურ შემთხვევებთან

აქ. შრომის სახ. კომისარიატმა განიხილა და მიიღო წარმოებებში უბედურ შემთხვევების წინააღმდეგ მებრძოლ ცენტრალურ კომისიის დებულება.

კომისარიატმა მიზანშეწონილად სცნო ცენტრალურ კომისიაში შეიყვანოს შრომის პროკურატურის წარმომადგენელი.

კომისარიატმა დაადგინა უბედურ შემთხვევების წინააღმდეგ მებრძოლი კომისიები დაარსოს ქუთაისში და აჭარისტანის და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში.

თბ. აღმასკომში

— **სახლის გადაცემა.** კირკის ქუჩაზე მდებარე სახლი № 6, როგორც უპატრონოთ ცნობილი, გადეცა აღმასკომს.

— **ახალი სკოლები.** განათლების განყოფილებას დაევალა, გამოარკვიოს მაზრის რომელ ადგილასაა საჭირო ახალი სკოლების გახსნა და მიიღოს ზომები მათ გასახსნელად მომავალ სასწავლო წლისათვის.

— **ახალი ქარხნები.** გადაწყდა თბილისში აგებული იქნას ავეჯეულობის და საუტილიზაციო ახალი ქარხნები.

შრომის კომისარიატში

— **შრომის ბირჟის გამგის** თანამდებობაზე შრომის კომისარიატმა დანიშნა ამხ. დომენტი თხილავა.

— **სახ.-სამ. შრომის** ინსპექტორად აჭარისტანში დაინიშნა ამხ. იუსუფ ქათამაძე.

— **პუნქტები.** აფხაზეთში დამატებით იხსნება უმუშევართა აღმრიცხავი პუნქტები.

საკურორტო კამპანია

— **თბ. დამზღვევი სალარომ** ავადმყოფების პირველი ჯგუფი გაგზავნა აბასთუმანში, არაზინდოში და ბორჯომში.

— **აგარაკებზე** მიმავალ ავადმყოფებს რკინისგზის ბილეთების მიღება შეუძლიათ რიგს გარეშე.

— **თბ. მაზრების აგარაკებზე** დამთავრდა სახლების შეკეთება.

— **დეზინფექცია.** მაზრის ყველა აგარაკებზე სახლებს და ავეჯეულობას წელს ეყო გენერალური დეზინფექცია.

სხვადასხვა

— **მიწათმოწყობა.** მიწათმოქმედების კომისარიატმა მაზრებში დაგზავნა ინსტრუქტორები მიწათმოწყობის საქმის სახელმძღვანელოდ.

— **ადგილობრივი** მნიშვნელობის გზების საჭიროებისათვის ცაკის დადგენილებით ხე-ტყე უნდა გაიცეს უფასოდ.

კრებები და მოხსენებები

— **ქართველ ექიმთა საზოგადოებაში.** ხუთშაბათს ივნისს საღამოს 8 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება საზოგადოების მორიგი კრება.

დღის წესრიგი: 1) ექ. ერისთავი—„სწრაფი სიკვდილის მექანიზმი ცხიმოვან ემბოლის დროს", 2) ექ. ანთაძე—„წითელას, ქუნთრუშას და ხუნაგის პროფილაქტიკისათვის, 3) ექ. გინეიშვილი-ნანეიშვილი — „ერიტროციტების დალექვის რეაქციის დაგნოსტიური მნიშვნელობა გინეკოლოგიაში და მეანობაში".

— **განათლების მუშაკთა სახლში.** ოთხშაბათს, 16 ივნისს, საღამოს 7 საათზე, შესდგება პროფ-წრის მეცადინეობა ცენტრალურ თანამშრომელთათვის.

შეცდომების გასწორება

იმ შეცდომებიდან, რომლებიც გაპარებული იყო კორექტორების დანაშაულებრივი დაუდევრობის გამო ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, ვასწორებთ ორს უმთავრესთაგანს:

1. სასამართლოს განყოფილებაში, სათაურით: „4.695 მან. გაფლანგვა" სწერია: „14 ივნისს, აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლოში გაირჩევა ალექსანდრე ვაშაძის საქმე" და სხვა. უნდა იყოს: „ალექსანდრე ვაზაძის საქმე" და ს.
2. განყოფილებაში: „ბრძოლა მომჭირნეობისათვის" სწერია: „სახელმწიფო პარტიის რაციონიზაცია". უნდა იყოს: „სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაცია".

შემთხვევები

ზარალი ხანძრისაგან

„დეზერტირთა" ბაზარში გუშინ წინ მომხდარ ხანძრის მიერ მიყენებული ზარალი დაახლოებით გამოანგარიშებით უდრის 3.000 მან.

— **დახრჩობას გადაარჩინეს.** 14 ივნისს მტკვარში დახრჩობას გადაარჩინეს ლიდა დიმიტრის ასული ნერაევისა, რომელიც ვერის ხიდიდან გადავარდა წყალში.

— **დაჭრა.** დიღომის რაიონში სიმთვრალის დროს გლეხებს მოუვიდა ჩხუბი, რის დროსაც მძიმედ დაიჭრა 3 გლეხი.

ყაჩაღის შეპყრობა. ყარაიაზში მაისში მწყემსებზე თავდასხმის გამო შეიპყრეს ბაგარ მუსა-ოღლი.

— **ქურდი ქალი.** შეიპყრეს ქურდობისათვის ანასტასია პროკოპიევიჩი.

— **გამომძალველი.** დააპატიმრეს ალექსანდრე და ილია დათუაშვილებისათვის ვითომდა ვენების სარწყავის მიყიდვის მიზნით, ფულის გამოტყუებისათვის მოსე ჯინჯიხაშვილი.

— **შეპყრობა.** შეიპყრეს ქურდობისათვის ივანე ბუშკინი.

— ამავე დღეს ჯიბგირობისათვის შეიპყრეს პეტროს არუთინიანი.

— **ქურდობა.** 14 ივ. ელისაბედის ქ. № 200 გაქურდეს მოიოარ ქარუმოვის ბინა.

— ამავე დღის პუშკინის ქაუში გაქურდეს „საქ. ღვინის" მაღაზია № 1.

— მოტოკლეის ქარხნიდან (პლეხანოვის გამზირი № 127) მოიპარეს საბურღავი მანქანა.

— **თავის მოწამვლა.** გუშინ პლეხანოვის ქ. № 142, თავი მოიწამლა ა. იანკოპუზოვას ქალმა. ის მოათავსეს საავადმყოფოში. მიზეზი გამოურკვეველია.

— **ყუმბარების აღმოჩენა.** 13 ივნისს, მუსლიმანთა სასაფლაოზე შემთხვევით ბავშვების მიერ აღმოჩენილ იქნა ერთი ყუმბარა; ამის შესახებ მათ განაცხადეს სისხლის სამართლის მილიციაში. უკანასკნელთა მიერ გათხრილ იქნა ის ადგილი; კიდევ აღმოჩნდა 20 ყუმბარა, ერთი შაშხანა და ვაზნები.

ხელოვნება

ს. ინაშვილის გასტროლები მოსკოვში

სანდრო ინაშვილის დებიუტმა მოსკოვში დიდი ინტერესი გამოიწვია. საერთოდ ინაშვილის გამოსვლამ მუსიკალურ საზოგადოებაზე საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა.

მომავალ საოპერო სეზონში ინაშვილი მოწვეულია მოსკოვის დიდ საოპერო თეატრში. თეატრის ადმინისტრაციამ ინაშვილთან უკვე დასდო ხელშეკრულება.

რკინის გზებზე

ეკონომიური მუშაობა მაისში.

ამიერ-კავკასიის რკინისგზების საერთო საშუალო დღიური მუშაობა მაისში გამოიხატა 920 ვაგონისა და ცისტერნის ექსპლოატაციაში, რაც აპრილთან შედარებით იძლევა კლებას 5,64 პროცენტით.

ნავთის პროდუქტების ჩასხმამ საანგარიშო თვის განმავლობაში დაიკლო 1,11 პროც. დამეზობელ ჩრდილოეთ-კავკასიის გზებიდან ვაგონების მიღებამ 20 პროც. კერძოდ, ცალკე საქონლის მხრივ ტვირთზიდვის მუშაობა შემდეგ სურათს იძლევა: ნავთის პროდუქტები გადაზიდულ იქნა 179 ცისტერნის რაოდენობით და შავიქვა—106 ვაგონის რაოდენობით. ტყიბულის ქვანახშირის გადაზიდვა შემცირებულია 15,79 პროც. (გადაიზიდა 16 ვაგონი), რაც შეეხება ლითონების გადაზიდვას იგი საანგარიშო თვეში უცვლელად დარჩა (15 ვაგონი).

სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთაგან განსაკუთრებული ზრდა ყოველთვის ემჩნეოდა ხილისა და ბოსტნეულის გადაზიდვას, მაგრამ მაისში მისი გადაზიდვაც შემცირდა. სულ გადაიზიდა 6 ვაგონი. ბამბის გადაზიდვა, რომელიც დიდ როლს თამაშობდა გადაზიდვის ოპერაციებში, სულ გამოიხატა 9 ვაგონში, ანუ დაიკლო 18,18 პროცენტით. ეს გარემოება აიხსნება სეზონური მომენტით. ამავე მიზეზით იხსნება შეშის გადაზიდვის შემცირებაც—3,25 პროც. ასეთსავე მოვლენას ვხედავთ დარჩენ ადგილობრივ საქონლის გადაზიდვაშიც, რომელთაგან ღვინის ნაწარმოების გადაზიდვამ დაიკლო 18,18 პროც., თივისა და ჩალისამ—47.06 პროც. და ცხოველებისამ—18,87 პროცენტამდე.

გზების მუშაობა მაისში აპრილთან შედარებით გაიზარდა პურის გადაზიდვის მხრივ 58.33 პროც., საამშენებლო მასალების მხრივ—3.09 პროც. და ხე-ტყის მასალების მხრივ—70 პროც. დანარჩენი საქონელი გადაზიდული იქნა 75 ვაგონის რაოდენობით, ე. ი. გაიზარდა 0,76 პროცენტით.

როგორც აპრილში, ისევე მაისშიაც, ამიერკავკასიის რკინისგზების მუშაობა მიმდინარეობდა კარგ ტეხნიკურ პირობებში, რადგან ნაკლებობას ვაგონების მხრივ ადგილი არ ჰქონია.

ხიდების აგება.

ამიერ-კავკასიის რკინისგზის ხუთწლიან საპერსპექტივო გეგმით გათვალისწინებულია 200 ხიდის აგება, რასაც დასჭირდება 13 მილიონი მანეთი.

გადაზიდვის კომიტეტის შემადგენლობის გაძლიერება.

გზათა მიმოსვლის კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა შრომისა და თავდაცვის საბჭოს წინაშე—გადაზიდვის ცენტრალურ და სარაიონო კომიტეტების შემადგენლობისა და მათი როლის გაძლიერების შესახებ, რაც აუცილებელია საშემოდგომო გადაზიდვის კამპანიის სასურველად ჩატარებისათვის.

მატარებლის მიღება დაკავებულ ხაზზე

14 ივნისს, საღამოს 8 საათზე და 20 წუთზე, სადგურ ორთაჭალისში სახალხო მატარებელი. № 4, მიღებულ იქნა მეორე დაკავებულ ხაზზე. შეჯახება არ მომხდარა.

საპარკეტო ქარხნები

გამასახლებში

შარშან აგვისტოდან საპატიმრო ადგილების სამმართველოს ინიციატივით თბილისისა და ქუთაისის ცენტრ. გამასწორებელ სახლებთან შეუდგნენ მუშაობას საპარკეტო ქარხნების მოსაწყობათ.

შემოდგომიდანვე საპატიმრო ადგილების სამმართველოს მიერ შეძენილ იქნა სხვადასხვა იარაღები, ხელსაწყოები, დაზგები და შეუდგნენ გამასახლებში სათანადო ბინების გამონახვას.

ამა წლის იანვრიდან ქარხნებმა უკვე დაიწყეს მუშაობა და ამჟამად ორივე ქარხანა სრული დატვირთვით მუშაობს.

პარკეტს მოთხოვნილება ბაზარზე ძალიან დიდია, რადგან ამიერ-კავკასიაში მხოლოდ ეს ორი ქარხანა მუშაობს.

სავაჭროების აღრიცხვა

ამჟამად მაზრებში მიმდინარეობს სავაჭრო დაწესებულებათა აღრიცხვა.

მაზრების ფარგლებში აღრიცხვას ხელმძღვანელობენ სამაზრო სტატისტიკური ბიუროები, რომლებიც აღრიცხვის კამპანიას სოფლად ატარებენ ფინინსპექტორების დახმარებით.

აღრიცხვა მითაა საყურადღებო, რომ მისი დასრულების შემდეგ ჩვენ გვექნება სრული სურათი იმისა, თუ რომელ რაიონში უფროა განვითარებული ვაჭრობა და ან რა როლს თამაშობს იგი ჩვენს სახალხო მეურნეობაში.

საბეითლო რაიონები

საქონლის ჭირთან ბრძოლის წარმატებით საწარმოებლათ მიწათ-მოქ. საბეითლო განყოფილებამ შეიმუშავა დებულება რესპუბლიკის საბეითლო რაიონებათ დაყოფის შესახებ.

მომავალში, ყოველ საბეითლო რაიონში უნდა დაარსდეს საქონლის საექიმო ამბულატორია, აფთიაქი, საექსპერტო კაბინეტი, დიაგნოსტიური უფლებით დაავადმყოფებულ საქონლისათვის, გაზო-კამერა, ქეციანი საქონლის საექიმოთ და სხ.

რაიონიზაციის ჩატარებაზე ბევრათაა დამოკიდებული საქონლის ჭირის სრულიად მოსპობა.

მუზეუმის შენობა

ამჟამად სწარმოებს სასწრაფო მუშაობა საქართ. მუზეუმის შენობის ქვედა სართულის დასამთავრებლათ და მოსაწყობათ.

შენობის მოსაწყობათ ყოველდღიურათ მუშაობს მუშების ერთი ჯგუფი უმუშევართა რიცხვიდან. პირველ სართულზე სწარმოებს დარბაზების მოწყობა ლაბორატორიებისათვის, ორთქლით გასათბობ მოწყობილობების დადგმა, კედლების შელესვა და სხვა.

პირველი სართულის დამთავრების შემდეგ განზრახულია შეუდგენ მთავარი კორპუსის ფასადის გადაკეთებას.

მეცნიერება და ტეხნიკა

ელექტრონის ლამპის ისტორია

ჩვეულებრივი ელექტრონის (სავარვარო) ლამპის მოწყობილობა მეტად მარტივია, მაგრამ რამდენ მეცნიერთა და გამომგონებელთა მრავალი წლის შრომა დაიხარჯა, სანამ ისეთი ლამპების დამზადებას მოახერხებდნენ, როგორსაც ახლა ვხმარობთ! ედისონის ლამპების პირველი ქარხანა (ამერიკაში) ამუშავდა 1880 წ. და 1881 წ. განმავლობაში გამოუშვა 35.000 ლამპა. ახლა კი ამერიკის ლამპის ქარხნები წამში ამზადებენ 300 ლამპას, ე. ი. იმდენი ლამპის დასამზადებლათ, რამდენიც 1818 წლის განმავლობაში დამზადდა ახლა ამერიკული ქარხნებისათვის 12 წუთიც კი არ არის საჭირო. 1880-დან 1905 წლამდი ელექტრონის ლამპების დასამზადებლად ხმარობენ ნახშირის ღეროებს. ასეთი ლამპები დღესაც არის ხმარებაში, რადგან მათი მთავარი ღირსებაა გამძლეობა და სიიაფე. 1905 წ. **უიტნეის** მიერ დამზადებული იქნა ლითონში ამოლესილი ნახშირის ღერო, რამაც გაადიდა ლამპის სინათლის ძალა. 1906 წ. ბოლტონმა გამოიგონა ელექტრონის ლამპებისათვის ლითონის ღერო ტანტალიდან (ლითონია, დნება 2800 გრადუსზე). 1907 წ. პირველად დამზადებული იქნენ ლითონის ღეროები ვოლფრამიდან (ლითონია, დნება მხოლოდ 3.700—3800 გრადუსზე).

ყველა გამომგონებლები მიზნად ისახავდნენ ღეროს გახურების ტემპერატურის გადიდებას, რადგან რამდენათაც უფრო მაღალია გახურების ტემპერატურა, იმდენად ნაკლები ელექტრონის ენერგია იხარჯება, სინათლის ძალა კი იგივე რჩება. ვოლფრამი, რომელიც ყველაზე ძნელი გასადნობია (ე. ი. ყველაზე მეტი სითბო—3800 გრადუსი—არის საჭირო მის გასადნობათ). საუკეთესო მასალა აღმოჩნდა სავარვარო ლამპების ღეროების დასამზადებლად დაპრესილი ღეროების მაგიერ კოლიჯის მიერ (1907 წ.) გამოჭიმული ღეროს შემოღებამ კიდევ უფრო გაადიდა სავარვარო ლამპების გაძლიერება.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც **ლენგმიურმა** (ამერიკა) გამოიგონა გაზის ლამპები, ამ ლამპების შუშის ბუშტი გავსებულია აზოტით—გაზით, რომელიც არ მოქმედობს გავარვარებულ ლითონის ღეროზე. ჩვეულებრივ ელექტრონის ლამპების შუშის ბუშტებიდან ჰაერი თითქმის სრულიად გამოქაჩულია (ჰაერის გამოქაჩვა საჭიროა იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში გავარვარებული ლითონი შეუერთდება ჰაერის მჟავბადს და დაიწვის). თუ ვოლფრამის ღეროს 1800 გრადუსზე მეტით გაახურებენ, ვოლფრამი იწვება, ბუშტის კედლები შავი ფერფლით იფარება და ლამპა ფუჭდება, გაზის ლამპები აზოტი ხელს უშლის ვოლფრამის დაშლას, ღერო მეტ ტემპერატურას უძლებს და მაშასადამე მეტ სინათლეს იძლევა. რათა სხივების გამოყოფის დროს სითბოს ხარჯვა შემცირებული იქნეს, გაზის ლამპებში ღერო ხვიისებური ფორმის მზადდება. გაზის ლამპები იმდენათ ხელსაყრელი აღმოჩნდნენ, რომ სრულიად განდევნეს წინად გავრცელებული ფანრები ვოლტის რკალით.

საკონტროლო „ბუდკა"

გერმანიის ლითონის ქარხნებში შემოღებულია სპეციალური საკონტროლო „ბუდკა". ამ „ბუდკაში" უნდა გაიაროს ფაბრიკის ან ქარხნის ყველა მუშებმა. თუ ქარხნიდან მიმავალ მუშას არავითარი ლითონის საგანი ან ლითონის ნაჭერი არ მიაქვს, იგი თავისუფლად გაივლის „ბუდკას", წინააღმდეგ შემთხვევაში კი, „ბუდკის" ახლო დადგმული სპეციალური მოწყობილობა, რომელზეც მიმაგრებულია სასმენი მილი, მიდებული დარაჯის ყურზე, შესაფერ ხმას იძლევა. დარაჯი აჩერებს მუშას და ჩხრეკს მას.



სიცოცხლის ხანგრძლივობა

კულტურის მიღწევებს მნიშვნელობა აქვს იმდენათ, რამდენათაც იგი ადიდებს საარსებო საშუალებებს, ახანგრძლივებს სიცოცხლეს. ამიტომ ინტერეს მოკლებული არ იქნება ცნობების მოყვანა სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ წარსულში და ამჟამად.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ინდოეთში დიდი ხანია ერთ დონეზეა შეჩერებული —25 წელიწადს არ აღემატება. ევროპაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა უკანასკნელი 3½ საუკუნის განმავლობაში გაორკეცდა. ეს, ალბად, დაკავშირებულია მრავალრიცხოვან მიღწევებთან მეცნიერებისა და ტეხნიკის დარგში. ეს დებულება ნათელი ხდება შემდეგი ციფრებიდან: მე-17-ე—18-ე საუკუნის ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა შეადგენდა 4 წელიწადს საუკუნეში; მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში იგი უდრიდა 9 წელიწადს საუკუნეში; მეორე ნახევარში—17 წელიწადს. გერმანიაში კი, სადაც მედიცინა და სანიტარული ტეხნიკა ყველაზე უფრო განვითარდენ, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა 27 წელიწადს შეადგენდა საუკუნეში.

უკანასკნელად გამოქვეყნებული ცნობების თანახმად სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა წელიწადში შეერთებულ შტატებში მამაკაცებისათვის შეადგენს 55 წელიწადს და 3 თვეს, ქალებისათვის—57 წელიწადს და 6 თვეს. 50 წლის წინათ ნიუ-იორკში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ისეთი იყო, რომ 1923 წ. ამ ქალაქში უნდა მომკვდარიყო 185.737 კაცი, ნამდვილად კი მოკვდა მხოლოდ 69.452.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ბინების გადაცვლის შესახებ

კითხვა

ვცხოვრობ საბჭოს ქუჩაზე მოქ. შარუხიას სახლში, მიქირავს ერთი ოთახი სივრცით 30 კვ. არშინი, 1924 წლიდან 1925 წლის ბოლო რიცხვამდე ბინის ქირად ვიხდიდი თვეში ათ მან. ა. წ. 1-ლი იანვრიდან ვიხდი ბინის კანონიერ ქირას. ოთახს სჭირია შეკეთება. რემონტს სახლის პატრონი არ უკეთებს. მე არ შემიძლია ჩემი მცირე ხელფასით რემონტის გაკეთება.

გთხოვთ მიპასუხოთ შემიძლია თუ არა ოთახი გადავუცვალო ვინმე მოქალაქეს, რომელიც სახლის პატრონს გადაუხდის თვიურად 5 მანეთს და შეაკეთებს ოთახს. ჩემთვის შეუძლებელია ამ ნესტიან ოთახში ცხოვრება, როგორც მცირე წლოვანი ბავშვის პატრონისათვის.

რკინისგზელი გ. კორსავა.

პასუხი

მდგმურებს სახლის მფლობელობასთან შეუთანხმებლად არა აქვთ უფლება ბინების გადაცვლის.

ბინის ქირის [illegible]

კითხვა

ვმსახურობ მე-2 სამხედრო შეიარაღებულ რკინის გზის მცველ რაზმში, ვარ კავშირის წევრი 1922 წლიდან (საწევრო წიგნაკი № 27272), ჯამაგირს ვღებულობ მე-10 ხარ. 50 მ. 70 კაპ. ვცხოვრობ ალექსანდრეს ქუჩა, № 31, (მე-10 კომის), მიქირავს ერთი ოთახი მე-2 სართულზე, სივრცით 66 კვ. არშინი. აქვს საერთო [illegible]. წვიმა ჩამოდის. სახლის პატრონმა მომთხოვა ბინის ქირა 20 მანეთი, მე შევაძლიე 6 მანეთი, არ მიიღო. ამის შემდეგ ყოველთვიურად შემაქვს დეპოზიტში (ხაზინაში) 1 მ. 32 კ.

გთხოვთ განმიმარტოთ, თუ რამდენი მეკუთვნის ბინის ქირის გადახდა და სახლის პატრონი ვალდებულია თუ არა სახურავი შეაკეთოს.

მოსე წულეისკირი.

პასუხი

თითოეულ კვადრატულ არშინზე ბინის ქირად გადაიხდით ოთხნახევარ კაპეიკს (4,5 კ.); სახურავის შეკეთება ევალება სახლის პატრონს (იხ. ქალ. აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილება № 88 1925 წ. ივლისიდან

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **ხუთშაბათს, 17 ივნისს**, საღამოს 7 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია

ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი

რაიონული კომიტეტების ბიუროს წევრებთან და თბილისის ორგანიზაციის მსხვილი უჯრედების მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1) მესამე რაიკომის ანგარიში, 2) უჯრედების ბიუროთა გადარჩევის შედეგების შესახებ, 3) მიმდინარე საქმეები.

თ. კ. ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ს. კ. პ. (ბ) თ. კ. პრეზიდიუმი.

— ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა რაიკომებს და უჯრედებს **პარასკევს, 18 ივნისს,**

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასვან ადგილობრივი კითხვები.

თ. კ. სამდივნო.

— ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 16 ივნისს, საღამოს 6 საათზე რაიკომის საგ. - საპრ. განყოფ. ბინაზე შესდგება მესამე რაიონის უჯრედების მესამე რაიონის აგიტპროორგანიზატორების თათბირი.

დღის წესრიგი: 1) ინდივიდუალური და ჯგუფობრივი აგიტაციის საქმის დაყენების შესახებ მესამე რაიონში (ამხ. პაპავას მოხსენება). 2) საგ.-საპრ. განყოფილების საზაფხულო მუშაობის გეგმა.

— ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს—სიმონ გორიაჩევსა და ს. ა. პარუმოვს—სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ამხ. ჩარკვიანთან (თბილისის კომიტეტის აღმრიცხველ განმანაწილებელ განყოფილებაში).

— **დღეს 16 ივნისს, საღამოს 5 საათზე** ს. კ. პ. (ბ) ც. კ. შენობაში შესდგება

საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა

დასწრება ქვემოდ აღნიშნულ ამხანაგების სავალდებულოა.

1. ქართველიშვილი ლავრენტი, 2. ლოლობერიძე (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.), 3. მაშკევიჩი (ს. კ. პ. (ბ) ც. კ., 4. ინსტრუქტორები: კეკელია, ხაცკევიჩი, ტყაბლაძე, გაბუნია, მგალობლიშვილი, ჯაფარიძე, 5. ხუნდაძე, 6. ინფორმატორები, 7. ლიცინოვი, 8. ჯაფარიძე, ც. კ. ქალთა განყოფილება, 9. ინსტრუქტორები ქალთა განყ. (ს. კ. პ. (ბ) ჩერქეზიშვილი და ჯალაღანია, 10. მუშიშვილი, (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.), 11. სვანიძე (ს. კ. პ. (ბ) ტ. კ.), 12. გორდელაძე (ს. კ. პ. (ბ) (ც. კ.), 13. მურავიოვი, (ს. კ. პ. (ბ) კ. საკ.), 14. მელნიკოვი, 15. ინსტრუქტორები: ხუხუა, ცაბაძე, შოგირაძე, ჩალიანი., 16. გოგლიძე (ა.-კ. საგ. კომ. სანაპ. რაზმი), 17. ჯავახიძე (ს. ა. ლ. კ. კ. (ც. კ.), 18. მარკაროვი (ქარ. დივიზია), 19. ბოგდანოვი (კ. წ. დრ. პოლიტ. მმართვ.), 20. აფციაური (შინ. სახ. კომისარიატი), 21. ფანცხავა (ს. პ. კ. ს.).

მოწვეული არის ამხ. ტაბიძე (კ. კ. ცეკადან).

დღის წესრიგი:

1. ცეკას საორგ. განყ. სამუშაო გეგმის განხილვა. 2. მშენებელთა კავშირის ფრაქციის მოხსენება.

— ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის აღმრიცხველ - განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. პავლე სტეფანეს ძე ბლეტკინს და ივანე ალექსანდრესძე გორბუნოვს გამოცხადდენ ამხ. კვირიკაძესთან.

საქ. კომუნისტურ პარტიის ცენტ. კომი[illegible]თან არსებული ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა შორის მ[illegible]ვე განყოფილება და გაზ. „ახალხაზელი"-ს რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგ-თანამშრომლებს ძვირფასი ამხანაგის, ძველი მუშა-რევოლიუციონერის, ტრამვაის მეწესთვალის (კონტროლიორი)

შაქრო ყოჩიშვილის

ტრაგიკულ გარდაცვალებას ა. წ. 12 ივნისს, ღამის 12 საათზე, გამოსვენება რესპუბ. მთავარ (ყოფ. მიხეილის) საავადმყოფოდან ოთხშაბათს, 16 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე ნ. 1428 2—1

ტრამვაის მოძრაობის, სახელოსნო და ცენტრალური სადგურის ადგილობრივი კომიტეტები ამით აუწყებენ ამხანაგებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ შაბათს, 12 ივნისს, საღამოს 7 ნახ. საათზე სამსახურის შესრულების დროს ტრაგიკულად დაიღუპა ამავე ადგილკომის წევრი საუკეთესო აქტიური მომუშავე ამხანაგი

შაქრო ზაქარიას-ძე ყოჩიშვილი

გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს, 16 ივნისს, შუადღის 4 საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან. 2814

თბილისის ქ. ტრამვაის მუშა-მოსამსახურეები ამით აუწყებენ ამხანაგებს, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ შაბათს, 12 ივნისს, საღამოს 7 ნახ. საათზე სამსახურის შესრულების დროს ტრაგიკულათ დაიღუპა საუკეთესო ამხანაგი

შაქრო ზაქარიას-ძე ყოჩიშვილი

გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს, 16 ივნისს, შუადღის 4 საათზე. რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან. 2814

ღრმად დამწუხრებული, შვილები—ვალოდია, კოტე, და კატიუშა ლავრენტის-ძე და ასული ტულუშები, რძალი ვარა იორდანეს ასული ტულუშისა, დისწული ოლია ივანეს ასული თურაბოვი და შვილისშვილები სერიოჟა და იდიკო აუწყებენ მეგობართ-ნაცნობთ

ნინა ეგნატეს ასულის ტულუშის

გარდაცვალებას. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ. გამოსვენება დანიშნულია დღით ხუთშაბათს, 17 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე. საკ. ბინიდან—გოგჩას შესახვევი, (ყოფილი ვანქის) № 22. დასაფლავება წმინდა ნინოს სასაფლაოზე ქ. 2825

ღრმათ დამწუხრებულნი და გულდამწვარი მშობლები ალალო და ნინა ავეტიქოვები შვილებით: რუბენა, მანია, ჟორჟიკა და სურენა აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და ამხანაგებს პირველები ძვირფასი შვილის და დანარჩენები ძვირფასი ძმის, 21 წლის სტუდენტის

მიშა ალას-ძე ავეტიქოვის

უდროოდ გარდაცვალებას ა. წ. 13 ივნისს, ღამის 11 საათზე და 30 წუთ. ქალ. თბილისში ყოფ. ალექსანდროვის საავადმყოფოში, საიდანაც გასვენებული იქნება ხუთშაბათს 17 ივნისს, 3 საათზე სოფელ ურიათუბანში (თელავის მაზრა) ქ. 2820

ღრმად დამწუხრებული და გულ დამწვარი ბიძა ალექსი გეღუასძე სარიევი თავისი ცოლით სათენიკ მიხეილის ასული და ბაგრატა გეოსძე დათუაშვილი თავისი ცოლით კორინე მიხას ასული, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 13 ივნისს ღამის 11 საათზე და 30 წუთ. ქალ. თბილისის ყოფილ ალექსანდროვის საავადმყოფოში უდროოდ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

მიშა ალას-ძე ავეტიქოვის

ქ. 2820

გულდამწუხრებულნი: მამა დომენტი, ბებია კასინე, ძმა მიშა, დები: ნატალია და ნინა აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 16 ივნისს სრულდება ერთი წელი, მის შემდეგ, რაც ქალ. თბილისში უდროოდ გარდაიცვალა მათთვის მუდამ საყვარელი და დაუვიწყარი

გოგულია (გიორგი) მოისწრაფეშვილი

ქ. 2827

გულდამწვარნი მშობლები: თამარ (თალიკო) და მიხეილ, ძმა თეიმურაზი. ბიძა შალვა ტატიშვილი მეუღლით, მამიდები ნადეჟდა სარაჯიშვილისა და თამარ თოფურიძისა მეუღლეებით, ბებია და ბაბუა ალნიოფი და ვასილ ჯაფარიძენი შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ საყვარელ

კოტიკა ტატიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას, გამოსვენება 17 ივნის ხუთშაბათს საღამოს 5 საათზე მატინოვის ქ. 34 პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე.

საზაფხულო კინო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
საზაფხულო
აპოლო
(არტის ბაღში, პლეხ. № 105).
ზოლი
ნ. 1375 0—13

ასტა ნილსენის და ალფრედაბელ სურათში
„ქალი ცეცხლში"
საუკეთესო სურათი
„სიკვდილზე უსწრაფესი"
მთავარ როლებში: გარრი პილ და უმშვენიერესი გედიხოლმ. ვინც კინოს ბილეთს შეიძენს, ბაღში შესვლის ფასს არ იხდის. კინო გადახურულია. სურათების ჩვენება ყოველდღე
პირველად თბილისში
„ორი ერთის წინააღმდეგ"
ჩქარა „მეცხრე ზვირთი"

მოლოკანთა კოოპერატივის

„პოტრებიტელ"-ის

საქმეთა სალიკვიდაციო კომისია აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 17 ივნისს, საღამოს 4 ნახ. საათზე მოლოკანთა სამლოცველო სახლის შენობაში რიყეზე (პეტრიწის მოედანი № 4)

მოწვეულია

კოოპერატივის წევრთა საზოგადო კრება

დღის წესრიგი:

1) სალიკვიდაციო და სარევიზიო კომისიების მოხსენება.

2) საბუღალტრო ანგარიში 1924—25 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის და ბალანსი 1926 წლის 1-ლ ივნისისათვის.

თუ წევრების საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა, მეორე კრება შესდგება ორი საათის შემდეგ.

ნ. 1434 2—1. სალიკვიდაციო კომისია.

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

დაბრუნდა
ექიმი ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონის კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათ. (ლენინის და ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82.
25—1 ქვ. 2356

ექიმი ნ. ტურიაშვილი
ქალის სნეულებანი და მეანობა
მიღება 2—5 ს. საბჭოს ქუჩა (ყოფილი ჩერქეზოვის) № 22. 25—1

საქ. საბჭოთა და სავაჭრო მუშ. პროფკავშირის **კლუბი**
დღეს, ოთხშაბათს, 16 ივნისს
სიმფონიური კონცერტი
50 კაც. შემადგენლობით საუკეთესო ძალებით და არტისტის სტოლერმანის ხელმძღვანელობით.
პროგრამაში: ვაგნერი, მასსნე, სიბელიუსი, მუსორგსკი, ლიადოვი, გლინკა და სხვ.
ნ. 1435. დასაწყისი სად. 8 ნახ. საათზე.

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(ლორის-მელიქოვის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 20 ივნისს, დილის 11 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ქალაქის ლომბარდში.

ნ. 1434

საქართველოს საკურორტო სამმართველო აცხადებს:

ამ რამოდენიმე დღეში

გაიხსნება აგარ. წაღვერში

პანსიონატი

ყველა მსურველ მოქალაქეებისათვის. ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება სამმართველოში 10—2 საათამდე ამხ. ი. კვანტალიანთან 3—1 ნ. 1433

ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ს. გავსოვიჩი

ამით, აცხადებს, რომ 19 ივნისს 1926 წ. დილის 11 საათზე პლეხანოვის ქუჩა № 97, ქარხანაში მიულბანისა, მეორეთ საჯარო ვაჭრობით გაყიდის მწარმოებელი კოოპერატიულ არტელის „იმედი"-ს მოძრავ ქონებას, რომელიც შესდგება: სპილენძის კუბისა, გამთბობი მანქანისა, კოლონკისა, გასაცივებელისაგან და სხვა სპირტის აპარატის ნაწილებისაგან, შეფასებულს 4300 მან. თბილისის კომუნალურ ბანკის ვალის დასაკმაყოფილებლად. თანახმად ქალ. თბილისის მე-4 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 29 იანვრის 1926 წ. თარიღით № 483, გაცემული სასამართლოს ბრძანებისა. 2830

სენაკის მაზრის, ზემო-ჭალადიდის თემაღმასკომის მმაჩის ბიურო

აცხადებს, რომ მოქალაქეებმა: 1. ევსევი თეიმურაზის ძე, 2. გრიგოლ თეიმურაზის ძე, 3. ერმინე ივანეს ძე, 4. იაკობ ივანეს ძე, 5. გრიგოლ ივანეს ძე, 6) ნოე ივანეს ძე და 7. კიმოთე ბასილიკას ძე ჩენჩურიებმა 1925 წლის 9 მაისს ძველიგვარი „ჩენჩურია" შეიცვალეს ახალ გვარზე—„ჩაჩიბაია"-ზე. 2828

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და სად. 5—8 საათ.
ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან აგარაკ მანგლისში. 25—1

ა. წ. 7 ივნისს

ქ. გორიდან გამოიპარა 9 წლის ბიჭი, გრიშა ილიას ძე მეზვრიშვილი. 11 ივნისს იგი უნახავთ თბილისში, მხოლოდ მას შემდეგ გადაკარგულია.

ბავშვის ნიშნები ასეთია: ტანით წლოვანობასთან შეფარდებული, თმის ფერი ღია, თვალები ღია და რგვალი, ფეხთ აცვია ჩუსტები ტიტველა ფეხზე, უქუდო, მოკლე შავი შარვლით და ჩითის თეთრ შავზოლა პერანგით.

ვინც ამის შესახებ იცის რამ, ვთხოვთ შეატყობინოს ქალ. თბილისი, ელისაბედის (ახლა კლარა ცეტკინის) ქუჩა № 10, თეიმურაზ თეიმურაზოვს, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს. 2821

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 საათ, დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ქალების, საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ., № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და სად. 6 საათ კამოს ქუჩა, № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა). 25—7

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად.

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 ღებულობს ავადმყოფებს კანის, სიფილისის და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები. დილით 6 ნახ.—7 ნახ. საათამდის საღამოთი 4—8 საათამდის.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალის. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათ. და 4—7 საათამდე 25—17

თბილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის
კბილის სნეულებათა
კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპ. № 126)
დაიწყო მუშაობა
რენტგენის კაბინეტმა
შეიძლება კბილების და პირისახის ძვლების გაშუქება და მათი სურათის გადაღება. 2799. 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.
2215 3—1

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი, № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.
537 25—12

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი არონ ბუზუკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2768

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 60, შალვა ბოჭორიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2822

დავკარგე მე-3 ხარ. ფართლის სავაჭრო პატენტი № 601, 2 აპრილიდან მიხაკო ელიას ძე წიწუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2819

დავკარგე სიღარიბის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის ბარათი ვასო კონიას-ძე პოლოსოვის სახელზე, ჩ. გ. 2823

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი ვლადიმერ გერასიმეს-ძე მელაძეს სახელზე, ჩ. გ. 2829

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68